# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 21 აგვისტო 2001 №157 (1430) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# უზიწომ მარხვა გატეხა

## ბალაშვილს სისხლი წასკდა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

**4 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 4 | 0 | 0 | 11:0 | 12 |
| მერანი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| კოლხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | 6 |
| გორდა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| სიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| გურია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| მეტალურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

**ბომბარდირები**

6 - მიხეილ აშვეთია (ტორპედო)
5 - მიხეილ ბობოხიძე (დინამო)
4 - ჰამლეტ წიწნიაძე (კოლხეთი)
3 - ზურაბ იონანიძე (ტორპედო)
სულიკო დავითაშვილი (მერანი)

თბილისის „დინამოსთან" 1:6 მარცხი დებიუტანტ ზესტაფონის „მეტალურგისთვის" ზედიზედ მეოთხე გამოდგა. მართალია, ჯერაც უქულონი უახლოეს სადევარს, ლანჩხუთის „გურიას" მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან, უკვე ჩემპიონატის მორიგე აუტსაიდერებად მოინათლნენ. საშინაო სარბიელზე მათი მაჩანჩალობა ისეთივე თვალსაჩინოა, როგორც „ტორპედოს" ბატონობა: ჩემპიონის ბადე ხომ ჯერ ისევ ხელუხლებელია.

„ტორპედო" ამ ტურში სხვაგვარადაც გამოირჩა – თორმეტწლიანი ტრადიცია დაარღვია: ცამეტ ეროვნულ ჩემპიონატში ქუთაისელებმა პირველად შაბათს დაიხმარეს ლეგიონერი, უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი პოროშინი.

ვაკური დერბი „ვიტ ჯორჯიას" „ლოკომოტივმა" მას შემდეგ მოუგო, რაც 0:1-ზე სამი უპასუხო გოლი გაუტანა. იტალიურ „სიენაში" ჯანი კარნევალის გაგზავნილი მელქაძის და დილმელაშვილის გარეშე ვიტელებმა გოჩაშვილის გოლით მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

„კოლხეთმა" ფოთში „გურიას" სძლია 2:1, „სამგურალმა" კი წყალტუბოში თავდაპირველ რიხგამოცლილ „გორდას" 2:0.

„ტორპედოს" ჩაუდგა კვალში „მერანი", რომელმაც საკვირაო მატჩში „ბათუმი" სულიკო დავითაშვილის პენალტით დაამარცხა. ეს დავითაშვილის მესამე გოლი გახლდათ. ჩემპიონატის ბომბარდირი კი ექვსჯერ გამტანი მიხეილ აშვეთიაა, რომელიც საზაფხულო სეზონის უდავოდ საუკეთესო მოთამაშეცაა.

ახალი ტური მარიამობის მარხვასთან ერთად გასრულდება, მანამდე კი, ოთხშაბათს, „დინამოს" და „ლოკომოტივს" უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრები ელით.

საამბატჩებოდ, შესაძლოა, „დინამოს" აქამდე ტრავმირებული ჯონი შალამბერიძე დაემატოს, „ლოკომოტივს" კი გიორგი ბალაშვილი დააკლდეს, რომელმაც თავი „ვიტ ჯორჯიასთან" საშაბათო მატჩის პირველ ტაიმში გაიტეხა, მაგრამ დოლბანდგასისხლული მხოლოდ 73-ე წუთზე შეცვალეს.



შაბათს ეროვნულზე. დინამო — მეტალურგი 6:1. ზესტაფონელთა რზევას სათავე ალეკო ამისულაშვილის (№3) ამ მაკრატელათი დაედო

# შუმახერის ტრიუმფი და საქართველოს დებიუტი




„შევრონ — რალი საქართველო 2001" - ის აბსოლუტურმა ჩემპიონებმა, პილოტმა ვიაჩესლავ პროხოროვმა (მარჯვნივ) და შტურმანმა ვალენტინ როდიონოვმა გამარჯვება ტრადიციულად შამპანურით აღნიშნეს

ბუდაპეშტის „ჰუნგარორინგზე" კვირას „ფორმულა 1"-ის წლევანდელი ჩემპიონი დასახელდა: რბოლა მიხაელ შუმახერმა მოიგო და რადგან დევიდ კულტჰარდი მხოლოდ მესამე იყო, მათ შორის ქულათა სხვაობამ იმ ზღვარს გადააბიჯა, რომლის იქითაც კულტჰარდს დაწევის თეორიული შანსიც მოესპო. 51-ე ეტაპის მოგება, ამით ალენ პროსტთან გათანაბრება, მსოფლიოს ჩემპიონის მეოთხე ტიტული — მოკლედ, ის დღე შუმახერისა და „ფორმულა-1"-ისთვის ისტორიული იყო და ერთგვარად ისტორიული გახლდათ ეს უქმეები საქართველოს საავტომობილო სპორტისთვისაც. ჩვენს დამოუკიდებელ ისტორიაში პირველად მოეწყო საერთაშორისო რალი, რომელიც „ექსპოჯორჯიაში" დაიწყო, თბილისს წრე შემოარტყა და „ექსპოჯორჯიაშივე" დასრულდა. ეკიპაჟები რუსეთიდან, ბულგარეთიდან, სომხეთიდან და, რა თქმა უნდა, ქართველები სამი დღის მანძილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები




REUTERS

მიხაელ შუმახერის ფინიში — აღმართული მუშტით შუმი ტრიუმფს აღნიშნავს

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 4 ტური

# მოდი, ვნახოთ მომენტი

კობა ინასარიძე

— სამწუხაროდ, ისევ გამოუყენებელ მომენტებზე მიწევს ლაპარაკი. წინა სამ მატჩში ხომ უამრავი რეალური საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. დღესაც, ალბათ, დამეთანხმებით 7-8 ნაღდი მომენტი გავაცუდეთ — თქვა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ცხადაძემ, რომლის „ლოკომოტივიც", მე-14 წუთიდან ტაიმის ბოლომდე აგებდა და ამ დროის განმავლობაში მართლაც იმდენი საგოლე მომენტი გაატანა ქარს, ბარე ხუთი მატჩისთვისაც იკმარებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თვალსასეირო გამოდგა „ლოკომოტივ" — „ვიტ ჯორჯიას" შებმა.

თავიდანვე ცხადი გახდა, სტუმრებს ვაკიდან ქულის წაღება რომ დააკმაყოფილებდათ. ერთი თავდამსხმელით მოთამაშე „ვიტ ჯორჯია" საკმაოდ ფრთხილობდა. ეულ გოჩაშვილთან ერთად „ლოკომოტივის" კართან მიახლოებას გოგობერიშვილი და ადამია კი ცდილობდნენ, მაგრამ გოლამდე ისეთი ვერაფერი შექმნეს, მასპინძელთათვის საშიში რომ ყოფილიყო. ისიცაა, რომ ბალაშვილი თავის ნახევარზე ლანდივით აკიდებოდა სტუმართა ლიდერ გოგობერიშვილს და ღირებულს არაფერს აკეთებინებდა. გოლი კი ადამიას დამსახურებაა. მარჯვენა ფლანგზე ლაცაბიძეს ჩაუქროლა, საჯარიმოს მიუახლოვდა და კარის გასწვრივ ბურთი გოჩაშვილს გაუგორა, რომელიც ლომაიას ცხვირწინ მარტო იყო დარჩენილი. მეკარემ გოჩაშვილის დარტყმულს ხელი კი გაჰკრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

სათქმელია, რომ კახა ცხადაძემ გუნდი, ცოტა არ იყოს, უცნაური სქემით ათამაშა — ხუთი ნახევარმცველით, რომელთაგან ორი საყრდენი იყო, ორი განაპირა ჰავბეკით, სამი თავდამსხმელით და ორად-ორი მცველით. თუმც მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე ამის მიზეზიც ახსნა — დარწმუნებული ვიყავი, „ვიტ ჯორჯია" ერთი თავდამსხმელით ითამაშებდა და მის წინააღმდეგ ორი მცველი საკმარისი იქნებოდა, მცველის ხარჯზე კი თავდასხმა გავაძლიერეო.

შედეგმა აჩვენა და მატჩის მიმდინარეობამაც, რომ ცხადაძის ტაქტიკამ გაამართლა. „ლოკომოტივმა" ანგარიშის გათანაბრება და მერე დაწინაურება სულ ერთ წუთში მოახერხა, თუმც იქამდე, როგორც ვთქვით, იმდენი მომენტი გააცუდა, საკვირველი იყო. ასე, 42-ე წუთზე ლომაიას მასთან პირისპირ დარჩენილი გოგობერიშვილის დარტყმული სასწაულებრივად რომ არ მოეგერიებინა და „ვიტ ჯორჯიას" მეორეც გაეტანა, ძნელი სათქმელია, რომ „ლოკომოტივი" მატჩს შეატრიალებდა.

რკინიგზელთა პირველი გოლი ანჩაბაძისა იყო: გოგიჩაიშვილმა მარჯვენა ფლანგზე ორი მეტოქე ჩამოიშორა და სადღაც პენალტის ნიშნულთან ბურთი ანჩაბაძეს დაუგორა, რომელმაც ერთი შეხებით, სხარტად დაარტყა და შორეულ კუთხეში გაიტანა.

„ვიტ ჯორჯიამ" თამაში რომ განაახლა, მეორე გოლიც მაშინვე გაუშვა. ანჩაბაძემ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც სტუმარმა მცველებმა შორეულ ძელთან ტანმაღალი ლაცაბიძე უყურადღებოდ დატოვეს. მანაც მეკარისთვის მეტად უხერხულად დაჰკრა თავი. ბურთი მერლანის წინ დაეცა და მის ზურგსუკან ამოჩნდა.

აბა, უკეთესს რას ინატრებდა „ლოკომოტივი"? აგებდა და შესვენებამდე რომ წუთი რჩებოდა, წუთშივე დაწინაურდა. ფსიქოლოგიური მომენტი იყო.

მეორე ტაიმში კი, ცხადია, სტუმრები გააქტიურდნენ, თუმც რკინიგზელთა მესამე გოლამდე რეალური მომენტი ვერ შექმნეს და ის გოლიც, მატჩის ბედი რომ გადაწყვიტა, თავადვე „გააკეთეს". საჯარიმოს ხაზთან ბალაშვილს იმდენი ადროვეს, სანამ რკინიგზელმა ბურთი კარგად არ გაისწორა, დაარტყა და ხარიხა შეაზანზარა. იქიდან უკუვარდნილ ბურთს კი დათვაძემ დაუხვედრა თავი და კარში შეაგდო.

მერე კი... მერე იყო, თუ იყო. მეტოქეებს ყველა საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინათ, ანგარიში საკალათბურთო იქნებოდა. ისე, ეს მომენტებიც მასპინძლებს მეტი ჰქონდათ. მარტო, ახალგამოჯანმრთელებულ ჯანაშიას შეეძლო სამჯერ გატანა. მერლანთან პირისპირ რჩებოდა-ხოლმე, მაგრამ ბურთი მას ვერა და ვერ ააცილა.

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:***

— „ლოკომოტივს" კარგი საჩუქრები მივართვით. სამივე გოლი მცველთა უხეში შეცდომების გამო მივიღეთ. თანაც ჩვენ იღბალმაც გვიმტყუნა, 0:1-ზე გოგობერიშვილს რომ გაეტანა, მატჩი სულ სხვაგვარად გაგრძელდებოდა. კახა ცხადაძეს კი ჩინებული გუნდი ჰყავს და, ეტყობა, რომ მეტად პერსპექტიული მწვრთნელია.

***კახა ცხადაძე, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:***

— თამაშის ხარისხითაც და, რაღა თქმა უნდა, შედეგითაც კმაყოფილი ვარ. მადლობა ბიჭებს, მათ ჩემი დავალება ხუთიანზე შეასრულეს. სულ ორჯერ შეცდნენ ფეხბურთელები და ერთხელ გოლით დავისაჯეთ, მეორედ ლომაიამ გადაგვარჩინა. მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე ვითამაშეთ. ჯანაშიაც ამიტომ გამოვიყვანეთ, სწრაფია და, როგორც ნახეთ, რამდენიმე კარგი მომენტიც შექმნა.



რკინიგზელმა ალეკო კაიდარაშვილმა (მარცხნივ) ბურთი მეკარე მირზა მერლანსაც ააცილა და ვიტელთა კარსაც

თბილისი. 18 აგვისტო. 20. საათი. ლოკომოტივი. 1 500 (ტევადობა 25 000)

## ლოკომოტივი 3:1 ვიტ ჯორჯია

0:1 გოჩაშვილი (14), 1:1, ანჩაბაძე (45), 2:1 ლაცაბიძე (45), 3:1 დათვაძე (58)

1 ლომაია
23 ზ. ლაცაბიძე
4 სალუქვაძე
2 ბალაშვილი
20 ინაიანი
8 ჭიჭიბეიშვილი
11 გილაური
16 დათვაძე
26 ანჩაბაძე
9 გოგიჩაიშვილი
10 კაიდარაშვილი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

10 გ. გოჩაშვილი
22 ადამია
14 დ. დოლიძე
7 გოგობერიშვილი
13 ლ. კვარაცხელია
9 ლ. ნოზაძე
5 მუჯირი
2 არეშიძე
21 ჭანკოტაძე
4 კობიაშვილი
1 მერლანი

მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

შეცვლა: კვარაცხელია — 3. ზაზაშვილი (34), დათვაძე — 14. დ. ჯანაშია (68), კაიდარაშვილი — 25. გელა ქორიძე (68), ზაზაშვილი — 16. წუწუნავა (63), ბალაშვილი — 6. დავითნიძე (73), დოლიძე — 19. სულთანიშვილი (76)

გაფრთხილება: ქორიძე (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

| | | |
|---|---|---|
| 12 | ჯარიმა | 14 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 10 | კარში დარტყმა | 6 |
| 6 | თამაშგარე | 3 |

ფოთი. 18 აგვისტო. 18.30 საათი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:1 გურია

1:0 კვირკველია (16), 2:0 წივწივაძე (78), 2:1 მეტრეველი (90)

1 გ. გვასალია

მწვრთნელი: სოსო ფილია

3 ტორჩინავა
10 ფანჩულიძე
16 აკობია
4 მიქელთაძე
9 ახვლედიანი
5 გ. ჭობულაძე
11 კვირკველია
20 ე. გვასალია
19 მუმლაძე
8 წივწივაძე
9 მარღიშვილი
11 ენდელაძე
15 ხუჭუა
6 პატარიძე
17 კაციაშვილი
14 ფაცურია
8 განევი
4 გაბრიჭიძე
3 ორბელაძე
2 ებრალიძე
1 გ. დოლიძე

მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე

შეცვლა: პატარიძე — 16. კ. მეტრეველი (41), მუმლაძე — 18. კვეტენაძე (46), ქობულაძე — 14. ვართაგავა (46), მარღიშვილი — 7. სულაკაძე (64), ახვლედიანი — 7. კრასოვსკი (68), ენდელაძე — 13. დ. ოდიკაძე (77)

გაფრთხილება: მიქელთაძე (39), მეტრეველი (65), წივწივაძე (70), ორბელაძე (70)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); ა. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 1 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

# გურულებს წინ უჭირთ

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

**შაბათს** „გურიამ", როგორც მიადგა კინკილა ქულის ამარა „ფაზისს", ისევე ქულისამარა დატოვა ფოთი. ზედიზედ მესამე მარცხი იგემა ზაზა გურიელიძის გუნდმა და სავსებით ლოგიკურადაც.

„კოლხეთმა" მიყოლებით მეორედ იმარჯვა შინ. თბილისურ „ლოკომოტივთან" მძიმე ბრძოლის შემდეგ კოლხებს წესით არ უნდა გასჭირვებოდათ. ასეც მოხდა, არც გასჭირვებიათ, თუმც არც მთლად იოლი ეთქმოდა გურულების ძლევას.

თავად თამაში სანახაობრივად დიდი ვერაფერი გამოდგა. განსაკუთრებით პირველი ტაიმი. აი, მეორეში ორივე გუნდი გაიხსნა, ტემპმაც შედარებით იმატა და საგოლე მომენტებიც უფრო გახშირდა. უინტერესოდ დაწყებულ მატჩში გოლი მაინც სწრაფად გავიდა. ტაიმის პირველი მესამედი მიიწურა, როცა აქამდე საიმედოდ გარჯილი გურულთა უკანა ხაზი ფანჩულიძემ მოხდენილი პასით გაარღვია და კვირკველია მეკარეს პირისპირ შეატოვა. დათომაც ყველაფერი ჯეროვნად შეასრულა — ბურთი დროულად დაამუშავა და წინ გამოსულ დოლიძეს ცაციათი ძელის დახმარებით გაუტანა.

საერთოდ „კოლხეთი" მოდუნებული ჩანდა და თამაშის იმტაზეც ვერ იყო. თანაც მეტოქემ მჭიდრო თამაშით სივრცე შეუზღუდა და საჯარიმოში შეღწევა გაურთულა. თუმც შესვენებამდე კოლხებს გატანის ერთი შანსი მაინც მიეცათ. ქობულაძის გარღვევას მეკარის ბაქნიდან ორიოდ მეტრში წივწივაძემ ძლიერი დარტყმა მოაყოლა. ბურთი კარში რომ წასულიყო, დოლიძე უძლური იქნებოდა, მაგრამ მასპინძლის დარტყმული კარს ასცდა.

აქედან ხუთიოდ წუთში უკვე გურულებს მიეცათ გათანაბრების შანსი. მარღიშვილმა ენდელაძეს გაუჭრა და გვასალიასთან პირისპირ გაიყვანა. ზვიადმა წინ გამოსულ გვასალიას ვერაფერი დააკლო. ბოლო მომენტში ფეხით შეძლო ხიფათის აცილება.

სოსო ფილია თავისი შეგირდებით უკმაყოფილო დარჩა და შესვენების შემდეგ ორმაგი შეცვლაც განახორციელა. ვერ დავიჩემებთ, ამის ბრალი იყოო, მაგრამ ფაქტია, რომ მეორე ტაიმის დასაწყისშივე თამაში უფრო საინტერესო გახდა. საწყის ხუთ წუთში მომენტებიც ორივე კართან შეიქმნა. ჯერ ახალგამოსულმა ვართაგავამ შეუმოწმა მზადყოფნა გუბაზ დოლიძეს. გურულებმა უმალ უპასუხეს და ხუჭუამ მარჯვენა ფლანგიდან შეუტია. კარშიც დაარტყა, ოღონდ არაზუსტად. იქვე ახვლედიანის ფლანგურ გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა. იქ კი ეულად დარჩენილმა ელდარ გვასალიამ უხეიროდ მოუქნია ბურთს ფეხი და დოლიძის იოლი ლუკმა გახადა.

ამის შემდეგ „გურიამ" სათამაშო ინიციატივა ხელთ იგდო, ბურთსაც ხშირად აკონტროლებდა, მაგრამ უკბილოდ უტევდა და მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი მოიმკო. გურულების სუსტ წერტილად უდავოდ თავდასხმა უნდა მივიჩნიოთ. ფაქტობრივად, ერთი კოტე მეტრეველი იყო, რომელიც ასე თუ ისე ემუქრებოდა მასპინძელთა კარს და ისიც პატარიძის ტრავმის შემდეგ გამოჩნდა მოედანზე.

სანამ გურულები წვალობდნენ, კოლხები კონტრშეტევებზე მწვავედ იჩხვლიტებოდნენ. დოლიძესაც სამოთხჯერ რთული ბურთის მოგერიება მოუხდა, თუმც 78-ე წუთზე ისიც უძლური შეიქნა. გურულებს თამაშგარის მცდელობა ჩაეფუშათ, გაბრიჭიძე ჩარჩა და წივწივაძის შეჩერება მხოლოდ საჯარიმოში მოახერხა, ისიც პენალტის ხარჯზე.

პენალტი კი თავად დაზარალებულმა დაარტყა და გაიტანა კიდეც. მართალია, დოლიძემ კუთხე გამოიცნო, მაგრამ ბურთის მოგერიება ვერ შეძლო.

ამ გოლმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა და ერთადერთი, რაც გურულებმა მოიმკეს, ბოლო წუთზე კოტე მეტრეველის მიერ გატანილი მოხდენილი გოლი იყო. ხუჭუამ მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და მეტრეველი საგოლე პოზიციაზე გაიყვანა. მანაც თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და მახვილი კუთხიდან ბურთი შორეულ ძელთან ცხრიანში მოათავსა.

ეს იყო და ეს, მიუხედავად მცდელობისა, „გურიამ" მეტი ვერაფერი დასტყუა მასპინძლებს. მართალია, „ტორპედოსთან" საშინაო მატჩისგან განსხვავებით, გურულები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ უკეთესობამდე ჯერ ბევრი უკლიათ. მხოლოდ მცდელობა კი ხშირ შემთხვევაში საკმარისი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 18 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 800 (ტევადობა 70 900)

## დინამო 6:1 მეტალურგი

1:0 ამისულაშვილი (6), 2:0 ბურდული (14), 3:0 ბობოხიძე (29), 3:1 კრავეიშვილი (32), 4:1, 5:1 ბობოხიძე (56, 78), 6:1 ბურდული (83)

მწვრთნელი: გივი ნოდია

12. ბათიაშვილი

4. ვაშაკიძე 5. შაშიაშვილი 3. ამისულაშვილი

8. ბურდული 7. შავგულიძე 2. აფციაური 6. ა. სახვაძე

9. დარასელია

11. მ. ბობოხიძე 10. გ.ვ. მიქაძე

10. კრავეიშვილი

11. ფირცხალაიშვილი

8. სუხიაშვილი 7. ჭყონია 16. გეწაძე 9. ხმალაძე

4. მერებაშვილი

14. მემარნიშვილი 18. გურეშიძე

2. გოგაძე

12. თ. ოდიკაძე

მწვრთნელი: ვასილ ქეიშვილი

შეცვლა: შავგულიძე — 15. გაბიდაური (46), გ.ვ. მიქაძე — 18. მიკუჩაძე (46), დარასელია — 16. მანჯავა (57), გოგაძე — 5. მაღლაკელიძე (61)

გაფრთხილება: მანჯავა (86)

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. კუპრეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჯარიმა | 9 |
| 10 | კუთხური | 1 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 9 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

# აჯაგრული დინამო

დავით თავართქილაძე

**წინა** ტურში „ბათუმთან" უნიათო თამაშის შემდეგ „დინამო" ახლებური განლაგებით დაუპირისპირდა „მეტალურგს" — გივი ნოდიამ 3-5-2 აირჩია და ამ სეზონში პირველად დააყენა სასტარტო შემადგენლობაში ზურაბ ბათიაშვილი და თორნიკე აფციაური.

მეტოქე სუსტი ჰყავდა ათგზის ჩემპიონს, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ დინამოელებს წინა მატჩებთან შედარებით უფრო მეტი სიმსუბუქე და მხნეობა ეტყობოდათ, ხოლო ცალკეულმა ფეხბურთელებმა საკმაოდ შთამბეჭდავი ინდივიდუალურობა გამოიჩინეს, მართალია, ზესტაფონის „მეტალურგთან", მაგრამ არც ეს უნდა დავუკარგოთ.

იმერლები კი ისეთი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ, წინა სეზონში სამტრედიის „იბერია" რომ იყო. საკითხავიც ეგ არის, რა უნდა გუნდს უმაღლეს ლიგაში, თუ ის თავიდანვე განწირულია გასავარდნად. ისე, სათქმელი „მეტალურგსაც" აქვს — მეოთხე ტურში გუნდმა „ეროვნულზე" პირველი გოლი გაიტანა.

თავისი პირველი გოლი გაიტანა უმაღლეს ლიგაში ალეკო ამისულაშვილმაც — სახვაძის ახლო ძელთან ჩახვეულ კუთხურს ვაშაკიძემ თავი ისე დაუხვედრა, რომ ორი მეტრიდან ხარიხა შეაზანზარა, მიწიდან არეკნილ ბურთს კი ამისულაშვილმა ახლოდან, ვარდნაში მიუჩინა ადგილი ბადეში.

მეორე გოლიც კუთხურს მოჰყვა, როცა დარასელიას ჩამოწოდებულს შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ბურდულმა ღონივრად დაჰკრა და რიკოშეტის შემდეგ მეორედ დაამწუხრა ზესტაფონელები.

სერიოზულად უვარჯიშიათ კუთხურებში დინამოელებს. ყველამ თავისი ადგილი იცოდა და მათი დამრიგებელიც ყოველი კუთხურისას საგანგებო მითითებებს იძლეოდა. გივი ნოდია უჩვეულოდ ღელავდა, მისი გუნდი იოლად ამარცხებდა მეტოქეს, მაგრამ სულ ფეხზე იდგა, ნერვიულობდა და ფეხბურთელებს აფუცხუნებდა — წინ ხომ „ბატესთან" მატჩი ელის „დინამოს".

მიხეილ ბობოხიძემ ჰეთ თრიქს პირველ ტაიმშივე ჩაუყარა საფუძველი. ბურდულმა მარჯვნიდან მოჭრა ბურთი და დინამოელთა ფორვარდმა ნახტომში ისეთი თავური შეასრულა, რომ ბურთი ძელის გავლით გაეხვია კარში.

ქებას არც მეტალურგელ ზვიად კრავეიშვილს დავამადლით. ლადო ჭყონიას კარგი პასით და მეტოქე მცველთა პოზიციური შეცდომით მშვენივრად ისარგებლა, 15-16 მეტრიდან ისე ოსტატურად დაარტყა, ბათიაშვილი საერთოდ არ განძრეულა.

მეორე ტაიმი ლადო ბურდულის და მისი ტრიუკებისა იყო. თუმც ჯერ სახვაძის პასით იხეირა ბობოხიძემ, ბურდულის დრო მერე დადგა. ლადომ დაახლოებით 70 მეტრიანი რეიდი განახორციელა, სპრინტერული სლალომის მერე კი ბობოხიძეს ახლოდან, ხელსაყრელი პოზიციიდან მოუხდა ჰეთ თრიქის შესრულება. ხუთი წუთის შემდეგ ბურდულმა მოედნის ცენტრიდან წამოიწყო სოლო და თამაზ ოდიკაძის კარის ცხრიანში ააფართხალა ბურთი.


მიწაზე თუ ჰაერში „დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო

***ვასილ ქეიშვილი, „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი***

— კლასი თავისას აკეთებს. მეტოქეს უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს და ჩვენი ასეთი მარცხი ლოგიკური გახლდათ. შეიძლებოდა, უფრო დიდი ანგარიშითაც წაგვეგო. მაინც ვაგებთ და ამიტომ გახსნილ ფეხბურთს ვთამაშობთ, რათა ფეხბურთელებს სითამამე ჰქონდეთ.

***გივი ნოდია, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი***

— ხშირ ეპიზოდებში ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო გახლდით. მთავარია, სისწრაფე და სწორი მოქმედება. შემადგენლობაში ცვლილებები იმიტომ განვახორციელეთ, რომ ფეხბურთელებმა იცოდნენ — ძირითადში ადგილი არავის არა აქვს დაჯავშნული.

— რაც შეეხება ბურდულს, უბრალოდ, ნორმალურად ითამაშა. მას გაცილებით მეტი შეუძლია.

წყალტუბო. 18 აგვისტო. 18.30 საათი. 26 მაისი. 8 000 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:0 გორდა

1:0 ვაჩიბერაძე (25), 2:0 მიქაძე (34); ვაჩიბერაძემ ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)

მწვრთნელი: გია გოგიტიძე

1 ბოდოკია

3 ფრანგიშვილი

23 შ. ღონღაძე 2 ბერაძე

24 ბანძელაძე

16 კიკვიძე 18 ჯინჭარაძე 8 შ. ფუტკარაძე 10 დარსაძე

21 გ.ა. მიქაძე 15 ვაჩიბერაძე

10 გოცირიძე

7 ზ. ლაბაძე 23 პეტრიაშვილი 8 მ. მელაძე 21 ალადაშვილი

4 ლაშა სილაგაძე

13 ზვ. ლაბაძე 3 ბურნაძე 20 ბექაური 2 კედელაშვილი

მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

22 კოროშინაძე

შეცვლა: პეტრიაშვილი — 9. ჯულელი (36), ზვ. ლაბაძე — 11. ჯელაძე (46), ფუტკარაძე — 22. დ. ქელიძე (46), მიქაძე — 4. ფხაკაძე (75), ალადაშვილი — 16. ლ. კაპანაძე (80), ფრანგიშვილი — 5. ლ. ქობულაძე (85)

გაფრთხილება: მიქაძე (45), ჯინჭარაძე (77)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 17 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

# სტუმრობასაც სწავლა უნდა

კახა შალამბერიძე წყალტუბოდან

**გახსოვთ** მეორე ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „გორდას" შორის? მაშინ ისიც გეხსომებათ, როგორი ავტობუსით ეწვია რუსთაველი კლუბი დედაქალაქს. მსგავს სიტუაციაში ამჯერად წყალტუბოს „სამგურალი" აღმოჩნდა.

„გორდა" ორსართულიანი კომფორტული ავტობუსით ესტუმრა წყალტუბოს. დიდი ამბავიო, იტყვით, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ეს ფაქტი კლუბის მესვეურთა გუნდისადმი ზრუნვაზე მიგვანიშნებს. რუსთაველებმა საახალსეზონოდ შეძლებისდაგვარად გააძლიერეს შემადგენლობა და ჩინებულადაც დაიწყეს. ჯერ შინ „ვიტ ჯორჯიას" სძლიეს, მერე კი „დინამოსთან" სტუმრად ფრე გააზერხეს. დაწყება მართლაც კარგი იყო, მაგრამ... მესამე ტურში „გორდამ" მწარე მარცხი იწვნია შინ ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან, „მერანთან". ბევრმა გუნდის წაფორხილება სწორედ მისი ლიდერის, ვალერი კილასონიას უთამაშებლობით ახსნა. ეს ფაქტი წყალტუბოშიც დადასტურდა.

მატჩი დათქმულ დროს, 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყო, თუმც წესით და რიგით არც უნდა დაწყებულიყო... საქმე ისაა, რომ სახანძრო მანქანა „26 მაისის" სტადიონზე რატომღაც მხოლოდ და მხოლოდ მეორე ტაიმის წინ გამოჩნდა და მანამდე კენტად მდგომ სასწრაფო დახმარების მანქანას გვერდში ამოუდგა. თუმც ამ ფაქტზე ყურადღება არავის გაუმახვილებია.

მატჩის საწყისი წუთები დაბალ ტემპში გაილია. „გორდაში" თავის სადებიუტო შეხვედრა აქტიურად დაიწყო დავით პეტრიაშვილმა. სწორედ მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე რუსთაველთა ერთადერთი თავდამსხმელი გოცირიძე, ოღონდ მიზანს აცდა. მერე ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, მეტოქეებს დაცვის გარღვევა უძნელდებოდათ, თუმც მასპინძლებმა თანდათან უმატეს ტემპს და მათი უპირატესობაც გამოიკვეთა.

მე-15 წუთზე „გორდა" მეკარემ იხსნა გოლისგან. შოთა ფუტკარაძის მიერ წამოწყებული იერიში მარცხენა ფლანგზე ვაჩიბერაძემ გააგრძელა და კარგადაც ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ კიკვიძეს, რომელმაც ათიოდე მეტრიდან, ოდნავ მახვილი კუთხიდან შეუჩერებლივ გაგზავნა კარისკენ ბურთი, მაგრამ კოროშინაძემ იმარჯვა და ფეხით მოიგერია. ამ ეპიზოდიდან ათ წუთში კვლავ გაიბრწყინა რუსთაველთა გოლკიპერმა. „გორდას" საჯარიმოში ზვიად ლაბაძისა და ვაჩიბერაძის ჭიდილში ეს უკანასკნელი წაიქცა და არბიტრმა საეჭვო პენალტი დანიშნა. 11-მეტრიან ნიშნულთან თავად „დაზარალებული" მივიდა და მარცხენა კუთხეში დაურტყა მეკარეს, კოროშინაძემ ნახტომში მოიგერია, მაგრამ ვაჩიბერაძემ დამატება მოასწრო და ბურთი წაქცეულ მეკარეს მოარტყა. მესამე ცდაზე როგორც იქნა, ვაჩიბერაძემ გადააკვეთინა კარის ხაზი ბურთს.

ამის შემდეგ თამაში ორმხრივი იერიშებით გაგრძელდა. მალე მასპინძლებმა მეორედაც იხეირეს. მარცხენა ფლანგზე დარსაძის მიერ აუტიდან შემოტანილ ბურთს ვაჩიბერაძე დაეუფლა, ექსტორპედოელი ორ მცველში „გაძვრა" და უმალ კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც რუსთაველ მცველებს მიქაძემ დაასწრო და ნახტომში თავურით ეფექტური გოლი გაიტანა. ტაიმის დასრულებამდე სტუმრებმა ვერაფრის შეცვლა ვერ მოახერხეს.

მეორე ნახევარში „სამგურალმა" შეგნებულად დათმო ინიციატივა და კონტრშეტევებზე თამაში ამჯობინა. მასპინძელთა ეს ტაქტიკა გამართლებულიც იყო, ვინაიდან „გორდა" აშკარად მოიკოჭლებდა იერიშების ორგანიზებაში.

შესვენების შემდეგ სტუმრებს ერთადერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, ისიც არბიტრის მიერ დამატებულ დროში. გოცირიძემ ვერ ისარგებლა შანსით. წყალტუბოელებს კი პირიქით — მარტო მიქაძე ორჯერ დარჩა კოროშინაძესთან პირისპირ, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო.

ერთი სიტყვით, „სამგურალმა" ალალად მოიგო, „გორდა" კი მეორედ შერცხვა ჩემპიონატში.

„ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თუ „სამგურალმა" სტუმრად თამაში არ ისწავლა, ისევ დაბრუნდება... პირველ ლიგაში" — უთხრა ერთმა გულშემატკივარმა გვერდით მჯდომს, რომელიც უყოყმანოდ დაეთანხმა.

ვნახოთ... ჯერჯერობით „სამგურალმა" ორი გასვლითი მატჩიდან ორივე წააგო, თანაც ბურთების კატასტროფული შეფარდებით 0:10.

# ფერისცვალება სინათლეზე

თბილისი. 19 აგვისტო. 18.30 საათი. სინათლე. 1 000 (ტევადობა 3 000)

## მერანი 1:0 ბათუმი

1:0 დავითაშვილი (51მ)

**მერანი** — მწვრთნელი: ოთარ გაბელია

1 ნაჭყეპია
14 ჭინჭარაული, 3 გუჯაბიძე, 2 გოგიტაძე
5 დევიძე, 16 მუხინი
15 ბოლქვაძე, 8 ბაჯელიძე, 9 კოშკაძე
10 გაგუა
7 დავითაშვილი

**ბათუმი** — მწვრთნელი: ძალან ბალაძე

9 მაჭუტაძე
10 ტულუში
8 რომანაძე, 11 ზვ. გვაზავა, 6 ქაცარავა
7 ხუჯაძე
3 მინდაძე, 4 არჩვაძე, 18 თურმანიძე, 2 ჩიჩუა
25 ჭანტურია

შეცვლა: დევიძე — 6. ილურიძე (40), ჩიჩუა — 15. აფხაზავა (56), რომანაძე — 14. დარჩიძე (63), ბაჯელიძე — 11. ივერიანი (68), გაგუა — 4. ცქიფურიშვილი (76)

გაფრთხილება: მუხინი (25), გოგიტაძე (75), თურმანიძე (77)

მსაჯები: გ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქლაძე (სამტრედია); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 10 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

ვაჟა ხუციშვილი

**კვირას** „სინათლეზე“ ერთმანეთს მეცამეტე ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელი გუნდები შეხვდნენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მათი მწვრთნელები წარსულში მეკარეები იყვნენ. ალბათ, ამანაც განაპირობა მატჩის საერთო ხასიათი და თითქმის ყრუ დაცვაზე აგებული თამაში. იმდენად დიდი იყო არწაგების სურვილი, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეტოქეები მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. სტუმრებში არჩვაძე, ხოლო მასპინძლებიდან გოჩა გუჯაბიძე ომახიანი შეძახილებით ხელმძღვანელობდნენ პარტნიორთა მოქმედებებს. მოვლენები ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა ორივე გუნდის ფლანგები. ბათუმელები პირველი შესაძლებლობისთანავე ბურთს ტულუშის მისამართით აგზავნიდნენ, რომელიც მაჭუტაძის დასარტყმელ პოზიციაზე გაყვანას ცდილობდა. თუმც მათი კავშირი არა და არ შედგა. მასპინძელთა მცველი რომეო გოგიტაძე სტუმართა ფორვარდს აჩრდილივით დასდევდა. პასიურობდნენ ქაცარავა და რომანაძე, ხოლო ზვიად გვაზავა იშვიათად ერთვებოდა შეტევებში.

თავის მხრივ ვერც მერანელებმაააწყვეს თამაში. ეულად დარჩენილ სულიკო დავითაშვილს ბურთის მისაღებად ბრძოლა უხდებოდა, მაგრამ ორ და სამ მცველთან ერთდროულად ჭიდილში აბა, რა ხეირს ნახავდა. საერთო სურათიდან ამოვარდნილი ჩანდა გაგუა, რომელმაც ვერაფრით მონახა მისთვის განკუთვნილი ადგილი მინდორზე, მასპინძელთა შუა ხაზი კი მოშლილ-მორღვეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთი სიტყვით, მეტოქეებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბურთი უაზრო ბარტყა-ბურტყით, მაყურებელი კი საცოდაობის ცქერით დატანჯეს. ამასობაში მატჩის პირველი ნახევარი გულშემატკივართა სამართლიანი წყრომით და უკეთესი მეორე ტაიმის იმედით დასრულდა.

განახლდა თუ არა შეხვედრა, ფეხბურთელებს გაახსენდათ, რომ მათ სანახავად ხალხი მისულიყო, ხოლო მოედანზე შვიდმეტრიანი კარები იდგა. მერანელებმა შეძლეს, მოვლენების ეპიცენტრი მეტოქის ნახევარზე გადაეტანათ და შეტევებს სიმწვავე შეჰმატეს. მასპინძლები ბათუმელებს მათსავე ნახევარზე ავიწროებდნენ, რასაც ბოლოს და ბოლოს შედეგიც მოჰყვა. ტაიმი ხუთი წუთის განახლებული იყო, როცა მარცხენა ფლანგზე კოშკაძემ გაილაღა და სტუმართა საჯარიმოში წამიერად უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბაჯელიძე მონახა. ამ უკანასკნელმა ბურთი ოდნავ წინ გაიგდო, მცველებმა დაიგვიანეს და ისღა დარჩენოდათ, წესების დარღვევით შეეჩერებინათ. მალალურაძემ პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა, რამაც დამსწრე საზოგადოება გაახარა, ეგებ ერთი გოლი მაინც ვნახოთო. სულიკო დავითაშვილმა ჭანტურიას ცენტრში დაურტყა, მეკარე კი მარცხნივ გადახტა. „სინათლის“ სტადიონის რაჯ კაპურის დროინდელ ტაბლოზე ანგარიში შეიცვალა — 1:0. ეს ამ მატჩში კარში პირველად დარტყმული ბურთი გახლდათ. აქ კი იკადრეს სტუმრებმა შეტევაზე გადასვლა და მაშინვე გამოჩნდა, რომ შესძლებიათ. გაშვებული გოლიდან ორიოდ წუთში ქაცარავამ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში მყოფ მაჭუტაძეს გამოზომილი პასი გაუკეთა, თავდამსხმელმაც ბურთი მკერდზე მშვენივრად მიიღო და მიწაზე დაუშვებლად ნაჭყეპიას დაურტყა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, თუმცა მაჭუტაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან აცილება მოახერხა. ამას მოჰყვა ჩიჩუას აფხაზავათი შეცვლა და თავდასხმის გაძლიერება, ოღონდ სანამ აფხაზავა თამაშში ჩაერთვებოდა, თავისი ასპროცენტიანი შანსი დავითაშვილმა ხელიდან გაუშვა. ილურიძემ შეტევის მარჯვენა ფლანგზე თითქმის ორმოცდაათი მეტრი ბურთიანად გაირბინა და საჯარიმოში შეჭრილ დავითაშვილს უზუსტესად მიაწოდა, მანაც ერთი შეხებით კარში დაარტყა, მაგრამ ბურთი თავდამსხმელის შესახვედრად გამოსულ ჭანტურიას ფეხებში მოხვდა. შემდგომი ათწუთიანი მონაკვეთი სტუმართა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. გვაზავას დარტყმული მასპინძელთა კარს ოდნავ ასცდა, აფხაზავას კი მეკარემ აუღო. გააქტიურდნენ სტუმართა ფლანგები. შეცვლაზე შესულმა დარჩიძემ თავდამსხმელთა დახმარება სცადა, ტულუშმა მარცხენა ფლანგისკენ გადაინაცვლა და იქიდან მერანელთა საჯარიმოში ერთი კარგი რეიდიც გამოაცხო, თუმც უშედეგოდ. მასპინძელთა დაცვა უხეშ შეცდომებს არ უშვებდა, ბათუმელებს კი საჯარიმოს წინახაზთან კომბინაციების გათამაშება უჭირდათ. მათი ყველა მცდელობა, გაეთანაბრებინათ ანგარიში და შინ ისევ დაუმარცხებელნი დაბრუნებულიყვნენ, ამაო გამოდგა.

ასე რომ, მხოლოდ „ტორპედო“ და „მერანი“ დარჩნენ, რომელთაც წაგებათა გრაფაში ნული უწერიათ.



ნუგზარ ქიქილაშვილის ფოტო

მერანელმა სულიკო დავითაშვილმა (შუაში) „ბათუმს“ გამარჯვებისა გაუტანა

# ჩივაძემ საქართველო გამოიძახა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმოტივაციოდ დარჩენილი საქართველოს ეროვნული ნაკრები 1 სექტემბერს უნგრეთს უმასპინძლებს, ოთხი დღის შემდეგ კი თბილისშივე ლიტვის ნაკრებს დაუპირისპირდება.

საამხანაგო... საამხატჩებოდ ნაკრების თავკაცმა ალექსანდრე ჩივაძემ 25-კაციანი სია შეადგინა. უნგრეთთან და ლიტვასთან სათამაშოდ ამ ფეხბურთელებს უხმო:

*მეკარეები:* დავით გვარამაძე (ტორპედო), გია ჭანტურია (ბათუმი), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი)

*მცველები:* რევაზ ქემოკლიძე (ტორპედო), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), ედიკ საჯაია (ტორპედო, რუსეთი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი, შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი (როსტსელმაში, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), როინ ონიანი (ლოკომოტივი)

*ნახევარმცველები:* გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია), გიორგი ნემსაძე (დანდი, შოტლანდია), გიორგი ქინქლაძე (დერბი ქაუნთი, ინგლისი), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), არჩილ არველაძე (კიოლნი, გერმანია), ლადო ბურდული (დინამო)

*თავდამსხმელები:* შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), რატი ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი დემეტრაძე (სოსიედადი, ესპანეთი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), მიხეილ აშვეთია (ტორპედო)

ამ ოცდახუთი ფეხბურთელიდან შვიდზე ჩივაძე უარს იტყვის. ნაკრების 18-კაციანი სია 27 აგვისტოს გახდება ცნობილი. ეროვნული ნაკრები 28 აგვისტოდან შეკრებაზე გადავა სასტუმრო „საირმეში“, სადაც ლიტვასთან მატჩამდე, 5 სექტემბრამდე, დარჩება.

ჩივაძის გუნდი „დინამოს“ დიღმის ბაზაზე მოემზადება.

ორივე მატჩი „ვაკეში“, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება და ერთი და იგივე დროს — 21 საათზე დაიწყება.

ბაატა ძვანტალიანი

ქუთაისი. 18 აგვისტო. 20 საათი. ტორპედო. 4 000 (ტევადობა 19 432)

## ტორპედო 4:0 სიონი

1:0, 2:0 აშვეთია (2, 32მ), 3:0 დიდავა (82), 4:0 იონანიძე (87)

**ტორპედო** — მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

1 გვარამაძე
12 აბრამიძე, 24 ხვადაგიანი
3 მახვილაძე, 6 ქემოკლიძე, 5 თოდუა
4 დიდავა
20 ასათიანი, 2 იონანიძე, 19 პოროშინი
10 აშვეთია

**სიონი** — მწვრთნელი: ფრიდონ რეხვიაშვილი

15 მინაშვილი
6 ამბიძე, 13 სვანიძე, 8 გოგოლაძე, 10 ისიანი
2 ჯ. გოდერძიშვილი, 5 ბარნოვი, 3 ირემაშვილი, 18 შ. ლაცაბიძე
9 სიდამონიძე
1 ვოლკოვი

შეცვლა: ასათიანი — 9. ზვ. ქუთათელაძე (25), სვანიძე — 11. მოსეშვილი (46), პოროშინი — 8. ბაბუნაშვილი (54), მახვილაძე — 11. გვირჯიშვილი (62), გოგოლაძე — 17. გლუნჩაძე (84)

გაფრთხილება: გოდერძიშვილი (42)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 18 |
| 2 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 9 | კარში დარტყმა | 1 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

საქართველოს 13 ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი ეტაპი

## 2 ტური

19 აგვისტო

თორი 0:1 ქობულეთი

მილანი 2:0 სამტრედია

ლოკომოტივი 3 1:1 ხობი

ცხინვალი 1:3 დილა

20 აგვისტო

ლაზიკა 2:0 მერანი 2

თსუ 1:0 დინამო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ლაზიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ქობულეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| თსუ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| მერანი 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ხობი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლოკომოტივი 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| თორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სამტრედია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ინგლისი

### I ტური

#### დერბი ქაუნთი 2:1 ბლეკბერნი

1:0 რავანელი (45), 2:0 კრისტი (65), 2:1 ბლეიქი (73)
დერბი ქაუნთი: პოომი, ბ. ონილი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ბოურტიენი, ლ. მორისი (ძონძლაძე 64), ბარლი, დ. პაუელი, დაილო, რავანელი, კრისტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ბლეკბერნი: ფრიდელი, კერტისი, ბერგი, შორტი, ბიორნებიე (ჰენტი 63), გილესპი, დანი (ჰინეტი 46), ფლიტკროფტი, დაფი, დრაბი (ნ. ბლეიქი 63), იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: პაუელი
მსაჯი: პ. დარკინი
28 336 მაყურებელი

#### ჩელსი 1:1 ნიუკასლი

1:0 ზენდენი (8), 1:1 აკუნია (77)
ჩელსი: დე გუა, ტერი (გალასი 26), ლე სო, მელხიოტი, დესაი, ლამპარდი, პეტი, ზენდენი (იოკანოვიჩი 65), გრონკიაერი, ძოლა, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, რ. ელიოტი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, ლი, აკუნია (ობრაიენი 82), ბასედასი (გრიფინი 84), რობერი, ამეობი (ლუა-ლუა 71), ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: მელხიოტი, დესაი, გალასი, ლი, ჰიუზი, რობერი, ობრაიენი
მსაჯი: ა. ბურსო
40 124 მაყურებელი

#### მანჩესტერ იუნ. 3:2 ფულემი

0:1 საჰა (4), 1:1 ბექემი (35), 1:2 საჰა (48), 2:2, 3:2 ვან ნისტელროი (51, 53)
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, ირვინი, სტამი, სილვესტრი, გ. ნევილი, გიგზი, ფ. ნევილი (ენდი კოული 35), ვერონი (უ. ბრაუნი 80), ბექემი, სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ფულემი: ვან დერ სარი, მელვილი, ბარლი, გომა, ფინანი, შ. დევისი, მალბრანკი (უადუ 88), [illegible]დბეკი (მტოლ[illegible]სი 79), კოლინზი, საჰა, ჰე[illegible]სი (ბეტსი 84)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: გომა
მსაჯი: პ. ჯონსი
67 534 მაყურებელი

#### ჩარლტონი 1:2 ევერტონი

1:0 იოჰანსონი (58), 1:1 ფერგიუსონი (64პ), 1:2 ვეირი (77)
ჩარლტონი: კიელი, ს. ბრაუნი, იანგი, ფიში, კ. პაუელი, სალაკო (ფორტუნი 46), იოჰანსონი, პარკერი (ჰიკოკი 46), გ. სტიუარტი, ბარტლეტი (ლისბი 72), იუელი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ევერტონი: ჯერარი, უოტსონი, სტაბსი, ვეირი, პისტონე, ალექსანდერსონი (ანსუორთი 81), გრაველსენი, ჯემილი, პემბრიჯი, კ. კემბელი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: პისტონე, კემპბელი, გრაველსენი
მსაჯი: ნ. ბერი
20 451 მაყურებელი

#### ლიდსი 2:0 საუთჰემპტონი

1:0 ბოიერი (67), 2:0 სმიტი (81)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, დაკური, ბეტი (ბაკე 61), კიუელი, რობი კინი (ა. სმიტი 65), ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დელაპი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბრიჯი, კ. დევისი, ოკლი, მარსდენი (ტესემი 80), სვენსონი, როსლერი (ბენალი 84), პახარსი (ბიტი 72)
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
გაფრთხილება: ბოიერი, დევისი, მარსდენი
გაძევება: ლუნდეკვამი (90)
მსაჯი: კ. უილკისი
39 715 მაყურებელი

#### ლესტერი 0:5 ბოლტონი

0:1 ნოლანი (15), 0:2 რიკეტსი (33), 0:3 ნოლანი (41), 0:4, 0:5 ფრანდსენი (45, 83)
ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი, როუეტი, მ. ელიოტი, დავიდსონი (ლუისი 47), იმპი, სევიჯი, უაიზი, იზეტი, სტარიჯი (გუნლაუგსონი 47), აკინბაი (მარშალი 47)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნსი, ბერგსონი (მარშალი 76), უიტლოუ, ჩარლტონი, კ. ნოლანი, ვარჰურსტი (საუთჰოლი 71), ფრანდსენი, გარდნერი (პედერსენი 66), ჰანსენი, რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: აკინბაი, სინკლერი, იმპი, როუეტი, ვარჰურსტი, ბერნსი, უიტლოუ
მსაჯი: რ. სტაილზი
19 987 მაყურებელი

# წავიდააა...



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ფულემი. პრემიერლიგის ორი ჰოლანდიელი დებიუტანტი, იღბლიანი და უიღბლო: ედვინ ვან დერ სარი და რუუდ ვან ნისტელროი

#### ლივერპული 2:1 ვესტ ჰემი

1:0 ოუენი (18), 1:1 დი კანიო (30პ), 2:1 ოუენი (77)
ლივერპული: არპეშადი, ბაბელი (რიისე 46), ანშო, ჰიიპია, კარაგერი, დ. მერფი (რედნაპი 72), ჰამანი, მაკალისტერი, ბისკანი (ბარმბი 56), ოუენი, ლიტმანენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, შეფელი, დეილი, სონგი, უინტერბერნი, ტ. სინკლერი, კარიკი, მონკუ (გრანტ მაკენი 70), ჯ. კოული (კურტუა 79), ტოდოროვი (დეფო 72), დი კანიო
მწვრთნელი: გლენ როიდერი
გაფრთხილება: კარაგერი, დეილი, მონკუ, ტოდოროვი, სინკლერი, დი კანიო
მსაჯი: ჯ. უინტერი
43 935 მაყურებელი

#### მიდლსბრო 0:4 არსენალი

0:1 ანრი (47), 0:2 პირესი (87პ), 0:3, 0:4 ბერხკამპი (88, 90)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, კუპერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ინსი, მასტო (უილსონი 72), გრინინგი, უინდასი (რიკარდი 56), ბოკშიჩი, ჯობი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, ადამსი, ს. კემპბელი, ვიეირა, პირესი, ლიუნგბერგი (გრიმანდი 65), ლორენი, პარლოუ, ვილტორდი (ვან ბრონკჰორსტი 83), ანრი (ბერხკამპი 73)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ჯობი, პარლოუ, ადამსი, გრიმანდი, პარლოუ
გაძევება: პარლოუ (51), ეჰიოგუ (86)
მსაჯი: გ. ბარბერი
31 557 მაყურებელი

#### სანდერლენდი 1:0 იფსვიჩი

1:0 ფილიპსი (38პ)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰასი, გრეი, კრადოკი, ტომე, არკა (რაე 85), კილბეინი, შვარცი, გევინ მაკენი, ფილიპსი, ლასლანდი (ნ. ქუინი 71)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
იფსვიჩი: სერენი, მაკინი, ჰრეიდარსონი, მაკგრილი (კლაპამი 72), ბრემბლი, მეჯილტონი (კუნაგო 55), ჰოლანდი, ფინიდი, როიზერი, მარკუს სტიუარტი, ჟ. რაიტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: მაკენი, მაკინი
მსაჯი: გ. პოლი
47 370 მაყურებელი

#### ტოტენჰემი 0:0 ასტონ ვილა

ტოტენჰემი: სალივანი, ტარიკო (პერი 81), ციგე გ. დოჰერტი, ბუნიევჩევიჩი, კლემენსი, კინგი, ფრეინდი (ანდერტონი 67), პოიეტი, ლ. ფერდინანდი (ივერსენი 21), რებროვი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ა. რაიტი, მელბერგი, ალფაი, ბოატენგი, კაჩლული (სტონი 81), ლ. ჰენდრი, ეგერსონი, ვასელი (ჰაჯი 74), პაბლო ანხელი (ჟინოლა 62)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: კლემენსი, დოჰერტი, ციგე ბოატენგი, დილანი
მსაჯი: დ. გალაჰერი
36 059 მაყურებელი

**პირველი** ტურის დასრულების შემდეგ პრემიერლიგას ლიდერი ჰყავს. პირველი დივიზიონიდან საპლეიოფო ბრძოლებით გადმოსული „ბოლტონ უონდერერსი“, რომელმაც ლესტერში 5:0 მოიგო. სამაგიეროდ, პრემიერლიგას ჯერჯერობით არა ჰყავს მეგოლეთა ლიდერი, ვინაიდან ერთბაშად ექვსმა ფეხბურთელმა შეასრულა დუბლი.

წლევანდელი პრემიერლიგის პირველი გოლი, რაღა თქმა უნდა, შაბათს გავიდა და იგი ბოლტონელმა კევინ ნოლანმა გაიტანა. მხოლოდ სამიოდ წუთით დააგვიანა ლივერპულელმა მაიკლ ოუენმა, რომელმაც ამ პირველ ტურში პირადად გამოგლიჯა სამი ქულა დაცვაში ჩამდგარ „ვესტ ჰემს“, რომელსაც პაოლო დი კანიო კაპიტნობდა.

და საერთოდ, ეს პირველი ტური კარგი პირველი ტური იყო. მსაჯებმა ორი ტყუილი პენალტი დანიშნეს, რომელთაგან ერთმა მატჩის ბედი გადაწყვიტა, მეორე კი უბრალოდ ლამაზი იყო. ეს მეორე, თავგადაპარსულმა დი კანიომ გაუტანა „ლივერპულის“ მეკარე პეგი არპეშადს. ამ დროს მერსისაიდლები უკვე იგებდნენ 1:0-ს და სტუმართა სიხარული დიდი იყო.

„ლივერპულს“ აკლდნენ მეკარე ვესტერფელდი, ემილ ჰესკი, სტივ ჯერარდი და მწვრთნელთაგან შერისხული რობი ფაულერი. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში გამოჩნდა ტრავმებით ნატანჯი კაპიტანი ჯეიმი რედნაპი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მასპინძელთა გამარჯვებას. გამარჯვების გოლი კი ოუენმა გაიტანა. მან ფრიადზე შეასრულა სამი კლასიკური ილეთის ერთობლიობა და შორეულ ძელთან ჩასვა ბურთი.

მეორე მოგონილი პენალტი „რივერსაიდის“ სტადიონზე დაიდო, როცა სტუმარი „არსენალი“ 1:0-ს უგებდა იქაურ „მიდლსბროს“ და მეთოფეთა მეკარე სიმენი რიგრიგობით იგერიებდა ამილტონ რიკარდისა და ალენ ბოკშიჩის დარტყმებს. 86-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილმა ეშლი კოულმა იმგვარი თეატრი გასწია, რომ მსაჯმა გრემ ბარბერმა მისი ვითომდა წამქცევი უგო ეჰიოგუ მინდვრიდან გააძევა და პენალტიც დანიშნა. პენალტი რობერ პირესმა გაიტანა, გულგატეხილი „ბორო“ კი დარჩენილ სამ წუთში დენის ბერხკამპმა გააცამტვერა ორი მოხდენილი გოლით. მიდლსბროელთა ახალი მენეჯერი, ალექს ფერგიუსონის ყოფილი თანაშემწე სტივ მაკლარენი რატომღაც ტრიბუნიდან, ტელეფონით ხელში ხელმძღვანელობდა მატჩს.

ეს პირველი შაბათი საკვირველი დღე იყო. ორმა გუნდმა შინ ისე წააგო, რომ ცხრა გოლი გაუშვა და ერთიც ვერ გაიტანა. ამ ორივე გუნდს ინგლისის ნაკრების ყოფილი დროებითი მესაჭენი ხელმძღვანელობდნენ: ნახსენები მაკლარენი და „ლესტერის“ თავკაცი პიტერ ტეილორი. საერთოდ, დენის უაიზით გაძლიერებული „ლესტერისთვის“ ახალი ჩემპიონატი მგონი არც დაწყებულა. წინა პირველობის ბოლო ათ ტურში „ლესტერმა“ ცხრა თამაში წააგო და ახლაც ძველ გზას ადგას. სამაგიეროდ, „დერბიმ“ მოახერხა ის, რაც ხუთი წელიწადი იყო, ვერ მოეხერხებინა, მოგებით დაიწყო პრემიერლიგა. ფაბრიციო რავანელიმ გოლით აღნიშნა პრემიერლიგაში დაბრუნება. სუფთად შეინახა კარი პრემიერლიგაში დაბრუნებულმა პიტერ შმაიხელმაც, რომელიც „ასტონ ვილას“ კარში დგას. „ვილამ“ კი უგოლო ფრე მოახერხა ლონდონში „ტოტენჰემთან“. „ევერტონმა“, რომელსაც ლიდერ „ბოლტონთან“ და „ვესტ ჰემთან“ ერთად გავარდნის კანდიდატად ასახელებენ, სამი ქულა წამოიღო ჩარლტონიდან. „ჩელსის“ უფროსობის მიერ დახარჯული ბარე სამოცი მილიონი დოლარი კი ჯერჯერობით შთამბეჭდავს ვერაფერს გვაძლევს. ბუდევინ ზენდენმა კი გაიტანა თავის სადებიუტო მატჩში, მაგრამ მისი დარტყმული უფრო ნიუკასლელთა მეკარე გივენმა შეაგდო საკუთარ კარში, ვიდრე თავდამსხმელმა გაიტანა.

ტურის ულამაზესი და ყველაზე შთამბეჭდავი მატჩი კი კვირა საღამოს გაიმართა „ოლდ ტრეფორდზე“, სადაც პრემიერლიგაში მოსულმა „ფულემმა“ ნამდვილი წარმოდგენა გამართა მასპინძლებთან ერთად. გარი ნევილის სამარცხვინო თამაშის და ლონდონელთა მთავარმეგოლის, ლუი საჰას ბრწყინვალე თამაშის წყალობით „ფულემი“ ორჯერ იგებდა, საბოლოოდ კი „მანჩესტერმა“ მოიგო, რადგან მანჩესტერს ჰყავს რაიან გიგზი, რუუდ ვან ნისტელროი, ხუან ვერონი და რა თქმა უნდა, დევიდ ბექემი. იმის აღწერა, რაც ტაიმნახევრის განმავლობაში ხდებოდა „ოლდ ტრეფორდზე“, ძალიან ძნელია, გადამწყვეტი კი მეორე ტაიმის პირველი რვა წუთი გამოდგა. შეხვედრის 53-ე წუთზე მასპინძლები უკვე 3:2-ს იგებდნენ ვან ნისტელროის ორ წუთში შესრულებული დუბლით, [illegible] მოჰყვა [illegible] ულამაზესი გოლი.

ცნობისთვის: „მანჩესტერი“ როი კინის გარეშე თამაშობდა, „ფულემი“ კი ისეთი მოხდენილი და ტექნიკური გუნდია, როგორიც ოდესღაც იყო მისი მენეჯერი ჟან ტიგანა. მხოლოდ ამ ერთი თამაშით „ფულემი“ უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე პრემიერლიგის გუნდების მთელი დუჟინი. „მანჩესტერი“ კი, „მანჩესტერია“, თუმცაღა დაცვაში აჭრილი, მაგრამ მაინც ძალიან ღონიერი და უტეხი.

„ასეთი ბედნიერი ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ. მესმის, რომ პირველი ტურია და თამაში ჯერ არ გახურებულა, მაგრამ მაინც“ — ეს „ბოლტონის“ მენეჯერის სემ ოლიარდისის სიტყვებია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბოლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 3 |
| 2 არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 3 ლიდსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 დერბი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 7 ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 სანდერლენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 ჩელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 12 ტოტენჰემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 ფულემი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 14 ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 15 ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 ბლექბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 იფსვიჩი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 საუთჰემპტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 20 ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბერხკამპი (არსენალი) | 2 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 2 |
| ნოლანი (ბოლტონი) | 2 |
| ოუენი (ლივერპული) | 2 |
| საჰა (ფულემი) | 2 |
| ფრანდსენი (ბოლტონი) | 2 |

**II ტური**

**წუხელ**
ევერტონი - ტოტენჰემი

**დღეს**
არსენალი - ლიდსი
ბოლტონი - მიდლსბრო
იფსვიჩი - დერბი ქაუნთი

**ხვალ**
ასტონ ვილა - ჩარლტონი
ბლექბერნი - მანჩესტერი იუნ.
ევერტონი - ტოტენჰემი
ფულემი - სანდერლენდი
ნიუკასლი - ლესტერი
ვესტ ჰემი - ჩელსი

## პირველი დივიზიონი

### II ტური

#### ქოვენთრი 0:1 ვულვერჰემპტონი

0:1 რობინსონი (7)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, ლესკოტი, ბატლერი, ნიუტონი, დინინგი, რობინსონი, კენედი, პრუდლოკი, რუსელი (ძიგაბაია 70)
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
22 902 მაყურებელი

#### ბირმინგემი 4:0 მილუოლი

1:0, 2:0 ჰიუზი (22, 27), 3:0 ჰორსფილდი (30), 4:0 იდენი (45)

#### ბარნსლი 2:1 ნოტინგემი

1:0 გალენი (40), 1:1 ჯენქსი (87), 2:1 რანკინი (90)

#### ბარნლი 3:2 უიმბლდონი

0:1 ნილსენი (10), 1:1 ალან მური (12), 2:1 კუკი (31პ), 3:1 არმსტრონგი (40), 3:2 შიპერლი (65)

#### კრიუ 0:2 შეფილდ უენსდი

0:1 სიბონი (4), 0:2 მაკლარენი (70)

#### კრისტალ პალასი 4:1 სტოკპორტი

1:0 რიიჰილაჰტი (52), 1:1 ფრედინი (62), 2:1 მორისონი (68), 3:1 ფრიდმანი (85), 4:1 მორისონი (90)

#### ნორვიჩი 2:0 მანჩესტერ სიტი

1:0 ლიბრა (75), 2:0 მაკვეიგი (90)

#### პორტსმუთი 0:1 ბრედფორდი

0:1 ჯესი (71)

#### პრესტონი 1:1 უოლსოლი

0:1 ერიველტო (36), 1:1 მარდოკი (54)

#### შეფილდ იუნაიტედი 0:0 ჯილინგემი

#### უოტფორდი 3:2 როტერჰემი

1:0 სმიტი (3), 1:1 რობინსი (20), 2:1 ნილსენი (44), 3:1 სმიტი (60), 3:2 რობინსი (66)

#### ვესტ ბრომვიჩი 0:1 გრიმსბი

0:1 ბუტონი (77პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრედფორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| კრისტალ პალასი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ბარნლი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გრიმსბი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ჯილინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 4 |
| ვულვზი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| უოლსოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბირმინგემი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| უიმბლდონი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| სიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ქოვენთრი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მილუოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| უენსდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| უოტფორდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ნორვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ბარნსლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| შეფილდი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ნოტინგემი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| პრესტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| როტერჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ქრიუ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| სტოკპორტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## მეორე დივიზიონი

მე-2 ტური: ბორნმუთი — ბლექპული 0:1; ბრენტფორდი — პორტ ვეილი 2:0; ბრაიტონი — უიგანი 2:1; ბრისტოლი — სუინდონი 3:1; ბერი — ქუინზ პარკი 1:2; კოლჩესტერი — ტრანმერი 2:1; ნოთსი — კემბრიჯი 2:1; ოლდემი — ჩესტერფილდი 1:1; პიტერბრო — კარდიფი 1:1; რედინგი — ჰადერსფილდი 1:0; სტოკი — ნორთჰემპტონი 2:0; უიკომბი — რექსჰემი 5:2

## მესამე დივიზიონი

მე-2 ტური: დარლინგტონი — კიდერმინსტერი 2:0; ჰალიფაქსი — ექსეტერი 1:1; ჰალი — პლიმუთი 0:0; ლეიტონი — კარლაილი 0:0; ლუტონი — ჩელტენემი 2:1; მენსფილდი — საუთენდი 0:0; როჩდეილი — მაკლსფილდი 1:1; სკანთორპი — როვერსი 1:2; შრუსბერი — ჰარტლპული 1:3; სუონსი — ოქსფორდი 0:0; ტორკი — იორკი 0:3; რაშდენი — ლინკოლნი 0:0

## გერმანია

IV ტური

**ვოლფსბურგი 1:1 ფრაიბურგი**

0:1 სელიმი (35), 1:1 მუნტიანუ (67)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, ბეტკოვიჩი, კრიგერი, კარჰანი (პეტროვი 53), ბაბრიკა (კენედი 53), აკონორი, რაუ (კუმბაუერი 53), დ. მუნტიანუ, პონტე, რიშე
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კობიაშვილი, ა. ცაიერი, კელი, ვილი (მუმანი 67), ტანკო (რამდანე 61), კულიბალი, სელიმი, იაშვილი (ბერმელი 81)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: გრაინერი, კენედი, კობიაშვილი
მსაჯი: შტაინბორნი
11 766 მაყურებელი

**კიოლნი 0:2 მიონხენგლადბახი**

0:1 კორზინეცი (47), 0:2 ვან ლენტი (90)
კიოლნი: ბადე, რეები, კულმანი, კელერი, ჩიკონი (ბარანეკი 73), ვოიგტი, შპრინგერი, ლოტნერი (ა. არველაძე 73), შერცი (კროიცი 65), კურტი, რაიხი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტში (ასანინი 62), ვიტეჩეკი, ნილსენი, ჰაუსვაილერი, დემო, კორზინეცი (ულიხი 77), ვან ჰუდტი (კუნცელი 80), ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: რეები, ვოიგტი, პლეტში, კორელი, ებერლი, ვან ლენტი
მსაჯი: ვაგნერი
42 000 მაყურებელი

**შალკე 3:3 ლევერკუზენი**

1:0 ჰაიტო (10), 2:0 ბიომე (40პ), 2:1 ბალაკი (58), 2:2 კირსტენი (73), 3:2 მპენზა (80), 3:3 შნაიდერი (90)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, უდე კამპუისი (ვან ჰუგდალემი 26), კმეტში, ვან კერკჰოვენი, მიოლერი (ვილმოტსი 77), ბიომე, ასამოა (ჯორჯევიჩი 79), ბგალი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე (ვრანიეში 83), სებესკენი, რამელო, ბალაკი (ბერბატოვი 83), ბ. შნაიდერი, ბასტურკი, კირსტენი, ნოივილი (ბრდარიჩი 70)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ბიომე, კმეტში, ბგალი, ლუსიო, ნოვოტნი, ბრდარიჩი
მსაჯი: ბერგი
60 204 მაყურებელი

**ბაიერნი 2:0 ზანქტ პაული**

1:0 სფორცა (13), 2:0 ელბერი (45)
ბაიერნი: კანი, კუფური, ტიამი, ლინკე, სანიოლი (სალიჰამიჯიჩი 78), ლიზარაზუ, ჰარგრისი, სფორცა (ფინკი 68), პაულო სერჯიო (ციკლერი 18), იანკერი, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ზანქტ პაული: ბულატი, სტანისლავსკი, ბარისი (მეგლე 66), ამადუ, შაინჰარდტი, ჰელდი, ლოტერი (ინჩემანი 57), ბიურგერი, რანი (რაკნელი 57), პაჩინსკი, რატი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: ლინკე, ბიურგერი, ინჩემანი
მსაჯი: იანსენი
60 000 მაყურებელი

**ჰანზა 0:2 დორტმუნდი**

0:1 როსიცკი (4), 0:2 ოლისე (13)
ჰანზა: შობერი, შრიოდერი, ჰილი, ემარა, იაკობსონი, ჰირში, რიდლევიჩი, ლანცი, ბაუმგარტი (სალუ 46), ვაისჰაუპტი (დი სალვო 70), ბაიერლე
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, მეცელდერი (მადუნი 81), ევანილსონი, როიტერი, ოლისე, დედე, რიკენი (სტევიჩი 74), როსიცკი, ამოროზო (სორენსენი 64), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: რიდლევიჩი, ლანცი, ევანილსონი, მადუნი, რიკენი
მსაჯი: ალბრეხტი
25 900 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:3 კაიზერსლაუტერნი**

0:1, 0:2 ლინკოლნი (18, 22), 0:3 შტრასერი (28), 1:3 ჰოოგმა (56), 2:3 მეიერი (64)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰოოგმა, ჰერჩი, ჰანადიჩი, ტოფტინგი (მალტრიცი 90), გროთი, ჰოლერბახი (კეტელაერი 31), ალბერტცი (ბესტერი 46), ჰაინცი, მაჰდავიკია, მეიერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი (კლოსი 66), ჰენგენი, კნავსი, შტრასერი, რამზი, ბასლერი, რატინიო (რიდლი 57), ლინკოლნი, ლოკვენცი, პეტერსონი (კლოზე 72)
მწვრთნელი: ანდრეას ბრენე
გაფრთხილება: ჰოოგმა, პიკენჰაგენი, კლოზე
42 073 მაყურებელი

**ვერდერი 1:3 მიუნხენი**

0:1 ბორიმიროვი (30), 1:1 ჰერცოგი (34პ), 1:2 აგოსტინო (39), 1:3 შროტი (58)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, ფრინგსი, აილტსი (ლისტეში 46), ფ. ერნსტი (ბოროვსკი 65), ბოდე (სილვა 46), ბანოვიჩი, ა. ჰერცოგი, აილტონი, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
მიუნხენი: იენჩი, ჰფუდერერი, რისეტი, ტ. ჰოფმანი, მიუკლანდი, ფ. ტაპალოვიჩი, ბორიმიროვი, მ. ვაისენბერგერი (იმუა 68), ჰქალერი (დეედენი 62), შროტი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: ვერლაატი, ჰერცოგი, აილტონი, ბაუმანი, ფრინგსი, ტაპალოვიჩი, შროტი
მსაჯი: ასტი
25 968 მაყურებელი

**ჰერტა 2:3 კოტბუსი**

1:0 მარსელინიო (26), 1:1 და სილვა (56), 1:2 კობილანსკი (64), 1:3 ბრაზილია (80), 2:3 პრეეცი (90)
ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, კონსტანტინიდისი, მაასი (ნოიენდორფი 72), ჰარტმანი (პინტუ 60), ბაინლიხი (დარდაი 68), გოორი, მარსელინიო, ალვეში, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიოზერი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, კალუჟნი, და სილვა, ტიელმანი, რეგეკამპფი, აკრაპოვიჩი, კობილანსკი, ტერმინა (სკერბე 82), ლაპაკი (ბრაზილია 77), ტოპიჩი (მელბიგი 77)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: რემერი, ლაპაკი, ტიელმანი, სკერბე
მსაჯი: შტარკი
42 791 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:4 შტუტგარტი**

0:1 განია (4), 1:1 ნიკლი (38), 2:1 ვენცელი (50ს.კ.), 2:2 ტოდტი (58), 2:3 განია (61), 2:4 ადემარი (88)
ნიურნბერგი: კამპა, ფრაი (ჟუნიორი 73), კოსი, იოჰანსონი, ვიბლიშაუზერი, ნიკლი, სანე, ლ. მიულერი (კრჟინოვეკი 77), იაროლიმი, გომისი (ჰობში 76), მიხალკე
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ბორდონი, ვენცელი, მაისნერი, სოლდო, ტოდტი, ბალაკოვი (ადემარი 75), გლები (ზაიცი 90), განია (ტიფერტი 83)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კოსი, იოჰანსონი, მიულერი, სანე, მიხალკე, სოლდო, ტოდტი
მსაჯი: მაიერი
40 000 მაყურებელი

# ყოჩაღი მათიასი



ჰანზა — დორტმუნდი. მასპინძელი დელანო ჰილი და ტომაშ როსიცკი

REUTERS როიტერის ფოტო

„დორტმუნდი" და „კაიზერსლაუტერნი" საკვირველ სვლას აგრძელებენ. ოთხი ტურის მერე მათ ქულაც არ დაუკარგავთ და პირველ-მეორე ადგილებიც ჯერჯერობით მყარად უპყრიათ. თუმცა, თუ დორტმუნდელთა ასეთ დასაწყისს დიდად არავინ გაუკვირვებია, „ლაუტერნზე" გერმანელები ამბობენ: საინტერესოა, რამდენ ხანს ირბენს მათიას ზამერის აწყვეტილი რაშის მხარდამხარო.

მართლაც, ზამერმა მწვრთნელობის დიდი ნიჭი გამოავლინა. მეორე წელია „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელია და ლამის გასავარდნად განწირული გუნდი კვლავ მოწინავეთა შორის დააყენა. წლევანდელი ფანტასტიკური დასაწყისიც ამ ახალგაზრდა კაცის სწორი მუშაობის ნაყოფია. შაბათს „დორტმუნდმა" ბუნდესლიგის ერთი რეკორდიც დაამყარა — ოთხიდან ოთხივე მატჩი ხომ მოიგო და თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვია...

„ჰანზასთან" შეხვედრის ბედი კი მალევე გადაწყდა. უკვე მე-13 წუთზე სტუმარი დორტმუნდელები ორი ბურთით იგებდნენ. ჯერ ჩეხმა როსიცკიმ მეკარე ლემანის გრძელი გადაცემა დაიმორჩილა, ორი მცველი მოატყუა და ლამაზად გაიტანა. მერე კი როსიცკისვე მოწოდებულ კუთხურს რიდლევიჩის გამოზომილი პასი და ნიგერიელი ოლისეს მეორე გოლი მოჰყვა. ამით ყველაფერი დამთავრდა. „ჰანზა" თითქოს რაღაცას ცდილობდა, მაგრამ სტუმრების კართან სახიფათო ვერაფერი მოახერხა.

ჰამბურგში „ლაუტერნიც" უკვე ნახევარ საათში 3:0 უგებდა მასპინძლებს, თუმცა მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა და ანდრეას ბრემეს ბიჭები ბეწვზე გადარჩნენ. „ჰამბურგმა" ნამდვილი შტურმი მოუწყო სტუმრებს, მაგრამ ველარ გაათანაბრა.

ლაუტერნში წლეულს „ატლეტიკო მინეიროდან" ნაყიდმა ლინკოლმა გაიბრწყინა. ეს 21 წლის ნახევარმცველი კლუბმა იდეაში ფრანგი იური ჯორკაეფის შემცვლელად შეიძინა. ბრაზილიელი კარგად ირჩევდა პოზიციას და მეურვეებსაც იოლად უმკლავდებოდა. შედეგად, სამ წუთში ორი გოლი გაიტანა. მესამე ლუქსემბურგელმა შტრასერმა შეაგდო საჯარიმოდან. მეორე ტაიმში მასპინძლებმა ორი ბურთი კი გაქვითეს, მაგრამ გასათანაბრებლად აღარც ოსტატობა და აღარც იღბალი არ ეყოთ.

შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა „შალკემ" პირველად ითამაშა თავის ახალ „არენაზე", წლევანდელ სეზონში პირველად გაიტანა გოლები, თუმცა პირველი გამარჯვება მაინც ვერ მოახერხა.

ახალი „არენა", ცხადია, გადაივსო. თანაც, გულშემატკივრებს ჩვეული მარშრუტით მოუწიათ მიმოსვლა, რადგან ძველი და ახალი სტადიონები ერთმანეთთან ახლოსაა.

დამთავრებამდე ათი წუთი რჩებოდა, როცა გელზენკირხენელთა ბელგიელმა მპენზამ ბიომეს მარცხნიდან ჩაწოდებულს დიდებული თავური მიუმარჯვა და თავისიანები კვლავ დააწინაურა. დრო იწურებოდა და სტადიონიც გასაგიჟებლად ემზადებოდა, მაგრამ მეორე წამატებულ წუთზე სტუმარმა შნაიდერმა ოსტატური საჯარიმო დაარტყა და თავის გუნდს ქულა მოუტანა, მოწინააღმდეგეს კი ორი დააკარგვინა.

თუმცა, მეორე ტაიმში ლევერკუზენელები უკეთ თამაშობდნენ და ამ ფრეს იმსახურებდნენ კიდეც. აი, პირველი ნახევარი კი მასპინძლებისა იყო. მათ დაშავებული საუკეთესო მეგოლე, დანიელი სანდი აკლდათ. მაგრამ პოლონელმა ჰაიტომ და ბიომემ ტაიმის მიწურულისთვის სტუმრებს ორჯერ გაუტანეს. ბაიერელებს კი დაბრუნებოდათ მომჯობინებული ბალაკი, რომელმაც გუნდი კიდევ უფრო შეკრა. სტუმართაგან საუკეთესო კი ამ ზაფხულს ბუნდესლიგიდან გავარდნილი „ბოხუმიდან" ნაყიდი ბასტურკი გახლდათ.

და კიდევ, 35 წლის ულფ კირსტენმა თავის 173-ე ბურთი გაიტანა ბუნდესლიგაში და ამ ტურნირის ყველა დროის ბომბარდირთა შორის მერვე ადგილზეა. თუ კიდევ შვიდს შეაგდებს, შტეფან კუნცს, კლაუს ალოფსს და დიტერ მიულერს გადაუსწრებს და მეხუთე ადგილზე დადგება. დღევანდელ ბუნდესლიგაში მას, ცხადია, ბადალი არ ჰყავს. არადა, გდრ-ის ჩემპიონატში გატანილ 57 გოლსაც რომ უთვლიდნენ...

„სეზონი ახლა დაიწყო და ცუდად ნამდვილად არ გამოვიყურებით — თქვა ლევერკუზენელთა მწვრთნელმა, კლაუს ტოპმიოლერმა, რომელიც შნაიდერის გამათანაბრებელი გოლის მერე შუა მინდორზე გაიჭრა და თავის ფეხბურთელებთან ერთად ბავშვივით ხარობდა — პენალტი კი, [illegible] საკამათო [illegible] წუთის ბოლო ჩვენზე ალალი იყო".

[illegible] ჰუუბ სტივენსი [illegible] ლუშულეთ: „აბა, [illegible] უპირატესობის განიავება როგორ შეიძლება. „შალკეს" თამაში სასურველისგან ჯერ ძალიან შორსაა. ვიმედოვნებ, სამშაბათს „ჰანზასთან" გადმოტანილ მატჩში უკეთ გავირჯებით" — განაცხადა „შალკეს" დამრიგებელმა.

ჩემპიონ „ბაიერნს" ოთხი მთავარი კაცი აკლდა: შოლს, იერემისსა და ეფენბერგს ტრავმები აწუხებთ, ხოლო პიზარო პერუს ნაკრების შეკრებიდან დროულად ვერ დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, მიუნხენელებმა მაინც იოლად მოიგეს. თავი გამოიჩინა შვეიცარიელმა სფორცამ, რომელმაც თანაგუნდელთა ტრავმების წყალობით, წლეულს პირველად ითამაშა ძირითადში. სფორცამ მე-13 წუთზე გაიტანა, მანამდე ჯერ სანიოლმა ძელს, ელბერმა კი კარის ჯვარედინს მოარტყეს. სტუმართა მეკარე ბულატს მერე გვარიანი ჯაფა დაადგა. სამაგიეროდ, მისი სახელოვანი კოლეგა კანი თითქმის არ შეუწუხებიათ.

ჩვენებურთა „ფრაიბურგმა" ზედიზედ ორი წაგების შემდეგ, წლევანდელ სეზონში პირველად ითამაშა ფრედ. მგლების ქალაქში სტუმრებს დიდი უპირატესობა ჰქონიათ და სელიმის გოლით იგებდნენ კიდეც, მაგრამ მასპინძელთა რუმინელმა მუნტიანუმ გაათანაბრა და მერეც „ვოლფსბურგს" შესაშური სიმტკიცე გამოუვლენია დაცვაში. ქართველებიდან კობიაშვილმა სრულად ითამაშა, ხოლო იაშვილი ბოლოსკენ შეცვალეს.

არჩილ არველაძის „კიოლნმა" კი შინ „გლადბახთან" 0:2 წააგო. ჩვენებურმა ბოლო 17 წუთს ითამაშა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დორტმუნდი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 2 ლაუტერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:5 | 7 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 |
| 3 კოტბუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 4 ლევერკუზენი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 |
| 5 ბაიერნი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 6 გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 7 შტუტგარტი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 8 ჰამბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 9 ჰერტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 10 ფრაიბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 11 კიოლნი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 12 ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 13 მიუნხენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 14 ნიურნბერგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 ჰანზა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 16 შალკე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 17 ზანქტ პაული | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 18 ვოლფსბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ლენტი (მიონხენგლადბახი) | 4 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 4 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 3 |

**V ტური**

8 სექტემბერი
მიუნხენი - ნიურნბერგი
შტუტგარტი - ჰერტა
კოტბუსი - ვოლფსბურგი
ფრაიბურგი - ჰანზა
დორტმუნდი - ბაიერნი
ზანქტ პაული - შალკე
გლადბახი - ლევერკუზენი
9 სექტემბერი
კიოლნი - ჰამბურგი
ლაუტერნი - ვერდერი

## მეორე ბუნდესლიგა

IV ტური

**როიტლინგენი 0:1 ფიურტი**

0:1 შკარაბელა (26)
ფიურტი: რაიხოლდი, უნსოლდი, შკარაბელა, ბატისტა, სურმანი, პლასჰენრიხი, რაიხელი, რუმანი (აზუზი 52), ჰაგნერი (მასა 71), რაისი (ბოი 67), კიოიო
გიორგი დემეტრაძე განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: კლაუს ერკენბრეხერი
7 014 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:0 ბოხუმი**

1:0 კრიტა (69), 2:0 ნერბაუერი (90)

**შვაინფურტი 1:0 არმინია**

1:0 ზაუფერტი (83)

**ალენი 1:0 ალემანია**

1:0 ფაინბერი (8)

**მაინცი 1:0 კარლსრუე**

1:0 შვარცი (51)

**ზაარბრიუკენი 0:2 აინტრახტი**

0:1 კრიჟალოვიჩი (19), 0:2 გუიე-მიენი (88)

**ბაბელსბერგი 3:2 უნიონი**

0:1, 0:2 ისა (5, 49), 1:2 კამპფი (70), 2:2 ლაარსი (77), 3:2 კამპფი (87)

**ობერჰაუზენი 0:2 უნტერჰახინგი**

0:1 მათიას ციმერმანი (74), 0:2 შპიზაკი (85)

**ვალდჰოფი — დუისბურგი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| მაინცი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ბაბელსბერგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ალენი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 9 |
| ჰანოვერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 8 |
| უნიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:4 | 7 |
| კარლსრუე | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ბოხუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ფიურტი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| არმინია | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 6 |
| შვაინფურტი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| უნტერჰახინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ვალდჰოფი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| ალემანია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 3 |
| როიტლინგენი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:10 | 1 |
| დუისბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:10 | 1 |
| ობერჰაუზენი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-4 ტური: ლიუბეკი — მიუნსტერი 4:1; ქემნიცი — პადერბორნი 1:3; ოსნაბრიუკი — კილი 1:1; მაგდებურგი — ბრაუნშვაიგი 1:2; ფერლი — ოსე 0:0; ქელნი — ვატენშაიდი 4:0; დრეზდენი — ფორტუნა 0:1; იურდინგენი — ვერდერი (მოყვ.) 1:1. ლევერკუზენი (მოყვ.) — დიუსელდორფი გადაიდო

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-4 ტური: ერფურტი — ანსბახი 0:1; ჰოფენჰაიმი — ბურგჰაუზენი 1:2; რეგენსბურგი — შტუტგარტი (მოყვ.) 2:1; კიკერსი — აალენი 1:2; ოფენბახი — ელვერსბერგი 0:0; კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) — დარმშტადტი 1:3; ბაიერნი (მოყვ.) — ვეჰენი 0:1; ზიგენი — მანჰაიმი 0:2; ფულდა — ტრირი 1:3



REUTERS ლიონი — გენგამი. ჰუბერტ ფურნიე (მარცხნივ) და ფრედერიკ ნე ამას გადავლა ჰქვია

# დეჟა ვიუ...

## საფრანგეთი

IV ტური

**ოსერი 2:1 სედანი**

1:0 კაპო (13), 1:1 ზ. კამარა (77), 2:1 ჟ. სისე (90)

**მონაკო 2:2 პარი სენ ჟერმენი**

1:0 ნონდა (38), 2:0 ჟიული (55), 2:1 დეუ (67), 2:2 ალოიზიო (74)

**ლიონი 3:0 გენგამი**

1:0 ს. ანდერსონი (83), 2:0 ნე (85), 3:0 ფოე (90)

**ლილი 2:1 მონპელიე**

0:1 მაულიდა (78), 1:1 შეირუ (88), 2:1 ბაკარი (90)

**მარსელი 0:1 ტრუა**

0:1 გუსე (58)

**რენი 1:0 ბორდო**

1:0 მონტერუბიო (72)

**ნანტი 1:2 ბასტია**

0:1 ქსიენი (15), 1:1 მოლდოვანი (25), 1:2 დიუზი (30)

**სოშო 2:2 ლორიანი**

1:0 მერიმი (17), 2:0 ტრაპასო (26), 2:1, 2:2 დარშევილი (52, 65)

**მეცი 0:1 ლანსი**

0:1 დიუფი (40)

„ლანსმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო, საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვაც ამით დავიწყოთ.

მთელი მატჩის განმავლობაში ვითარების ბატონ-პატრონმა სტუმრებმა ელჰაჯი დიუფის გოლი იკმარეს უდანაკარგო სვლის გასაგრძელებლად. ჟოელ მიულერის შეგირდები ძალიან კარგად ირჯებოდნენ და მეცელებს ქულის აღების შანსიც არ მისცეს.

შაბათ საღამოს „სენ სიმფორიენის" სტადიონი მხოლოდ ჩემპიონატის ლიდერის სტუმრობამ არ შეავსო. „მეცის" მოწინააღმდეგის სათადარიგოთა სკამზე ის კაცი იჯდა, რომელიც ლოტარინგელებს ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა და საკმაო წარმატებასაც მიაღწია ამ გუნდში. ამ სეზონიდან კი მიულერი უკვე „ლანსს" თავკაცობს. მაყურებელი მას დიდი ოვაციით შეხვდა და წაგებაც შედარებით მშვიდად გადაიტანა.

ჩრდილოელებმა თავიადნ ტერიტორიული უპირატესობა დათმეს, მაგრამ წინა ტურში გაძევებული პასკალ პიერის გარეშე მეცელებს თამაშის ორგანიზება ერთობ გაუჭირდათ და ამიტომ სახიფათოდაც ვერ შეუტიეს. თუმცა მათ მაინც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ მე-7 წუთზე ჟერალ ბატიკლმა ცოტათი გადააცილა ბურთი გიიომ ვარმუზის კარს. ექსოსერელს თხუთმეტიოდე წუთში კიდევ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მან ვერაფრით აჯობა „ლანსის" კარის დარაჯს.

39-ე წუთზე ფრედერიკ მეიროს ჩაწოდებულს ტრეზორ მორენომ ძირსდაუშვებლად დაჰკრა, მაგრამ ვარმუზმა ისევ იყოჩაღა და მომდევნო იერიშისას მისმა თანაგუნდელებმა ანგარიშიც გახსნეს. მარცხენა ფლანგზე დანიშნული საჯარიმო პედრონმა ჩააწოდა და დიუფის თავურიც ზუსტი გამოდგა.

შესვენების შემდეგ „მეცი" ბევრს ეცადა, ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ ამაოდ. არადა, მასპინძლები 50-ე წუთზე მიზანთან ძალიან ახლოს იყვნენ. ბატიკლის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა, მორენოს დამატებული კი ხარიხამ მოიგერია. დანარჩენ დროში დიდი საინტერესო აღარაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით დანიელ მორეირას მეკარესთან პირისპირ გასვლას, რომლის დროსაც მეცელები მეორე გოლს კამერუნელმა მეკარე ჟაკ სონგომ გადაარჩინა.

სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი „ოსერმა" შეინარჩუნა. ბურგუნდიელები გამარჯვებას თავიანთ აღმოჩენა ჯიბრილ სისეს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ბოლო წუთზე გაიტანა სეზონში თავისი მეშვიდე (!) გოლი და სამი ქულაც ოსერში დატოვა.

გი რუს ბიჭებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე შეუტიეს და მალევე შექმნეს ხიფათი სედანიელთა კართან. გოლი კი მე-13 წუთზე გაიტანეს, როცა კაპომ აკრობატულ ნახტომში ეფექტურად დაარტყა.

ოსერელები ამის მერე მოეშვნენ. სტუმრები კი პირიქით, გააქტიურდნენ. ნდიეფის ორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. 77-ე წუთზე კამარამ რამდენიმე ბურგუნდიელი მცველი მონუსხა და ანგარიშიც გაათანაბრა. თუმცა 90-ე წუთზე კაპოს გადაცემა სისემ შეირგო და „ოსერმა" მაინც მოიგო.

მეტად დაძაბული და უხეში გამოდგა შეხვედრა ლიონში, სადაც მასპინძლებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ საუკეთესო მეგოლე, ბრაზილიელი სონი ანდერსონი ტრავმის გამო დაკარგეს. მსაჯს ხუთი ყვითელი და ორი წითელი ბარათის ჩვენება მოუხდა. ანგარიში პენალტით ანდერსონმა გახსნა. ამას გენგამელებმა ბარდონისა და კარნოს შეტევებით უპასუხეს, მაგრამ გრეგორი კუპე ორივეჯერ შეუვალი აღმოჩნდა. მეორე ტაიმში „ბასტიადან" გადმობარგებულმა ფრედერიკ ნემ მეორე გაუტანა სტუმრებს, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში კი კამერუნელმა მარკ ვივიენ ფოემ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

როგორც იქნა, გოლი გაიტანა „მონაკომაც", თუმცა სათავადოს გუნდს პირველ გამარჯვებამდე ისევ მოუწევს ცდა. შესაძლებელია, დიდიე დეშანი „პარი სენ ჟერმენთან" შეხვედრის შედეგით უკმაყოფილო იყოს, რადგან მისმა შეგირდებმა პირველად აჩვენეს გააზრებული თამაში და, ალბათ, მოგებასაც იმსახურებდნენ, მით უფრო ისინი შაბანი ნონდასა და ლუდოვიკ ჟიულის გოლებით 2:0 დაწინაურდნენ. თუმცა პარიზელები შეტევაში კარგად ირჯებოდნენ და ჩამორჩენის აღმოფხვრაც მოახერხეს. ფრედერიკ დეუმ კი ისეთი სილამაზის გოლი შეაგდო, დიდი შანსია, მთელი დარჩენილი ჩემპიონატის განმავლობაში მსგავსი ვეღარ ვიხილოთ. პსჟ-ს მცველმა დაახლოებით 18 მეტრიდან მაკრატელათი გაუტანა მასპინძლებს.

„ჩემთვის გუნდი მხოლოდ ახლა დაიბადა. სულ სხვანაირი თამაში ვაჩვენეთ, ვიდრე წინა სამ ტურში და ვწუხვარ, რომ გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ" — განაცხადა მონაკოელთა თავკაცმა, საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა დიდიე დეშანმა.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 12 |
| ოსერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ლიონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ლილი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ტრუა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| სოშო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| პსჟ | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| რენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:9 | 6 |
| მონპელიე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ბორდო | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 5 |
| ბასტია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლორიანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| გენგამი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| მეცი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| სედანი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| მარსელი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| მონაკო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| ნანტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

## მეორე დივიზიონი

მე-4 ტური: გრენობლი — სენტ ეტიენი 1:0; ბოვე — ნიცა 1:0; კაენი — მარტიგი 1:0; შატორუ — ამიენი 2:0; კრეტეი — აიაჩო 0:2; ლე მანი — ვასკეალი 2:2; ნანსი — გენიონი 0:1; ნიმი — ლე ავრი 0:0; ნიორი — ისტრი 2:0; სტრასბური — ლავალი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენიონი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:3 | 12 |
| სტრასბური | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| აიაჩო | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| ბოვე | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| ნიორი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| კაენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| გრენობლი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| შატორუ | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| ნიცა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ამიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ლე ავრი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ვასკეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| კრეტეი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლე მანი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | 3 |
| ლავალი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ისტრი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| სენტ ეტიენი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ნიმი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ნანსი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| მარტიგი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |

# სულშიჩაფურთხებულნი

## რუსეთი

XXII ტური

**ტორპედო ზილ 0:0 როსტსელმაში**

**დინამო 2:1 ჩერნომორეცი**

1:0 გუსევი (36), 2:0 ხაზოვი (51), 2:1 ბედენარი (85)

**ფაკელი 0:5 სპარტაკი**

0:1 ბესჩასტნიხი (12), 0:2 ციხმეისტრუკი (19), 0:3, 0:4 რობსონი (30, 45), 0:5 ციხმეისტრუკი (68)

**ტორპედო 3:2 ზენიტი**

1:0 შირკო (4), 2:0 იოლოვიჩი (9), 2:1 ოსიპოვი (10), 3:1 ლეონჩენკო (23პ), 3:2 გორშკოვი (87)

**კრილია სოვეტოვი 1:0 სოკოლი**

1:0 კარიაკა (21)

**ანჟი 0:0 ცსკა**

**სატურნი 2:1 როტორი**

0:1 ალდონინი (58), 1:1 როგაჩოვი (61), 2:1 სმერტინი (88)

**ალანია 1:1 ლოკომოტივი**

0:1 ობიორა (30), 1:1 ბაზაევი (79)

„სპარტაკმა" ვორონეჟში „ფაკელი" დაანგრია და მდევრებს ოთხი ქულით გაუსწრო. შესაძლოა, ეს დიდი სხვაობა არც იყოს, მაგრამ წლეულს პირველად მოხდა, რომ ლიდერმა დანარჩენებს ამდენით აჯობა. აქამდე პირველ-მეორე ადგილებს შორის სხვაობა ორ ქულაზე მეტი არ ყოფილა.

„სპარტაკს" კვალში სამი გუნდი უდგას: „ლოკომოტივი", „კრილია" და „ზენიტი". ამათგან წინა ტურში მხოლოდ სამარელებმა იმარჯვეს, შინ „სოკოლს" კარიაკას პენალტით მოუგეს და მედლებისთვის ბრძოლას კვლავაც განაგრძობენ. ისიც სათქმელია, რომ სამარელები ბოლო 25 წუთს კაცნაკლულნი უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგეს, მცველი დოხოიანი ორი ყვითლის გამო გააძევეს. თუმცა სარატოველებმა ამით ვერ ისარგებლეს.

„პირველ ტაიმში მწყობრად ვთამაშობდით, გოლიც გავიტანეთ და მომენტებიც შევქმენით. მერე კი ავირიეთ. თუმცა, ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ, ჩვენ ხომ რიცხობრივ უმცირესობაში ვამთავრებდით მატჩს" — თქვა „კრილიას" მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა.

„ლოკომოტივი" ობიორას გოლით თითქმის ბოლომდე უგებდა მასპინძლებს. პირველ ტაიმში რკინიგზელები გაცილებით სჯობდნენ მოწინააღმდეგეს და კიდევ რამდენჯერმე უნდა გაეტანათ. მეორეში კი ალანებმა იძალეს და დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ბაზაევის გამათანაბრებელიც ლოგიკური იყო. კვლავ არ ითამაშა ზაზა ჯანაშიამ. მწვრთნელმა სიომინმა ის ერთი ტაიმი დუბლშემადგენლობაში გამოსცადა, ძირითადების მატჩში კი სათადარიგოდ გაამწესა.

„ზენიტი" „ლუჟნიკის" სტადიონზე „ტორპედოსთან" დამარცხდა. თავიდან ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. პირველ ათ წუთში მაყურებელმა სამი გოლი იხილა, აქედან ორი მასპინძლებისა იყო და ერთიც სტუმრების. პირველ ტაიმში ტორპედოელებმა მესამეც გაიტანეს, შირკოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად დაარტყა ლეონჩენკომ. მერე, როცა დამთავრებას ორი წუთი აკლდა, სტუმრებმა გორშკოვმა ერთი გოლით, მაგრამ გამარჯვებისთვის პეტერბურგელებს ძალა აღარ ეყოთ. ამით ზენიტელთა წაუგებელი სერია დამთავრდა. ამათ ბოლო ათ მატჩში ხომ არცერთი წაეგოთ.

„ორი გოლი ძალიან მალე გავუშვით და ანგარიშზე ამანაც იმოქმედა. თანაც, ჩემმა ფეხბურთელებმა რამდენიმე ნაღდი მომენტი გააცუდეს. ამას საშინელი მინდორიც დაუმატეთ და წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა" — ასეთი იყო ზენიტელთა გაბრაზებული დამრიგებლის, იური მოროზოვის კომენტარი.

ახლა „სპარტაკზეც" ვთქვათ. რუსული მედია აღნიშნავს, რომ ვორონეჟში შეცდომების კომედია გათამაშდა. მასპინძლები დაცვაში ხომ სცოდავდნენ და რამდენიმე ნაღდი შანსიც ვერ გამოიყენეს. შედეგად, 24 ათასი ქომაგი გამწარებული უცქერდა თავისი გუნდის გაბითურებას.

„რა უნდა ვთქვათ, გავთახსირდით და ეგ არის. თანაც, სტადიონზე ამდენი ხალხი მოვიდა. არა, ნამდვილად ქალაქისა და რაიონის სულში ჩაფურთხებაა" — ეს „ფაკელის" მწვრთნელ ალექსანდრ ავერიანოვის სიტყვებია.

სპარტაკელთა მწვრთნელი ოლეგ რომანცევი კი, ცხადია, ჩინებულ ხასიათზე იყო. საერთოდ, ის პრესკონფერენციებზე თავის თანაშემწეს აგზავნის ხოლმე და ამისთვის არა ერთხელ დაუჯარიმებიათ ამჯერად კი ჩიტი ბრდღვნად ღირდა: „ვფიქრობ, დღეს „სპარტაკმა" სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. უკან დასახევი გზა აღარ გვქონდა, ხუთი გუნდი ფეხდაფეხ მოგვყვებოდა, „ფაკელთან" შარშანდელი წაგებაც გვახსოვდა და ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ" — თქვა რომანცევმა.

ჩვენმა სპარტაკელმა კახა მჟავანაძემ ბოლო ათ წუთს ითამაშა.

როგორც იქნა, მოიგო მოსკოვის „დინამომ". დინამოელებმა თითქმის გავარდნილ „ჩერნომორეცს" 2:1 სძლიეს. საინტერესოა, რომ ეს თეთრ-ცისფერთა პირველი გამარჯვებაა მეორე წრეში.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 22 | 12 | 7 | 3 | 37:17 | 43 |
| ლოკომოტივი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:18 | 39 |
| კრილია | 22 | 11 | 6 | 5 | 28:16 | 39 |
| ზენიტი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:29 | 39 |
| ცსკა | 22 | 9 | 9 | 4 | 25:15 | 36 |
| ტორპედო | 22 | 10 | 5 | 7 | 38:32 | 35 |
| სოკოლი | 22 | 10 | 5 | 7 | 24:27 | 35 |
| სატურნი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:16 | 34 |
| ანჟი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:20 | 27 |
| დინამო | 22 | 6 | 7 | 9 | 27:34 | 25 |
| როსტსელმაში | 22 | 6 | 6 | 10 | 18:24 | 24 |
| ალანია | 22 | 6 | 6 | 10 | 22:31 | 24 |
| როტორი | 22 | 5 | 6 | 11 | 24:33 | 21 |
| ტორპედო ზილ | 22 | 4 | 8 | 10 | 13:28 | 20 |
| ფაკელი | 22 | 5 | 4 | 13 | 19:31 | 19 |
| ჩერნომორეცი | 22 | 3 | 7 | 12 | 11:40 | 16 |



ფაკელი — სპარტაკი. ედუარდ ციხმეისტრუკმა (მარჯვნივ) „ფაკელს" მოუგო

# გამტანმა ვერ გაიტანა

## შოტლანდია

IV ტური

**პართსი 3:1 დანდი**

1:0 კამერონი (13), 2:0, 3:0 უოლესი (14, 18), 3:1 ნემსაძე (86)

დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი, დელ რიო, გარიდო (მილნი 73), რომანო, ნემსაძე, რაე, კარანსა, კაბალიერო, სარა

მსაჯი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ნემსაძე, კაბალიერო, კარანსა

12 259 მაყურებელი

**აბერდინი 4:2 მოზერუელი**

1:0 ტრონსლი (20), 1:1 რიდი (29), 1:2 კელი (31), 2:2 ვინტერსი (34), 3:2 მაკი (55), 4:2 ზერუალი (76)

**დანდი იუნ. 3:2 დანფერმლაინი**

1:0 მაკინტაირი (13), 2:0 ლილეი (28), 2:1, 2:2 სკოტ ტომსონი (61პ, 77), 3:2 ჰამილტონი (80პ)

**კილმარნოკი 2:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 დი ჯაკომო (12), 2:0 ჰიცო (24), 2:1 ფალკონერი (90)

**ლივინგსტონი 0:0 სელტიკი**

**რეინჯერსი 2:2 ჰიბერნიანი**

0:1 მაკმანუსი (19), 1:1 ჰიუზი (29), 2:1 ფლო (49), 2:2 ორმანი (59)

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გოლი შეაგდო, თუმცა მანამდე: „სელტიკი" ეგრეთ წოდებული ასპროცენტიანი სვლით ველარ დაიკვეხნის — „ლივინგსტონმა", რომელიც, სხვათა შორის, მოედნიდან 10 კაცით გავიდა, არაფერი დაუთმო — 0:0. ამასთან, ჰენრიკ ლარსონმა პენალტი ვერ გაიტანა.

მაგრამ, ფეხი მხოლოდ „სელტიკს" როდი დაუცდა. საზეიმოდ არც „რეინჯერსს" და „დანდის", ტურის წინ მეორე და მესამე ადგილებზე მყოფ გუნდებს გაუხდიათ საქმე. „რეინჯერსი" „ჰიბერნიანს" ეთამაშებოდა და 2:2-ზე უკეთესი ვერაფერი შეძლო, ხოლო „დანდიმ" „პართსთან" სულაც წააგო, 1:3.

ასე და ამგვარად, ცხრილის სათავეში კვლავ „სელტიკია" და, როგორც ხედავთ, „რეინჯერსს" 2 ქულით უსწრებს, ხოლო „დანდი" მეოთხე ადგილზე ჩასრიალდა და მესამე პოზიცია „დანდი იუნაიტედს" დაუთმო.

ახლა კი, ორიოდ სიტყვით დავუბრუნდეთ „სელტიკ" — „ლივინგსტონის" უგოლო თამაშს, რომელიც „აიბროქს პარკზე" გაიმართა. 77-ე წუთზე, საკუთარ საჯარიმოში ფრიად უხეში თამაშისთვის, სტუმარმა გერი ბოლანმა წითელი ბარათი რომ იხილა, გლაზგოელებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ თურმე აჩქარდნენ: წინა სეზონის „ოქროს ბუცის" მფლობელმა ლარსონმა თერთმეტი მეტრიდან მეტოქის მეკარე ხავიერ სანჩეს ბროტოს ვერ აჯობა. მასპინძელთათვის სახეირო არც ამის შემდეგ მომხდარა რამე, „ლივინგტონმა" კი ის ქულა მოიპოვა, რომელიც სეზონის ბოლოს ვინ იცის, როგორ გამოადგება.

ხოლო „ჰიბერნიანის" მოთამაშემ ალან ორმანმა მე-60 წუთზე 25 მეტრიდან დაუმიზნა „რეინჯერსის" კარს და თავისიანებს ქულა მოუპოვა.

სხვათა შორის, თავიდანაც ედინბურგელები დაწინაურდნენ. მე-20 წუთზე ტომ მაკმანუსმა გაიტანა მატჩის პირველი გოლი, მაგრამ მოგვიანებით სტივენ ჰიუზმა გაქვითა, ხოლო ნორვეგიელმა ტორე ანდრე ფლომ მეორეც შეუგდო.

ფაქტია, გლაზგოელებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა პირველ ადგილზე დაბრუნებულიყვნენ — საიდანაც გასულ სეზონში „სელტიკმა" ჩამოაგდო — და ამიტომ, 2:2-ის მერე დიდი ძალისხმევით შეუტიეს მეტოქეს, ოღონდ დიდ წინააღმდეგობასვე წააწყდნენ და საბოლოოდ ველარაფერი შეცვალეს.

„პართსი" კი „დანდის" მე-18 წუთზე უკვე 3:0-ს უგებდა. ორი გერი უოლესმა გაიტანა, ხოლო ერთი — კოლინ კამერონმა.

დანდელთა პრესტიჟის გოლი კი შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთით ადრე საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ შეაგდო.

**ბაბუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:0 | 10 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 8 |
| დანდი იუნაიტედი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| დანდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| დანფერმლაინი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:9 | 6 |
| ჰართსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ჰიბერნიანი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| კილმარნოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ლივინგსტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| აბერდინი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| მოზერუელი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:11 | 2 |
| სენტ ჯონსტონი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

### პირველი დივიზიონი

მე-3 ტური: პარტიკ თისტლი — ინვერნესი 1:0; როს ქაუნთი — რეით როვერსი 1:0; ეირდრი — ეირი 2:1; კლაიდი — არბროა 1:0; ფალკირკი — სენტ მირენი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეირდრი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:3 | 7 |
| პარტიკ თისტლი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| ეირი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ფალკირკი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| სენტ მირენი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 4 |
| კლაიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| როს ქაუნთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| არბროა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| რეით როვერსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ინვერნესი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

### მეორე დივიზიონი

მე-3 ტური: ბერვიკი — კლაიდბანკი 0:2; ფორფარი — სტენჰაუზმური 1:2; ჰამილტონი — ქოუდენბითი 1:0; მორტონი — ქუინ ოფ საუთ 2:2; სტრენრარი — ალოა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კლაიდბანკი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| ალოა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| მორტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| სტრენრარი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| ჰამილტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სტენჰაუზმური | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ფორფარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ქოუდენბითი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ქუინ ოფ საუთ | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ბერვიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

### მესამე დივიზიონი

მე-3 ტური: დამბარტონი — ქუინზ პარკი 2:1; ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 0:4; ელჯინი — ალბიონი 2:0; მონტროუზი — პიტერჰედი 0:3; სტირლინგი — ბრეჩინი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეჩინი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| ელჯინი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| დამბარტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| სტირლინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| მონტროუზი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ისტ სტირლინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:3 | 3 |
| პიტერჰედი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ქუინზ პარკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ალბიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ისტ ფაიფი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:10 | 1 |



ჰართსი — დანდი. გერი უოლესმა ზურაბ ხიზანიშვილიც გააწამა და „დანდის" დაცვაც

## შვეიცარია

A ჯგუფი

VIII ტური

**აარაუ 1:1 ბაზელი**

1:0 ოკპალა (55), 1:1 კრეიცერი (69)

**გრასჰოპერი 1:2 ლოზანა**

0:1, 0:2 ტიავუ (5, 29), 1:2 ნუკუზი (90)

**ლუცერნი 1:3 სენტ გალენი**

1:0 ალკორსუ (24), 1:1 განე (38), 1:2 ჟაირო (63), 1:3 განე (73)

**იანგ ბოისი 2:0 ქსამაქსი**

1:0 სერმეტერი (19), 2:0 პეტროსიანი (90)

**ლუგანო — ციურიხი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იანგ ბოისი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:10 | 15 |
| ციურიხი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:7 | 15 |
| სიონი | 7 | 4 | 1 | 2 | 16:7 | 13 |
| ლუგანო | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 13 |
| აარაუ | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| გრასჰოპერი | 8 | 3 | 2 | 3 | 20:12 | 11 |
| ქსამაქსი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:5 | 9 |
| სერვეტი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| სენტ გალენი | 8 | 2 | 2 | 4 | 13:18 | 8 |
| ბაზელი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:17 | 8 |
| ლოზანა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 |
| ლუცერნი | 8 | 0 | 2 | 6 | 6:22 | 2 |

B ჯგუფი

მე-9 ტური: ვილი — ბელინცონა 3:0; კონკორდია — ვინტერთური 2:3; დელემონი — თუნი 3:0; კარუჟი — კრიენსი 2:1; ლოკარნო — ბადენი 2:1; ივერდონი — ვადუცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვინტერთური | 9 | 5 | 3 | 1 | 22:16 | 18 |
| ვილი | 9 | 4 | 2 | 3 | 20:15 | 14 |
| ვადუცი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:15 | 14 |
| კრიენსი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 14 |
| დელემონი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:11 | 14 |
| ბადენი | 9 | 3 | 4 | 2 | 16:11 | 13 |
| კარუჟი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 |
| კონკორდია | 9 | 3 | 3 | 3 | 20:19 | 12 |
| თუნი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:17 | 12 |
| ლოკარნო | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 8 |
| ივერდონი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:14 | 7 |
| ბელინცონა | 9 | 2 | 1 | 6 | 8:17 | 7 |

## ჰოლანდია

I ტური

**აიაქსი 1:1 როდა**

0:1 ნიგაარდი (79), 1:1 ვან დერ ვაარტი (83)

აიაქსი: გრიმი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, კოვუ მაქსველი, იაკუბუ, ვან დერ ვაარტი, ვან დერ გუნი (მახლასი 65), კნოპერი (იბრაჰიმოვიჩი 83), შ. არველაძე, მიდო (ვამბერტო 65)

მსაჯი: კო ადრიანსე

33 116 მაყურებელი

**გრონინგენი 2:2 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 ბროერსი (6), 2:0 უგო (57), 2:1 კეჟმანი (69პ), 2:2 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (86)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰოფლანდი (ბახოიძე 73), ნიკიფოროვი, ლუსიუსი, ფოგელი (დე იონგი 80), ვან ბომელი, ბუმა, რომედალი, ბრუგინკი, კეჟმანი, რამზი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 46)

მსაჯი: ერიკ გერეტსი

13 000 მაყურებელი

**ტვენტე 1:0 ვალვაიკი**

1:0 ვან დერ ლაანი (8)

**ფეიენოორდი 5:0 სპარტა**

1:0 ტომასონი (11), 2:0 ემერტონი (23), 3:0 ბოსველტი (56), 4:0, 5:0 ტომასონი (88, 90)

**სიტარდი 0:0 ვიტესი**

**ტილბურგი 3:1 ნაიმეგენი**

1:0 იანსენსი (5), 2:0 ლანძაატი (23), 3:0 აბდელაუი (32), 3:1 ვისგერბოფი (60)

**ვრააფსხაპი 3:0 ალკმარი**

1:0 მეერდინკი (6), 2:0 შულპი (23), 3:0 პრომისი (87)

**დენ ბოსხი 0:0 ჰერენვენი**

**ბრედა 1:0 უტრეხტი**

1:0 სალმონი (73)

## პოლონეთი

A ჯგუფი

მე-5 ტური: ვისლა — ოდრა 1:0; ვიძევი — გურნიკი 1:2; კატოვიცე — ოსტროვიცა 2:2; ზაგლებე — პოლონია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| ოდრა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 |
| პოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 |
| ზაგლებე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| კატოვიცე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| გურნიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ოსტროვიცი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |

B ჯგუფი

მე-5 ტური: გროცლინი — რუხი 4:1; პოგონი — შლიონსკი 2:1; ლეგია — რადომსკო 2:1; ამიცა — სტომილი 3:2;

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| პოგონი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ლეგია | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| გროცლინი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| შლიონსკი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| სტომილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| რადომსკო | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| რუხი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |

## ბელგია

II ტური

**ბევერენი 1:1 ლიერსი**

0:1 დე როეკი (26), 1:1 ვოსტინი (74)

ლიერსი: ნიკოლოვსკი, პოორტერსი, სმეეტსი, ლეენი, სნოექსი, სელსი, გადიაგა (პოუსგემსი 79), ტომპსონი (წერეთელი 81), მარდულიე, დე როეკი, იანსენსი

გელა წერეთელი სათადარიგო იყო

მსაჯი: ვალტერ მეუსი

7 000 მაყურებელი

**ანტვერპენი 3:0 გენკი**

1:0 პინჩენი (30), 2:0 ვერბეეკი (37), 3:0 მუსა (75)

**ლუვიე 1:3 ანდერლეხტი**

0:1 ტურაჩი (13ს.კ.), 1:1 უედეკი (28), 1:2 არუნა (51), 1:3 იაშჩუკი (74)

**მოლენბეკი 0:1 შარლერუა**

0:1 როხასი (80)

**სენტ ტრუიდენი 4:3 ლომელი**

0:1 დეკელვერი (20), 1:1 მბონაბუკია (28), 1:2 ვალიგორა (36), 1:3 ტანკარი (48), 2:3 ბოფინი (70), 3:3 მბონაბუკია (88), 4:3 მიტროვიჩი (90)

**სტანდარდი 3:0 ბეერსხოტი**

1:0, 2:0, 3:0 ლუკუნკუ (5, 34პ, 51)

**ვესტერლო 0:1 აალსტი**

0:1 აელბრეხტი (52)

**მუსკრონი 0:1 გენტი**

0:1 ნილსენი (31)

**ლოკერენი 0:1 ბრიუგე**

0:1 მენდოსა (6)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გენტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| აალსტი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| სტანდარდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| შარლერუა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბეერსხოტი | 2 | 1 | 0 | 1 | 8:5 | 3 |
| გენკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ლომელი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ანტვერპენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სენტ ტრუიდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:7 | 3 |
| ლიერსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლოკერენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბევერენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| მუსკრონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| მოლენბეკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ვესტერლო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ლუვიე | 2 | 0 | 0 | 2 | 3:11 | 0 |

## პორტუგალია

II ტური

**პორტუ 4:1 ბოავიშტა**

1:0 კლეიტონი (21), 1:1 პეტი (67), 2:1 ჟორჟე კოშტა (79), 3:1 ანდრადე (87), 4:1 პოსტიგა (89)

**ლეირია 2:1 სანტა კლარა**

1:0 დერლეი (25), 2:0 დუა (40), 2:1 ტონიტო (45პ)

**სეტუბალი 2:0 ვარზიმი**

1:0, 2:0 ენრიკე (48, 63)

**ალვერკა 1:0 ფერეირა**

1:0 კაიუ (24პ)

**ბენფიკა 2:0 სალგეირუში**

1:0 შოკოტა (54), 2:0 ზაპოვიჩი (74)

**ბეირა მარი 2:0 მარიტიმუ**

1:0, 2:0 ფარი (37, 44)

**ბელენენსეში 3:0 სპორტინგი**

1:0 ნეკა (17), 2:0 მარკაუ (31), 3:0 ნეკა (62)

**ჟილ ვისენტე 2:1 ბრაგა**

1:0 ლურეირუ (11), 1:1 ბაროსო (24), 2:1 კარლოსი (35პ)

**ფარენსე — გიმარაეში**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟილ ვისენტე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ფარენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ფერეირა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ალვერკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| მარიტიმუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სეტუბალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბეირა მარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ლეირია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სანტა კლარა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბრაგა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვარზიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სალგეირუში | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## შვედეთი

მე-18 ტური: ჰამარბი — ჰალმსტადი 1:0; ჰელსინგბორგი — ჰეკენი 1:0; [illegible] — აიკ 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 18 | 10 | 5 | 3 | 28:16 | 35 |
| იურგორდენი | 17 | [illegible] | 5 | 3 | 22:15 | 32 |
| გიოტებორგი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:21 | 27 |
| აიკ | 18 | 7 | 6 | 5 | 25:21 | 27 |
| ჰალმსტადი | 18 | 7 | 5 | 6 | 36:23 | 26 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 6 | 8 | 4 | 28:23 | 26 |
| იორგრიტე | 17 | 6 | 7 | 4 | 23:20 | 25 |
| მალმიო | 17 | 7 | 3 | 7 | 28:25 | 24 |
| ელფსბორგი | 18 | 6 | 4 | 8 | 26:33 | 22 |
| იორებრო | 17 | 4 | 9 | 4 | 29:29 | 21 |
| ჰეკენი | 18 | 4 | 6 | 8 | 22:26 | 18 |
| ნორჩიოპინგი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:31 | 17 |
| სუნდსვალი | 17 | 3 | 5 | 9 | 14:25 | 14 |
| ტრელებორგი | 17 | 3 | 4 | 10 | 19:38 | 13 |

## დანია

მე-5 ტური: კოპენჰაგენი — აკადემისკი 0:2; ორჰუსი — ოდენსე 0:1; მიდტიულანდი — ლიუნგბიუ 0:0; ვიბორგი — ვაილე 1:2; ბრონდბიუ — სილკებორგი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 5 | 4 | 0 | 1 | 14:2 | 12 |
| ოლბორგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ლიუნგბიუ | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ვაილე | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| კოპენჰაგენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| აკადემისკი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| მიდტიულანდი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| ოდენსე | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ვიბორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ესბიერგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| სილკებორგი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:11 | 2 |
| ორჰუსი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:10 | 1 |

## ნორვეგია

მე-19 ტური: როზენბორგი — ბრინი 3:1; ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 1:2; ბრანი — ოდ გრენლანდი 3:1; მოლდე — სტრიომსგოდსეტი 3:0; მოსი — ტრომსიო 3:1; სტაბეკი — ლინი 2:5; ვიკინგი — სოგნდალი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 19 | 12 | 5 | 2 | 53:22 | 41 |
| ლილესტრიომი | 18 | 12 | 3 | 3 | 46:24 | 39 |
| ვიკინგი | 19 | 11 | 5 | 3 | 36:21 | 38 |
| ბრანი | 19 | 11 | 4 | 4 | 53:30 | 37 |
| სტაბეკი | 19 | 11 | 1 | 7 | 36:31 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 18 | 9 | 4 | 5 | 36:25 | 31 |
| მოლდე | 19 | 9 | 4 | 6 | 39:31 | 31 |
| მოსი | 19 | 7 | 1 | 11 | 25:36 | 22 |
| სოგნდალი | 19 | 6 | 4 | 9 | 29:43 | 22 |
| ლინი | 19 | 4 | 7 | 8 | 32:35 | 19 |
| ბოდიო გლიმტი | 19 | 4 | 6 | 9 | 28:36 | 18 |
| სტრიომსგოდსეტი | 19 | 3 | 6 | 10 | 31:56 | 15 |
| ტრომსიო | 19 | 4 | 0 | 15 | 15:40 | 12 |
| ბრინი | 19 | 3 | 2 | 14 | 19:48 | 11 |

## ფინეთი

23-ე ტური: ჰიკ — ინტერი 4:0; ლაჰტი — ჯაზი 1:2; როვანიემი — კუოპიო 2:0; ტამპერე — მიუპა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 23 | 13 | 7 | 3 | 35:18 | 46 |
| ჰიკ | 23 | 12 | 8 | 3 | 43:13 | 44 |
| ტამპერე | 22 | 13 | 4 | 5 | 34:25 | 43 |
| ჰაკა | 21 | 10 | 5 | 6 | 32:18 | 35 |
| ინტერი | 23 | 10 | 4 | 9 | 34:32 | 34 |
| ატლანტისი | 22 | 8 | 8 | 6 | 28:27 | 32 |
| ლაჰტი | 21 | 6 | 6 | 9 | 27:31 | 24 |
| ვაასა | 21 | 7 | 2 | 12 | 24:35 | 23 |
| იოკერიტი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:38 | 23 |
| კუოპიო | 22 | 5 | 6 | 11 | 17:32 | 21 |
| ჯაზი | 23 | 4 | 8 | 11 | 21:34 | 20 |
| როვანიემი | 22 | 5 | 5 | 12 | 18:33 | 20 |

## ჩეხეთი

მე-4 ტური: სლავია — ბანიკი 3:2; დრნოვიცე — ბრნო 1:0; ჰრადეც კრალოვე — ლიბერეცი 2:0; პრჟიბრამი — ბლშანი 3:1; სიგმა — სინოტი 1:1; იაბლონეცი — ტეპლიცე 0:0; ჟიჟკოვი — ბოჰემიანსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოჰემიანსი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| ჟიჟკოვი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| სლავია | 4 | 3 | 0 | 1 | 12:8 | 9 |
| ბანიკი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ლიბერეცი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| იაბლონეცი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| სინოტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბლშანი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| დრნოვიცე | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| სიგმა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ბრნო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| სპარტა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| პრჟიბრამი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:10 | 3 |
| ჰრადეც კრალოვე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:14 | 3 |
| ტეპლიცე | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |
| ოპავა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

# იტალიის სუპერთასი



REUTERS როსტიდან

ვინჩენცო მონტელას (№9) ასე თუ გააჩერებ

**რომა 3:0 ფიორენტინა**
1:0 კანდელა (6), 2:0 მონტელა (55), 3:0 ტოტი (80)
რომა: პელიცოლი, ძებინა, სამუელი, ძაგო, ფუ- ზერი (გიგუ 66), ტომაზი, ასუნსაო (ბალბო 79), კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, მონტელა (დელ- ვეკიო 61)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ფიორენტინა: ტალიალატელა, ადანი, პიერინი, მორეტი, დი ლივიო, მარკო როსი, ბარონიო (ტაროცი 67), კოისი (ამარალი 61), მორფეო, კიეზა, ნუნუ გომეში (გონსალესი 80)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: დი ლივიო
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი
61 050 მაყურებელი

**იტალიის სუპერთასის** ერთადერთ შეხვედრაში ჩემპიონმა, „რომამ“ 3:0 მოუგო თასის მფლობელ „ფიორენტინას“. „სტადიო ოლიმპიკოზე“ ფაბიო კაპელოს ფეხბურთელებმა ჩვეული ყაიდით ითამაშეს და თვალნათლივ გამოაჩინეს, რომ მათ და ფლორენციელებს შორის დღეისთვის დიდი სხვაობაა.

რომაელთა წარმატებას სამირკველი ფრანგმა განაპირა მცველმა, ვენსან კანდელამ ჩაუყარა. შეხვედრის მე-6 წუთზე მან დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა და ანგარიში გახსნა.

როგორ თამაშობს ჩემპიონი? ეტყობა თუ არა, რომ მოახლოებულ სეზონშიც შეძლებს „სკუდეტოს“ მოპოვებას? ამ კითხვებზე პასუხის მაძებარმა გულშემატკივარმა უცქირა, როგორ აკონტროლებდნენ ფრანჩესკო ტოტი და დამიანო ტომაზი მოედნის შუაგულს, თუმცა არც ის გამოპარვია, რომ „ფიორენტინას“ პორტუგალიელმა თავდამსხმელმა ნუნუ გომეშმა საკმაოდ შორიდან კინაღამ გაათანაბრა ანგარიში. ამ შემთხვევაში „რომა“ გოლკიპერმა ივან პელიცოლიმ იხსნა.

შესვენებიდან 10 წუთში მასპინძლებმა მეორედ გაიტანეს: ტოტის ჩაწოდებულს ვინჩენცო მონტელა გამოეხმაურა და ფლორენციელი მეკარე ჯუზეპე ტალიალატელა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე კი ისევ და ისევ ტოტიმ და კანდელამ გამოსტყუეს მაყურებელს ოვაცია: კანდელას მორიგი შორეული დარტყმული ტალიალატელამ ვერ შეიმაგრა, ხოლო ჩასაფრებულმა მეათე ნომერმა ბურთი იხელთა და კარში შეაგდო.

**ბაჩუნა ძიდია**

# ბერლუსკონის თასი




„ბერლუსკონი“ კახა კალაძემაც წააგო

**მილანი 1:1 (პენ. 2:3) იუვენტუსი**
0:1 დელ პიერო (5), 1:1 სერჟინიო (79პ)
პენალტები: 0:0 ხავი მორენო (ააცილა), 0:0 დელ პიერო (მეკარე), 0:0 დონატი (მეკარე), 0:1 დავიდსი, 1:1 რუი კოშტა, 1:2 მარესკა, 2:2 სერჟინიო, 2:3 ბირინდელი, 2:3 ინძაგი (მეკარე)
მილანი: აბიატი, კონტრა (ჰელვეგი 71), ლაურსენი, მალდინი, კოკო (დონატი 46), გატუზო, კალაძე, სერჟინიო, რუი კოშტა, შევჩენკო (ხავი მორენო 71), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
იუვენტუსი: ბუფონი, კ. ძენონი, ტურამი (დავიდსი 80), იულიანო (ფერარა 69), პესოტო (ბირინდელი 65), ძამბროტა, ტუდორი, ტაკინარდი, ნედვედი (მარესკა 67), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: სერჟინიო, ტრეზეგე, რუი კოშტა, იულიანო
მსაჯი: ჯანლუკა პაპარესტა
65 000 მაყურებელი

**მილანში,** ტრადიციულ „ბერლუსკონის თასზე“, მატჩისშემდგომი პენალტების შედეგად „იუვენტუსის“ გამარჯვება დადგინდა: 3:2. შეხვედრის ძირითად დროში ერთი გოლი „მილანმა“ შეაგდო, ერთიც ტურინის გუნდმა.

„სან სიროზე“ შეკრებილ გულშემატკივარს საკუთრივ თამაშის გარდა ერთი ამაღელვებელი სცენაც ელოდა: წლების მანძილზე მათმა ერთგულმა ხორვატმა, ზვონიმირ ბობანმა მშვიდობა უსურვა და მეათე ნომრიანი მაისურა პორტუგალიელ რუი კოშტას გადაულოცა.

შეხვედრა კი „იუვეს“ აგრესიით და ალესანდრო დელ პიეროს მე-5 წუთზე გატანილი გოლით დაიწყო. იქითა კართან, პირველი სახიფათო მომენტი მე-18 წუთზე შეიქმნა, როდესაც რუი კოშტამ ბურთი ჩაჰკიდა, ხოლო, ფაქტობრივად, გუშინდლამდე იუვენტუსელმა ფილიპო ინძაგიმ ძველ მეგობრებს კინაღამ გაუტანა.

მეორე ტაიმის მე-5 წუთზე ანდრეი შევჩენკოს გოლით წყურვილს ტურინელთა ახალი მეკარე, ჯანლუიჯი ბუფონი აღუდგა წინ, ხოლო შემდეგ „შავწითლების“ თურქმა მწვრთნელმა, ფატიჰ თერიმმა მოედანზე ბრაზილიელი სერჟინიო შეუშვა და ანგარიში გათანაბრდა კიდეც.

პენალტებში, როგორც გითხარით, „იუვემ“ იყოჩაღა.

**ბაჩუნა ძიდია**

# ესპანეთის სუპერთასი. I მატჩი



REUTERS სარაგოსიდან

ლუიშ ფიგუმ სარაგოსელი ხუანელე ბურთს არ გაატარა

**სარაგოსა 1:1 რეალი**
0:1 ფლავიო კონსეისაო (55), 1:1 იორდი (79)
სარაგოსა: ლაინესი, პაბლო (კუარტერო 73), აგუადო, პაკო პემესი, ესკერდინია, ხუანელე, ხოსე იგნასიო, აკუნია, მარტინ ველისკა (გალეტი 73), ჯამელი, იორდი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
რეალი: სესარი, სალგადო, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ფლავიო კონსეისაო, სოლარი (მაკმანამანი 70), ზიდანი, რაული, ფიგუ (სელადესი 88)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ესკერდინია, გალეტი, ზიდანი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო
26 000 მაყურებელი
*საპასუხო მატჩი გაიმართება 22 აგვისტოს, მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუზე“*

**ესპანეთში** სუპერთასის პირველი შეხვედრა გაიმართა: სარაგოსაში ქვეყნის ჩემპიონმა მადრიდის „რეალმა“ სამეფო თასის მფლობელ მასპინძელთან 1:1 ითამაშა.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე დაწინაურდა „რეალი“. გოლი მთლიანად ბრაზილიელი ნახევარმცველის, ფლავიო კონსეისაოს შემოქმედება გახლდათ, თუმცა ამან სარაგოსელები ვერ გატეხა. კაცმა რომ თქვას, საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო გახლდათ ფსიქოლოგიური მომენტი — დაითრგუნებოდნენ თუ არა მასპინძლები მათ წინააღმდეგ მოთამაშე პლანეტის ორი უძვირესი ფეხბურთელის, ზინედინ ზიდანისა და ლუიშ ფიგუს შემყურე, როგორც გაირკვა, „სარაგოსას“ ფეხბურთელებს მტკიცე ნერვები ჰქონიათ. შესაძლოა, ასეთი სიმტკიცის გამოვლენაში მათ მშობლიური „ლა რომარედას“ კედლებიც დაეხმარათ. ასე იყო თუ ისე, შეხვედრის დასრულებამდე 11 წუთით ადრე იორდის თავურით ანგარიში გათანაბრდა და მაყურებელმა ერთობ უშელავათო ბრძოლას ადევნა თვალი.

მიმომხილველები ამბობენ, რომ „რეალმა“ სახელმქუხარე ნახევარდაცვის მოწადინების მიუხედავად, მოედნის ცენტრის დაპყრობა ვერ მოახერხა, ხოლო მატჩის რიტმი და დინამიკა მაინცდამაინც თანაბარი არ იყო, თუმცა ეს მოსალოდნელიც გახლდათ, რადგან სეზონი ჯერ არ დაწყებულა.

ის, რომ სეზონი ჯერ არ გახურებულა, საკუთრივ ზიდანის თამაშსაც ემჩნეოდა. ცალკეულ ეპიზოდებში მან აჩვენა ის, რისთვისაც მადრიდელებმა „იუვენტუსს“ 65 მილიონი დოლარი გადაუხადეს, თუმცა ეს მხოლოდ ეპიზოდები გახლდათ.

საპასუხო შეხვედრა ოთხშაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება.

**ბაჩუნა ძიდია**

# ამხანაგური მატჩები

**ინტერი (იტალია) 7:0 ენიმბა (ნიგერია)**
1:0, 2:0 ვიერი (18, 41), 3:0 რონალდო (22), 4:0, 5:0 ვიერი (55, 60პ), 6:0 ადრიანო (70), 7:0 ვენტოლა (82)

**„ინტერმა“** და ნიგერიის ჩემპიონმა „ენიმბამ“ ამხანაგური შეხვედრა გამართეს, რომელიც, მილანელთა გამარჯვებით დასრულდა, თან ფრიად თვალისმომჭრელი ანგარიშით — 7:0. ეს მატჩი საინტერესო გახლდათ იმიტომაც, რომ „შავ-ლურჯთა“ შემადგენლობაში ითამაშა ტრავმებისგან გაწამებულმა და, როგორც იქნა, გამოჯანმრთელებულმა ბრაზილიელმა რონალდომ, რომელიც 35-ე წუთზე შეცვალეს. მის ნაცვლად მილანელთა ახალმა მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა ნიკოლა ვენტოლა შეიყვანა.

კუპერისთვის ეს რონალდოს მრავალჯერ ნაოპერაციევი მუხლის ფრთხილი შემოწმება გახლდათ. ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა.



REUTERS მილანიდან

რონალდო გამოჩნდა

ბრაზილიელმა თავისებური რეიდი მესამე წუთზე შეასრულა — ბურთი გააკონტროლა და მარცხენა ფეხით დაარტყა კიდეც, ოღონდ მეკარისთვის იოლად მოსაგერიებელი. 22-ე წუთზე მან კი მეკარესაც აჯობა, ბურთი კარებში ააფართხალა.

— თავს კარგად ვგრძნობ და „ინტერის“ მეტოქეთა კარში ბევრი გოლის გასატანად ვემზადები — თქვა მოგვიანებით 1996 და 1997 წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა — მომავლისა მწამს, მუხლიც აღარ მაწუხებს.

გამოჯანმრთელებამ რონალდო იმდენად კარგ ხასიათზე დააყენა, რომ უკვე ეროვნულ გუნდზეც დაიწყო ლაპარაკი. მოგეხსენებათ, ბრაზილიის ძლიერებაშერყეული ნაკრები, 5 სექტემბერს, ბუენოს აირესში, არგენტინის მოძლიერებულ და მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე გასულ გუნდს ხვდება.

— ნაკრებში დაბრუნება ჩემი ოცნებაა — თქვა 24 წლის ფორვარდმა — ჯერ-ჯერობით საათნახევარს ვერ დავრბივარ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ უახლოეს დღეებში მოვუმატებ და არგენტინელებთან სათამაშოდ მზად ვიქნები. ვფიქრობ, გულშემატკივარი ძველებურ რონალდოს იხილავს.

ამ განცხადებაზე ბრაზილიის ნაკრების წარმომადგენელმა, ანტონიო ლოპესმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

„რონალდოზე ლაპარაკისგან ჯერ თავს შევიკავებდი. ის ძალიან სპეციფიკური ფეხბურთელია და მასზე მკაფიო შეხედულება არ გვაქვს“.

**ბაჩუნა ძიდია**

**ბარსელონა (ესპანეთი) 3:2 პარმა (იტალია)**
1:0 საველა (30), 2:0 კრისტენვალი (33), 3:0 ალფონსო (75), 3:1 დი ვაიო (77), 3:2 კანავარო (79)

**ალ ნიესმი (საუდეთი) 4:2 კოლონმენი (ლონსოთი)**
1:0 ატეი (17პ), 2:0 შაპრური (45), 2:1 ჯაზარიანი (52), 3:1 კუბეიეანი (55), 3:2 ნაკლე (67), 4:2 ალ შამვი (77)

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე“ მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

იყიდება
ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით,
დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი,
მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული.
ფასი შეთანხმებით
ტელ:. 95-90-32,
39-71-98,
877 42-82-83



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# კონკაკაფი

II წრე. I ტური

### A ჯგუფი

**ერაყი 4:0 ტაილანდი**

1:0 ჰ. მოჰამადი (23); 2:0 ი. მოჰამადი (30), 3:0 ჰ. მოჰამადი (74), 4:0 ჰუსეინი (86)

**საუდეთი 1:1 ბაჰრეინი**

0:1 სალმეინი (18), 1:1 ალ დოსარი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერაყი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ბაჰრეინი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| საუდეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტაილანდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| ირანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

### B ჯგუფი

**ყატარი 0:0 ომანი**

**საამიროები 4:1 უზბეკეთი**

1:0 სალემი (21), 2:0 ჰარები (33პ), 2:1 შირშოვი (37), 3:1 ალი (45), 4:1 ბახიტი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საამიროები | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ომანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ყატარი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უზბეკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ჩინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

# იტალია

თასის I ეტაპი. II ტური

### A ჯგუფი

ჯენოა — ტრევიზო 2:1; ბარი — არეცო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| არიცო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ბარი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ტრევიზო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

III ტური, 29 აგვისტო: ჯენოა — ბარი
ტრევიზო — არეცო

### B ჯგუფი

კომო — კოზენცა 1:0; ვენეცია — ასკოლი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ვენეცია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კოზენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ასკოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

III ტური, 29 აგვისტო: კომო — ვენეცია
კოზენცა — ასკოლი

### C ჯგუფი

სიენა — პალერმო 4:2; ლივორნო — ნაპოლი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| პალერმო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ლივორნო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

III ტური, 29 აგვისტო: სიენა — ლივორნო
პალერმო — ნაპოლი

### D ჯგუფი

კალიარი — მოდენა 4:0; ლუმეცანე — რეჯინა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეჯინა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მოდენა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| კალიარი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ლუმეცანე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

III ტური, 29 აგვისტო: კალიარი — ლუმეცანე
მოდენა — რეჯინა

### E ჯგუფი

ჩიტადელა — მონცა 3:0; აველინო — სამპდორია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მონცა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| აველინო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჩიტადელა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |

III ტური, 29 აგვისტო: ჩიტადელა — აველინო
მონცა — სამპდორია

### F ჯგუფი

მესინა — კროტონე 1:0; ვიჩენცა — პესკარა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მესინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ვიჩენცა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| კროტონე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პესკარა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

III ტური, 29 აგვისტო: მესინა — ვიჩენცა
კროტონე — პესკარა

### G ჯგუფი

ტერნანა — პისტოიეზე 3:1; კიევო — პრატო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ტერნანა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პისტოიეზე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| პრატო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

III ტური, 29 აგვისტო: ტერნანა — კიევო
პისტოიეზე — პრატო

### H ჯგუფი

კატანია — ემპოლი 1:1; ანკონა — სალერნიტანა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სალერნიტანა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ანკონა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კატანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

III ტური, 29 აგვისტო: კატანია — ანკონა
ემპოლი — სალერნიტანა

# რუმინეთი

მე-3 ტური: ბაკეუ — პეტროლული 2:0; უნივერსიტატეა — არჯეში 1:0; გლორია — ოცელული 1:0; ასტრა — ბრაშოვი 3:0; ფარული — რაპიდი 1:3; სპორტული — ჩაჰლაული 3:1; ნაციონალი — სტიაუა 3:2; დინამო — ტიმიშოარა 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 10:4 | 7 |
| სტიაუა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| სპორტული | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ასტრა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| უნივერსიტატია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| გლორია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:4 | 6 |
| ბაკეუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ნაციონალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ოცელული | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბრაშოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ჩაჰლაული | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| პეტროლული | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| არჯეში | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ფარული | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ტიმიშოარა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

# უნგრეთი

მე-6 ტური: უიპეშტი — მტკ 1:3; დუნაფერი — ფერენცვაროში 0:1; ჰონვედი — ზალაეგერსეგი 0:2; შოპრონი — დიორ ეტო 4:0; ჰალადაში — დებრეცენი 1:1; ვიდეოტონი — ვაშაში 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალაეგერსეგი | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 16 |
| მტკ | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 15 |
| ფერენცვაროში | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 12 |
| ვიდეოტონი | 6 | 4 | 0 | 2 | 6:8 | 12 |
| ჰალადაში | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| დუნაფერი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| შოპრონი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:7 | 7 |
| ჰონვედი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:13 | 6 |
| უიპეშტი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | 5 |
| დებრეცენი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:10 | 5 |
| დიორ ეტო | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| ვაშაში | 6 | 0 | 0 | 6 | 6:16 | 0 |

# ავსტრია

მე-8 ტური: ბრეგენცი — ზალცბურგი 2:2; კერნტენი — აუსტრია 0:0; რაპიდი — ტიროლი 0:2; რიდი — ადმირა 2:3; შტურმი — გრაცერი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:0 | 17 |
| შტურმი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 16 |
| გრაცერი | 8 | 4 | 2 | 2 | 17:8 | 14 |
| კერნტენი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:12 | 11 |
| რიდი | 8 | 2 | 4 | 2 | 15:13 | 10 |
| აუსტრია | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | 10 |
| რაპიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:15 | 10 |
| ზალცბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 9 |
| ბრეგენცი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:19 | 6 |
| ადმირა | 8 | 1 | 0 | 7 | 7:21 | 3 |

# ბრაზილია

მე-5 ტური: პორტუგეზა — კურიტიბა 1:0; ატლეტიკო პარანენსე — ატლეტიკო მინეირო 1:0; ბოტაფოგო — გოიასი 0:1; გუარანი — სან პაულუ 1:2; გამა — გრემიო 2:1; ინტერნასიონალი — ბაია 2:0; ბოტაფოგო რიბეირაო — სანტოსი 0:1; პარანა — პონტე პრეტა 1:2; ფლამენგო — სპორტ რესიფე 2:1; კრუზეირო — ამერიკა 0:3; კორინთიანსი — ჟუვენტუდე 0:0; სანტა კრუზი — პალმეირასი 3:2; ვიტორია — ვასკუ და გამა 1:0; სან კაეტანო — ფლუმინენსე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლ. პარანენსე | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| გოიასი | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 11 |
| ატლ. მინეირო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| პალმეირასი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| პონტე პრეტა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 9 |
| სანტოსი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| ინტერნასიონალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| პარანა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 |
| კორინთიანსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| სან პაულუ | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ვიტორია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| ბოტაფოგო | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 7 |
| ფლუმინენსე | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | 7 |
| პორტუგეზა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| კურიტიბა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ბაია | 5 | 2 | 0 | 3 | 10:8 | 6 |
| ჟუვენტუდე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| გამა | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | 6 |
| სან კაეტანო | 5 | 1 | 3 | 1 | 3:6 | 6 |
| ვასკუ და გამა | 5 | 1 | 2 | 2 | 8:4 | 5 |
| ამერიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| კრუზეირო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| სპორტ რესიფე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| გრემიო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| სანტა კრუზი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:12 | 4 |
| ფლამენგო | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | 4 |
| ბოტაფოგო რიბ. | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |
| გუარანი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:16 | 1 |

# თურქეთი

მე-2 ტური: ბურსა — ბეშიქთაში 2:2; ქოჯაელი — ანთალია 3:1; გალათასარაი — დენიზლი 1:0; დიარბაქი — გიოზთეფე 1:2; ანკარაგიუჯიუ — მალათია 6:0; ტრაბზონი — გაზიანთეფი 2:1; იოზგათი — რიზე 2:1; ისთანბული — ფენერბაჰჩე 1:0; გენჩლერბირლიგი — სამსუნი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 2 | 0 | 0 | 14:1 | 6 |
| გიოზთეფე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ტრაბზონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ისთანბული | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ქოჯაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დენიზლი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| იოზგათი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:6 | 3 |
| გენჩლერბირლიგი | 2 | 0 | 2 | 0 | 6:6 | 2 |
| დიარბაქი | 2 | 0 | 1 | 1 | 5:6 | 1 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| გაზიანთეფი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| რიზე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბურსა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სამსუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| მალათია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| ანთალია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:11 | 0 |

# ბელარუსი

მე-16 ტური: მოლოდეჩნო — დინამო (მინსკი) 1:3; ნემანი — დინამო (ბრესტი) 3:1; დნეპრტრანსმაში — გომელი 0:0; ბელშინა — ვედრიჩი 2:0; ტორპედო მაზი — ლოკომოტივი 96 5:0; ბატე — ნაფტან დევონი 4:1; სლავია — შახტიორი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელშინა | 16 | 12 | 2 | 2 | 26:9 | 38 |
| ბატე | 16 | 11 | 2 | 3 | 37:19 | 35 |
| სლავია | 15 | 9 | 2 | 4 | 32:12 | 29 |
| ნემანი | 16 | 8 | 5 | 3 | 27:11 | 29 |
| ტორპედო მაზი | 16 | 8 | 4 | 4 | 22:17 | 28 |
| დინამო (მინსკი) | 16 | 8 | 3 | 5 | 29:15 | 27 |
| შახტიორი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:16 | 26 |
| გომელი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:13 | 24 |
| დნეპრტრანსმაში | 16 | 7 | 3 | 6 | 23:23 | 24 |
| დინამო (ბრესტი) | 16 | 6 | 1 | 9 | 18:25 | 19 |
| ლოკომოტივი 96 | 16 | 4 | 1 | 11 | 12:35 | 13 |
| მოლოდეჩნო | 16 | 3 | 3 | 10 | 13:35 | 12 |
| ვედრიჩი | 15 | 2 | 1 | 12 | 10:30 | 7 |
| ნაფტან დევონი | 16 | 1 | 1 | 14 | 8:35 | 4 |

# უკრაინა

მე-7 ტური: ტავრია — დნიპრო 0:2; მეტალურგი (მარიუპოლი) — პოლიგრაფტექნიკა 2:1; არსენალი — ზაკარპატია 0:2; მეტალურგი (დონეცკი) — ვორსკლა 0:0; კარპატი — კრივბასი 3:2. მეტალურგი (ზაპოროჟიე) — შახტარი და მეტალისტი — დინამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. დონეცკი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:2 | 14 |
| შახტარი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:5 | 13 |
| დნიპრო | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| კარპატი | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 12 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| მ. მარიუპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 10 |
| მეტალისტი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:13 | 10 |
| პოლიგრაფტექნიკა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:10 | 8 |
| მ. ზაპოროჟიე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| კრივბასი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| ზაკარპატია | 7 | 1 | 2 | 4 | 9:19 | 5 |
| ტავრია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| არსენალი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:7 | 3 |
| ვორსკლა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:6 | 1 |

# ლიტვა

25-ე ტური: ვეტრა — გელეჟინისი 1:2; დაინავა — ინკარასი 1:2; ჟალგირისი — საკალასი 2:0; ატლანტასი — ეკრანასი 1:0; კაუნასი — ნევეჟისი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 24 | 18 | 4 | 2 | 54:7 | 58 |
| ატლანტასი | 24 | 16 | 6 | 2 | 48:18 | 54 |
| ჟალგირისი | 25 | 15 | 6 | 4 | 44:21 | 51 |
| ეკრანასი | 23 | 10 | 6 | 7 | 37:23 | 36 |
| ინკარასი | 24 | 8 | 8 | 8 | 35:29 | 32 |
| ნევეჟისი | 25 | 6 | 9 | 10 | 24:33 | 27 |
| გელეჟინისი | 24 | 7 | 4 | 13 | 29:38 | 25 |
| საკალასი | 25 | 4 | 8 | 13 | 20:47 | 20 |
| დაინავა | 24 | 5 | 2 | 17 | 24:68 | 17 |
| ვეტრა | 24 | 4 | 3 | 17 | 19:50 | 15 |

# იუგოსლავია

1-ლი ტური: რადი — ჩუკარიჩკი 3:2; სარტიდი — ჟელეზნიკი 1:0; ზვეზდარა — ზემუნი 0:0; ვოივოდინა — ზეტა 0:0; ობილიჩი — ჰაიდუკი 0:0; სუტიესკა — მლადოსტი (ლუკანი) 1:0; რადნიჩკი — პარტიზანი 2:2; ოფკ — რუდარი 1:0; ცრვენა ზვეზდა — მლადოსტი (აპატინი) 1:1

# არგენტინა

**აპერტურა**

1-ლი ტური: ბოკა ხუნიორსი — ბელგრანო 1:3; ველეს სარსფილდი — ინდეპენდიენტე 1:4; ურაკანი — ჩაკარიტა ხუნიორსი 2:2; ესტუდიანტესი — კოლონი 2:2; ბანფილდი — ნიუელს ოლდ ბოიზი 0:5; უნიონი — ხიმნასია (ლა პლატა) 1:2; ტალერესი — რივერ პლეიტი 1:3; სან ლორენსო — ნუევა ჩიკაგო 3:0; როსარიო სენტრალი — ლანუსი 2:1; რასინგი — არგენტინოს ხუნიორსი 2:1

# ვენგერი ჭკვიანი კაცია



**როჟე ლემერი** კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე საფრანგეთის ნაკრებიდან მიდის. ზუსტად ამავე დროს მთავრდება არსენ ვენგერისა და ლონდონის „არსენალის“ ხუთწლიანი კონტრაქტი. ცხადია, გონიერ კაცს ეს დამთხვევა მხედველობიდან არ გამორჩება და უმალ აზრი გაუელვებს: კარგი იქნება, თუ ლემერის ადგილს ვენგერი დაიკავებს.

ასეთი კაცი უკვე გამოჩნდა. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავს, ამჟამად საფრანგეთის ფეხბურთის ვიცე-პრეზიდენტ მიშელ პლატინის როჟე ლემერის ღირსეულ მემკვიდრედ სწორედ არსენ ვენგერი მიაჩნია.

როჟე ლემერმა საფრანგეთის ნაკრები ემე ჟაკესგან 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა. წინამორბედის მოპოვებულ მსოფლიოს ჩემპიონობას 2000 წელს ევროპისაც დაურთო და ჟაკეს ჩაყრილ საფუძველზე მსოფლიოში უდავოდ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის შექმნაც შეძლო. მრავალთა აზრით, ლემერის ნაკრები ჟაკესაზე მძლავრია და კორეა-იაპონიაში პირველობის ერთ-ერთი გამოკვეთილი კანდიდატიც. მიუხედავად ამისა, ლემერს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ წასვლა გადაწყვეტილი აქვს. ალბათ, გონივრული გადაწყვეტილებაა. ლემერმა დაამტკიცა, რომ დიდი მწვრთნელია.

არსენ ვენგერი კი ის კაცია, რომელიც 1998 წელს ლონდონელ „მეთოფეებს“ ქვეყნის ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაში დაეხმარა. უკვე მეხუთე წელია, რაც „არსენალს“ მოძღვრავს და ინგლისში მხოლოდ ყოვლისწამლეკავ „მანჩესტერ იუნაიტედს“ და სერ ალექს ფერგიუსონს უხრის ქედს.

პლატინის სჯერა, რომ ვენგერი ჟაკესა და ლემერის გზას გააგრძელებს. მწვრთნელსა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ამ საკითხზე ჯერ არ უსაუბრიათ, მაგრამ პლატინი თვლის, რომ არსენალელი მომხიბლავ წინადადებას უნდა დათანხმდეს: „ჩემი აზრით, მწვრთნელი ერთ ადგილზე სამ-ოთხ სეზონზე მეტი არ უნდა დარჩეს. არსენმა „არსენალთან“ უკვე საკმაო ხანს დაჰყო. დროა, რაღაც შეიცვალოს. მწვრთნელისთვის ადგილის შეცვლა დიახაც რომ სასარგებლოა. ვენგერი ჭკვიანი კაცია და ეს ყველაფერი შესანიშნავად იცის. ამიტომაც გვგონია, რომ „მეთოფეთა“ მწვრთნელი ჩვენს წინადადებას დათანხმდება. მას შეუძლია საფრანგეთის ნაკრებში მუშაობა. დროა, ვენგერმა ეროვნული გუნდის ჩაბარებაზე იფიქროს“.

**გიორგი გამარდყვილი**

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
[illegible] 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

# საქართველოს ნაკრებს ოთხმა ჭირმა არგო

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები კიევს გაფრინდა, საიდანაც ბულგარეთში გაემგზავრება და 25 აგვისტოს საკურორტო ქალაქ იამბოლში ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე წრის პირველ მატჩში მათ ეროვნულ გუნდს შეხვდება.

შესაძლებელია, ჯგუფიდან გამსვლელი ერთ-ერთი გუნდის ვინაობა ბულგარეთშივე გაირკვეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველოს ნაკრებმა ამ მატჩში გამარჯვება მოახერხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გადაიდება და არ არის გამორიცხული, ჩვენი ჯგუფის ორი საუკეთესოს გამოსავლენად, მიღებულ-ჩაგდებულ ბურთების დათვლა გახდეს საჭირო. ეს ისე, ვარაუდისთვის, თორემ საქართველოს ნაკრები ყველანაირად ეცდება, საქმე იამბოლშივე მოამთავროს, რაც იოლი გასაკეთებელი არ იქნება. ბულგარეთი რომ საკუთარ კედლებში ძალიან ძლიერია, ეს მან ხორვატებთან ამხანაგურ მატჩშიც დაამტკიცა, როცა 28 ქულის სხვაობით მოიგო. არაფერს ვამბობთ ჩვენს მიერ გაჭირვებით დამარცხებული ბელარუსების დაჩოქებაზე.

საქართველოს ნაკრები რომ სათანადოდ ვერ მოემზადა ბულგარეთთან თამაშისთვის, ცნობილი ფაქტია. ბულგარეთთან პირველი თამაშის წინ ჩვენებმა ათდღიანი შეკრება სლოვენიაში გაიარეს, ახლა კი ევროპული ტურნე კი არა, ყურისძირში, კოჯორში ვერ მოხერხდა ერთკვირიანი შეკრების მოწყობა. ბულგარელები კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოთხთა ტურნირში ასპარეზობენ, რომლის მასპინძლები თავადვე არიან. სტამბოლის „დარუშაფაკა“, ბელგრადის „რადნიჩკი“ და „ბკ კიევი“ — აი, ამ გუნდებთან თამაშებში გამოსცდის ძალებს ბულგარეთის ნაკრები ქართველებთან კარსმომდგარი მატჩის წინ. ქართველებს ბულგარეთში ძნელი წუთების გადატანა მოუწევთ, რაც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმაც კარგად უწყის. ზურაბ ტომარაძეს გუშინ კიევში გამგზავრებამდე შევხვდით და მომავალ თამაშზე და ნაკრების მზადყოფნაზე გავესაუბრეთ.

**— ასე ადრეულად რატომ მიემგზავრებით?**

— სპორტის დეპარტამენტმა და კალათბურთის ფედერაციამ ბულგარეთამდე მგზავრობის ყველა შესაძლო ვარიანტი განიხილეს და უკრაინის გავლით სოფიამდე მგზავრობა ყველაზე მომგებიანად მიიჩნიეს. ასე რომ, დღეს საღამოს კიევში მივფრინავთ და იქიდან 24 აგვისტოს ბულგარეთს გავემგზავრებით.

**— გამოდის, რომ კიევში ოთხი დღე მოგიწევთ დარჩენა. ამ დროს, ალბათ, მოსამზადებლად გამოიყენებთ.**

— რა თქმა უნდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ზუსტად ასე მოგვივიდა, რადგან ის ოთხი დღე, რომელიც კიევში ბულგარეთის რეისს უნდა ველოდოთ, ჩვენს ნაკრებს დიდად წაადგება. გუნდის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ დაამყარა კავშირი უკრაინის კალათბურთის ფედერაციასთან და პირადად ალექსანდრ ვოლკოვთან. უკვე შეთანხმებულები ვართ, რომ საქართველოს ნაკრები კიევის მთავარ არენა „მერიდიანში“ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს დედაქალაქის „ბუდეველნიკთან“ და უკრაინის ეროვნულ ნაკრებთან, რომელიც ამჟამად პორტუგალიაშია და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისათვის ემზადება. ამ ორ თამაშში საშუალება მოგვეცემა, ბულგარელებთან მატჩის წინ ნაყოფიერად მოვემზადოთ და ზოგიერთი კომბინაცია დავხვეწოთ.

**— სავარჯიშოდ არც ისე იდეალური პირობები გქონდათ. კმაყოფილი ხართ ნაკრების მომზადების დონით?**

— გუნდი როგორი მომზადებულია, თამაშისას მოწმდება. უკრაინაში გამოჩნდება, როგორ ფორმაში არიან როგორც ლეგიონერები, ისე აქაურები. თბილისში გამართულ ამხანაგურ თამაშებს მაინც სხვა დატვირთვა აქვს. ემოციური ფონი არ არის და ამის გათვალისწინებით კალათბურთელთა ფიზიკური ფორმის გათვლა ძნელია. როცა დაძაბულობა მეტია, მაშინ კალათბურთელი ბოლომდე იხარჯება და ყველაფერი ნათლად ჩანს. ისე, როგორი პირობებიც გვქონდა, იმის გათვალისწინებით, მოთამაშეები ურიგო ფორმაში არ არიან, ეს პირველ რიგში მათ ფიზიკურ მომზადებაზე ითქმის. მე უფრო მეტად ფსიქოლოგიური ასპექტი მაღელვებს. მოგეხსენებათ, როცა ბულგარეთი საკუთარ კედლებში თამაშობს, მოთამაშეებზე დიდი ზეწოლაა. არ გამოვრიცხავ, რომ მსაჯობაც მიკერძოებული იყოს. ყველა, ვინც იქ ჩადის სათამაშოდ, უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ექცევა. ამიტომ პირველ რიგში საჭიროა გუნდის კარგი ფსიქოლოგიური მომზადება. მე არ ვამბობ, რომ სხვა მხრივ ნაკლები მზადყოფნა გვჭირდება, მაგრამ კონკრეტულად ბულგარეთში, ვფიქრობ, ფსიქოლოგიურ მომენტზე ჯობს ყურადღების გამახვილება.



ზურაბ ტომარაძე

**— სამი მოგებული მატჩი არც თუ ცოტაა იმისთვის, რომ ბულგარეთს თავგაწეულები ესტუმროთ...**

— საკმარისია, მაგრამ ის უკვე წარსულია. საერთოდ მინდა ავღნიშნო, რომ ფიბა ამ ტურნირს არასწორი ფორმატით ატარებს, რადგან ასეთ დროს, დასვენების პერიოდში, როცა კალათბურთელები შვებულებაში იმყოფებიან, ზოგიც ახალი გუნდის ძებნითაა დაკავებული, მოთამაშეები ფორმიდანვარდებიან და მატჩების გამართვა არასწორად მიმაჩნია. თანაც ამხელა შუალედი. საკვალიფიკაციო ტურნირი თითქოს გახლეჩილია. ის მოგებები, რომელიც პირველ წრეში მოვიპოვეთ, დავიწყებას მიეცა და ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება გვიწევს. შესვენება დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო და ბულგარეთს თბილისური თამაშიდან მალე ვწვეოდით, ფსიქოლოგიურად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით. მაგრამ არც ახლა ვართ ჯაბანნი.

**— შემადგენლობაში ცვლილებები ხომ არ არის?**

— მცირე ცვლილებებია. დავით ბერძენიშვილს ფეხის ტრავმა აქვს და გადავწყვიტეთ, დავასვენოთ. რაც შეეხება რევაზ ჩხეიძეს, იგი კარგი კალათბურთელია და ნაკრების კანდიდატად ყოველთვის მოიაზრება, თუმც ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალე, ბულგარეთში მის ნაცვლად ირაკლი ხოშტარია წამეყვანა. ირაკლი სწრაფი და ათლეტური ალნაგობის უკანახაზელია, რომელიც შეტევაშიც ჩინებულად თამაშობს. მას შეიძლება ფიზიკურად ძლიერი ერთ-ერთი ბულგარელი მოთამაშის გაუვნ[illegible]ება დაევალოს.

შემადგენლობაში ხუთი უკანახაზელია და ხუთიც წინ მოთამაშე. ხოშტარიას გარდა უკან დავით [illegible]ძე, არჩილ [illegible], რამაზ გოგობერიშვილი [illegible] გვეყოლება, [illegible] წინ [illegible] დავით უგრეხელიძე, ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბ[illegible] და [illegible]ცვლიშვილი გაირჯებიან.

**— სტეფანიძე ვერც [illegible]ერად დაგვეხმარება?**

— თავიდანვე [illegible] იქით მიდიოდა, რომ სტეფანია შემოგვიერთდებოდა, თუმც ბოლო დღეებია, დუდუ დადიანი გამუდმებით რეკავს მასთან, მაგრამ კავშირი არ მყარდება. არ ვიცი, ტელეფონი აქვს დაზიანებული, თუ რა სიტუაციაა. თამაშამდე ოთხი დღე დარჩა. თუ ამ ხანში მოვახერხე [illegible]ვასთან დაკავშირება, ალბათ იგი ბულგარეთში შემოგვიერთდება.

**— ბულგარელებთან მატჩში რაზე გააკეთებთ ძირითად აქცენტს?**

— როგორც თბილისში გამოჩნდა, ყველაზე მეტი აგრესია ძირითადად პერიმეტრზე მოთამაშე კალათბურთელებიდან მოდის. ჩვენი მთავარი საზრუნავიც ამ პოზიციის საიმედო დაცვა იქნება. ვფიქრობ, ამისთვის მოთამაშეთა გამუდმებით შეცვლა მომიწევს, რადგან ტემპი, როგორც ვვარაუდობ, ძალიან მაღალი იქნება და არ არის გამორიცხული, ჩვენი კალათბურთელები ხშირად დაჯარიმდნენ ხოლმე.

სიმაღლეში რომ უპირატესობა ჩვენს მხარეზეა, ეს ცხადია და არა მგონია, ფარზე რამე პრობლემები შეგვექმნას.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრები მომავალ თამაშში წარმატების მიღწევას.**

— ძალიან [illegible]ლია რაიმეს თქმა. ურთულესი მატჩი გველის. პროგნოზის გაკეთება მართებული არ იქნება. ცხადია, უკეთეს მდგომარეობაში ბულგარელები არიან, რადგან შინ თამაშობენ. ბულგარეთმა ამას წინათ ხორვატიის ნაკრებს მოუგო 28 ქულით. ვფიქრობ, ეს მრავლისმთქმელი ფაქტია და იმაზე მეტყველებს, რომ ბულგარეთი საკუთარ მოედანზე ნებისმიერი გუნდისთვის მეტად უხერხული მეტოქეა. არ ვიცი, უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა თუ არა ხორვატია ბულგარეთში, მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, მისი ამ სხვაობით დამმარცხებელ გუნდთან დიდი ოფლის ღვრა მოგვიწევს, რათა წარმატებას მივაღწიოთ. ჩვენ ბულგარეთში საბრძოლველად მივდივართ და გპირდებით, რომ მოედანზე ყველა კალათბურთელი ბოლომდე დაიხარჯება.

**ირაკლი ბერტაია**

---

## მემფის გრიზლიზი

დაარსდა 1994 წელს, ნბა-შია 1995 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
დარბაზი: პირამიდი, ტევადობა 19000

# დათვებს ძილი გაუტკბათ

**მემფისმა** შეცდომაში არ შეგვიყვანოთ. მართალია, ამ კლუბს ქალაქ მემფისის სახელით ნბა-ს ერთ ოფიციალურ თამაშშიც არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს კლუბი უახლოეს წარსულში დაარსდა. მანამდე „ვანკუვერ გრიზლიზად“ წოდებული გუნდი ხომ ოკეანგაღმა მუდმივი აუტსაიდერის სიმბოლოდ იქცა.

„დღეიდან ჩვენ ყველაფერს და მათ შორის სიცოცხლესაც თავიდან, უკეთესი მომავლის რწმენით ვიწყებთ. დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სურვილით ვიწვით, ახალ გულშემატკივრებს, რომელთა დარი მსოფლიოში არ მეგულება, მადლობა დიდი გამარჯვებებით გადავუხადოთ. ბიჭები თავს არ დაზოგავენ. დრაფტმაც გაგვიმართლა, იშვიათი ნიჭის პატრონი ბიჭები — შეინ ბეტიე და პაუ გასოლი შეგვხვდა. გვწამს მათი და მიხარია, რომ თქვენც გჯერათ ჩვენი“ — მრავალსიტყვაობდა „გრიზლიზის“ მფლობელი მარკ ჰეისლი ივლისის დასაწყისში „დათვების“ ქალაქ ვანკუვერიდან მემფისში გადაბარგების აღსანიშნავ ბანკეტზე. მის, ისევე როგორც ყველა იქ მყოფის, სახეს ღიმილი არ სცილდებოდა. კლუბის ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყება ყველა ადამიანს უხაროდა, ვინც კი „გრიზლიზის“ ირგვლივ ტრიალებს, თუმც თითოეულ მათგანს ერთი კითხვა აწუხებდა — რამდენად მალე წამოიმართება ექვსი წლის განმავლობაში ძირს მოხოხიალე „დათვი“?

ნბა-მ მოწყალება მოიღო და მორიგი გაფართოებისას, 90-იანი წლების შუაწელს, ორ კანადურ ქალაქს ნბა-ს ოჯახში გაწევრიანების უფლება უბოძა. ასე იშვა ორი კლუბი — „ვანკუვერ გრიზლიზი“ და „ტორონტო რეპტორზი“, რომლებიც პლანეტის უძლიერესი წმინდაამერიკული საკალათბურთო ლიგის ორომტრიალში 1995-96 წლების სეზონიდან გადაეშვნენ. დრომ სხვადასხვაგვარად დაატყო ხელი ნბა-ს ორ უხოველ ახალწვეულს. თუ ტორონტოში კალათბურთის გაფურჩქვნას რამდენიმე წელი ეყო, ვანკუვერში პირიქით მოხდა. ნბა-ში მოხვედრის შემდეგ, წლიდან წლამდე, ამ ქალაქში კალათბურთის მიმართ ინტერესმა თანდათან იკლო, ბოლოს კი ლამის ნულს გაუტოლდა. ბოლო წელს კლუბის მფლობელმა მარკ ჰეისლიმ 40 მილიონზე მეტით იზარალა. იგი იძულებული გახდა, „დათვებისთვის“ ახალი „ბუნაგი“ მოეძებნა.

ნბა-ს 29 გუნდიდან „გრიზლიზი“ ერთადერთია, პლეი ოფი თვალითაც რომ არ უნახავს. მისი მაქსიმუმი ერთ-ერთ სეზონში შუა დასავლეთის დივიზიონის ცხრილში დაკავებული მეექვსე, ბოლოსწინა ადგილია. რეგულარული ჩემპიონატის 82 თამაშიდან „დათვებს“ არასდროს მოუგიათ თუნდაც 25. „გრიზლიზი“ დაარსებიდან დღემდე ცუდი გუნდი იყო.

ნებისმიერი გუნდის თამაშის ხარისხს და ნებისმიერ ქალაქში სპორტის რაგინდარა სახეობის პოპულარობას სპორტსმენთა დონე განსაზღვრავს. „გრიზლიზი“ კი რიგიან ბიჭებს ყოველთვის მოისაკლისებდა და ეს მაშინ, როდესაც ნბა-ს მიერ დაწესებული სახელფასო ფონდის წყალობით ამ კლუბს ვარსკვლავთა ასაყვანად სალაროში ზუსტად იმდენივე მილიონი მოეძევება, რამდენიც, ვთქვათ, „ლეიკერსს“, „ნიუ იორკს“, ყველა სხვა დანარჩენს... სუსტი შემადგენლობის ყოლა ძირითადად კლუბის მამების უსუსურობას მიეწერება, მხოლოდ არა ამ შემთხვევაში. „გრიზლიზში“ შემადგენლობის და ამდენად გუნდის სიძლიერის უმთავრესი ფაქტორია არა ფული, არამდე გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი.

„წელიწადში ათი მილიონი რომ მომცენ, მანდ მაინც არ ვითამაშებ. რა მინდა ციმბირში? მანდ დათვებმა და მგლებმა იცხოვრონ, მე კი ბოლიშს მოგიხდით, უნდა დაგტოვოთ“ — განაცხადა 1999 წლის დრაფტში „ვანკუვერის“ მიერ მეორე ნომრად აყვანილმა სტივ ფრენსისმა. ამ ჯეელმა არ ისურვა, ახალგაზრდობა ნბა-ს უკიდურეს ჩრდილოეთით დასახლებულ პუნქტში გაეტარებინა და კლუბის ხელმძღვანელებს ისეთი ამბავი აუტეხა, იძულებული გახადა, „ჰიუსტონში“ გაეცვალათ. დღეს ფრენსისი ამ გუნდის ლიდერი და ნბა-ს ამომავალი ვარსკვლავია, „გრიზლიზი“ კი როგორც იყო, ისე დარჩა ცხრილის ფსკერის მხეხავად. ფრენსისი პირველი ნადრაფტალია, ვინც „ვანკუვერში“ თამაშზე უარი განაცხადა, სხვები ასე თუ ისე დაიყოლიეს „დათვებმა“, მაგრამ მარტო ახალბედების იმედად შორს ვერ წახვალ. ნბა-ს ციმბირად წოდებულ ვანკუვერს ყოველთვის გაურბოდნენ ახალი გუნდის ძიებაში მყოფი ვარსკვლავები.

„ვანკუვერის“ პირველი ასე თუ ისე რიგიანი კალათბურთელი ვეება ბრაიანტ რივზი, მეტსახელად „დიდი სოფლელი“, გახლავთ. ეს 216-სანტიმეტრიანი ცენტრი 1995 წლის დრაფტში მეექვსე ნომრად აიყვანეს „დათვებმა“. იგი პირველივე თამაშიდან დღემდე „გრიზლიზის“ ძირითადი ცენტრი და ამ კლუბის ერთგულია. 1996 და 98 წლების დრაფტებში მას მოჰყვნენ მუსულმანი შარიფ აბდურ-რაჰიმი და ბაფტისტი მაიკ ბიბი.

გუნდის ხანმოკლე ისტორიაში ყველაზე ნათელი წერტილი შარიფ აბდურ-რაჰიმია. იგი ხუთი წელი ავად თუ კარგად ლიდერობდა „დათვებს“, თავადაც რაღაც დონეს მიაღწია და კი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადისთვის გამზადებულ „დრიმ თიმშიც“ შეიყვანეს. სიმართლე ვთქვათ და „ოცნების გუნდის“ საოცნებო მაისურა მასზე სუსტ კალათბურთელს არ მოურგია. დღეს „დათვებს“ აღარც აბდურ-რაჰიმი ჰყავთ. 2001 წლის დრაფტის დღეს კლუბის ხელმძღვანელობამ იგი „ატლანტას“ გაუცვალა დრაფტის მესამე ნომერ ნიჭიერ ესპანელ პაუ გასოლში და კიდევ ორ კალათბურთელში. „გრიზლიზს“ კიდევ ერთი ძლიერი ახალწვეული — შეინ ბეტიე ჰყავს, რომელიც იმავე დრაფტში მეექვსე ნომრად აუყვანია. ბეტიე სტუდენტური ჩემპიონატის ბოლო სეზონის საუკეთესო მოთამაშე და ჩემპიონია. „დათვები“ ამ ბიჭზე დიდ იმედს ამყარებენ და იგი თავიანთ მომავალ ლიდერად წარმოუდგენიათ. ასე რომ, მათი აზრით, ექვსი წლის ძილის შემდეგ „დათვმა“ უნდა გაიღვიძოს.

უხარიათ მემფისელებს, ისინი ხელისგულზე ატარებენ „დათვებს“ და ეს არცაა გასაკვირი. ლეგენდარული ელვის პრესლის მშობლიურ ქალაქს ხომ სამი ათეული წელია, საკუთარი პროფესიული ლიგის გუნდი არ ჰყოლია.

**ირაკლი ფირუშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

21 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 001 | შალკე-ჰანზა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 002 | შალკე-ჰანზა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ) გადადებული მატჩი

21 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 003 | ვატენშაიდი-ლევერკუზენი(მ) | 1,45 | 3,6 | 6,5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ). V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | |
| 22.30 | 004 | ბრაუნშვაიგი-ოსნაბრიუკი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.30 | 005 | ჰოლსტენი-ლიუბეკი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | 22 აგვისტო | | | |
| 21.15 | 006 | ვერდერი(მ)-ქემნიცი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 21.15 | 007 | პადერბორნი-დრეზდენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 008 | მიუნსტერი-იურდინგენი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 22.30 | 009 | აუე-მაგდებურგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | 24 აგვისტო | | | |
| 22.30 | 010 | დიუსელდორფი-ფორტუნა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | 25 აგვისტო | | | |
| 17.00 | 011 | ლევერკუზენი(მ)-ესენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.00 | 012 | ვატენშაიდი-ფერლი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ). V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 24 აგვისტო | | | |
| 21.30 | 013 | ელვერსბერგი-ზიგენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 014 | ვეჰენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | 25 აგვისტო | | | |
| 17.30 | 015 | ფულდა-ოფენბახი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.30 | 016 | ანსბახი-ჰოფენჰაიმი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.30 | 017 | ბურგჰაუზენი-ბაიერნი(მ) | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | |
| 23.45 | 018 | ბოლტონი-მიდლსბრო | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 23.45 | 019 | იფსვიჩი-დერბი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 24.00 | 020 | არსენალი-ლიდსი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | 22 აგვისტო | | | |
| 23.45 | 021 | ფულემი-სანდერლენდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 24.00 | 022 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 4,2 | 3,3 | 1,7 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | |
| 23.00 | 203 | ბრედა-ტვენტე | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | 22 აგვისტო | | | |
| 22.00 | 204 | როდა-ფეინოორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 205 | გრონინგენი-ტილბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 206 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 207 | სპარტა-უტრეხტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 208 | პსვ-დენ ბოსხი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| | 209 | პსვ-დენ ბოსხი 0:1 | 1,3 | 3,8 | 4,4 |
| 23.00 | 210 | ვიტესი-ალკმაარი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 211 | ვიტესი-ალკმაარი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 212 | სიტარდი-გრააფსხაპი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### ბელგია. II დივიზიონი. I ტური

22 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 248 | ვიზე-მეხელენი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 21.30 | 249 | სტრომბეკი-ინგელმუნსტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 250 | დაინცე-რონსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 251 | ვირტონი-დესელი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 252 | ტინენი-დენდერლეუ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 253 | გეელი-სერკლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 254 | ფლაანდერენი-რუზელარე | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 23.00 | 255 | მონსი-პატრო | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.00 | 256 | ჰეუსდენი-ლიეჟი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### შვეიცარია. A ჯგუფი. გადადებული მატჩები

21 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 327 | ლოზანა-ქსამაქსი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.30 | 328 | სიონი-სერვეტი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.30 | 329 | ლუგანო-ციურიხი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შვედეთი. XVIII ტური

22 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 368 | მალმიო-იორგრიტე | 2,2 | 3,2 | 2,9 |

### ფინეთი. XXVI ტური

23 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 393 | ინტერი-ლაჰტი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.30 | 394 | როვანიემი-ტამპერე | 3,4 | 3,2 | 1,95 |

### ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | |
| 23.45 | 436 | ბარნსლი-ჰალიფაქსი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 437 | ბლეკპული-უიგანი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 438 | ბორნმუთი-ტორკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 439 | ბრენტფორდი-ნორვიჩი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.45 | 440 | ბრაიტონი-უიმბლდონი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.45 | 441 | ბრისტოლი-ჩელტენემი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 442 | ბარნლი-რაშდენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 443 | ბერი-უენსდი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.45 | 444 | ექსეტერი-უოლსოლი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 23.45 | 445 | გრიმსბი-ლინკოლნი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 446 | ჰადერსფილდი-როჩდეილი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 447 | კიდერმინსტერი-პრესტონი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 23.45 | 448 | ლეიტონი-კრ.პალასი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 23.45 | 449 | მაკლსფილდი-ბრედფორდი | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 23.45 | 450 | მენსფილდი-ნოტსი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 23.45 | 451 | მილუოლი-კარდიფი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 452 | ნორთჰემპტონი-ქუინზ პარკი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 23.45 | 453 | ოქსფორდი-ჯილინგემი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 23.45 | 454 | პორტ ვეილი-ჩესტერფილდი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.45 | 455 | პორტსმუთი-კოლჩესტერი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 23.45 | 456 | რედინგი-ლუტონი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 23.45 | 457 | სტოკპორტი-კარლაილი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 458 | სუონსი-პიტერბრო | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.45 | 459 | ტრანმერი-შრიუსბერი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 460 | რექსემი-ჰალი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 461 | უიკომბი-როვერსი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 23.45 | 462 | იორკი-ქრიუ | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 24.00 | 463 | უოტფორდი-პლიმუთი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | | 22 აგვისტო | | | |
| 23.45 | 464 | ბირმინგემი-საუთენდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 465 | კემბრიჯი-ვესტ ბრომვიჩი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.45 | 466 | სტოკი-ოლდემი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 467 | ვულვერჰემპტონი-სუინდონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### ესპანეთი. სუპერთასი. II მატჩი

22 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.45 | 468 | რეალი-სარაგოსა | 1,3 | 4,4 | 8,0 |

### პოლონეთი. ლიგის თასი. III ეტაპი. II მატჩები

22 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 469 | გროცლინი-სტომილი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 20.30 | 470 | ვიძევი-ოდრა | 1,7 | 3,3 | 4,2 |

### ნორვეგია. თასი. მეოთხედფინალი

22 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 471 | ოდ გრენლანდი-სოგნდალი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 472 | ბრინი-ვოლერენგა | 2,1 | 3,4 | 2,9 |
| 20.30 | 473 | ლილესტრიომი-ბრანი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 21 აგვისტო | | | |
| 22.00 | 502 | დინამო(კ)-სტიაუა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.30 | 503 | ლევერკუზენი-ცრ.ზვეზდა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 24.00 | 504 | ლივერპული-ჰაკა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 24.00 | 505 | ლაციო-კოპენჰაგენი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 00.15 | 506 | ბარსელონა-ვისლა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.30 | 507 | მალიორკა-ჰაიდუკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | | 22 აგვისტო | | | |
| 21.00 | 508 | ლევსკი-გალათასარაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 509 | ფენერბაჩე-რეინჯერსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 510 | ანდერლეხტი-ჰალმსტადი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 23.15 | 511 | გრასჰოპერი-პორტუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 512 | პანათინაიკოსი-სლავია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.30 | 513 | ტიროლი-ლოკომოტივი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.30 | 514 | დორტმუნდი-შახტარი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 515 | რუსენბორგი-ინტერი(სლკ) | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 516 | სელტიკი-აიაქსი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 23.45 | 517 | ლილი-პარმა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები**

**23 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 518 | ზატე-დინამო(თბ) | ანგარიში | – | 5,0 |
| 19.00 | 519 | შაფა-ოლიმპია | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 19.00 | 520 | ვენტსპილსი-ჰიკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 521 | ბროტნიო-ვიკინგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 522 | ლოკომოტივი(თბ)-ბირკირკარა | ანგარიში | – | 5,0 |
| 20.00 | 523 | აშტარაკი-ბრაშოვი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 20.00 | 524 | პოგონი-ფილკირი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 525 | გორიცა-ნეფტჩი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 526 | ბელშინა-რუზომბეროკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 527 | ჟალგირისი-მაკაბი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 21.00 | 528 | რაპიდი(ვ)-კოსმოსი | 1,03 | 9,0 | 18,0 |
| 21.00 | 529 | დინამო(ტირ)-დინამო(ბუქ) | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 21.00 | 530 | იოკერიტი-ცსკა(კ) | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 531 | სლოვანი-ქუიმბრანი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 22.00 | 532 | ნისტრუ-დებრეცენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 533 | ლიტექსი-ლონგფორდი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 534 | ცსკა(ს)-შახტიორი(ბლრ) | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 535 | ჰელსინგბორგი-მიუპა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 536 | ელფსბორგი-ტრანსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 537 | აპოლონი-ტირანა | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 538 | ჰაპოელი-არარატი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.30 | 539 | სლიმა-პუხოვი | 3,6 | 3,3 | 1,75 |
| 22.30 | 540 | პარტიზანი(იუგ)-სტ.კოლომა | 1.03 | 9.0 | 18.0 |
| 22.30 | 541 | გაზიანთეფი-ზიმბრუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.45 | 542 | რაპიდი(ბუქ)-ატლანტისი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 22.45 | 543 | შელბურნი-ბრიონდბიუ | 3,5 | 3,2 | 1,85 |
| 23.00 | 544 | გრევენმახერი-აეკ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 23.00 | 545 | დუნაფერი-ოლიმპიაკოსი(კვ) | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 546 | ვარტექსი-ვადუცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 547 | სტ.გალენი-პელისტერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 548 | გოტუ-ობილიჩი | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 23.00 | 549 | სტანდარდი-ვარდარი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 550 | სარაევო-მარიტიმუ | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 551 | ლეგია-ეტელბრიუკი | 1,03 | 9,0 | 18,0 |
| 23.15 | 552 | ფლორა-დინამო(ზ) | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.15 | 553 | ოსიეკი-დინაბურგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.15 | 554 | გრაცერი-ტორსჰაგენი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| 23.30 | 555 | გლენტორანი-მიდტიულანდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.30 | 556 | აკრანესი-ბრიუგე | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.45 | 557 | კილმარნოკი-გლენავონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.45 | 558 | ტნს-პოლონია | 4,0 | [illegible],4 | 1,65 |

**ინტერტოტო. ფინალი. II მატჩები**

**21 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 559 | ბრეშა-პსჟ | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 560 | ასტონ ვილა-ბაზელი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 561 | ნიუკასლი-ტრუა | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**მერკოსურის თასი**

**21 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.10 | 562 | სერო პორტენიო(პარ)-ვასკო და გამა(ბრა) | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 563 | კრუზეირო(ბრა)-კორიტიანსი(ბრა) | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 05.40 | 564 | გრემიო(ბრაზილია)-პალმეირასი(ბრაზილია) | 1,65 | 3,4 | 4,4 |

**23 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 565 | სან პაულუ(ბრა)-ველესი(არგ) | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 04.00 | 566 | ტალიერესი(არგ)-პენიაროლი(ურუ) | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 06.10 | 567 | კოლო კოლო(ჩილ)-ინდეპედიენტე(არგ) | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**მერკონორტეს თასი**

**21 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 568 | ბარსელონა(ეკვ)-სპორტინგ კრისტალი(პერ) | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 569 | ალიანსა(პერ)-აუკასი(ეკვ) | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 05.10 | 570 | ბლუმინგი(ბოლ)-უნივერსიტარიო(პერ) | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**23 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 571 | მილიონარიოსი(კოლ)-იტალჩაკაო(ვენ) | 1,25 | 5,0 | 9,0 |

***შემდეგ ეტაპზე გასვლის კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე***

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება. !

FORMULA 1 — ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცამეტე ეტაპი

# რეკორდი დაემხო, გაუმარჯოს რეკორდს!

## მიხაელ შუმახერმა მეოთხე ფორმულა მოიგო

**მაინცდამაინც** პოსტსოციალისტურ მიწაზე, სადაც „ფორმულა 1“-ის 17-დან ერთადერთი ეტაპი იმართება, გაირკვა, რომ მიხაელ შუმახერი წლეულს უკვე იურიდიულადაც ნომერი პირველია.

„ჰუნგარორინგზე“ რბოლის წინ არსებული სტატუს-კვოს თანახმად, საკმარისი იყო შუმახერს დევიდ კულჰარდისთვის 4 ქულაზე მეტით ეჯობნა და ჩემპიონი ხდებოდა. „ფერარის“ გუნდისთვის სასურველი სურათი გამოიკვეთა რბოლის სტარტზევე, როცა ტრასის შეტალახიანებულ მხარეს განთავსებული კულჰარდის „მაკლარენი“ ოდნავ მძიმედ დაიძრა და ორივე „ფერარი“ მის წინ აღმოჩნდა, თუმც ყველაფერი წინ იყო, რადგან „უნგრეთის დიდი პრიზის“ სარბიელი სხვებზე მოკლეა, რამდენიმე მკვეთრი მოსახვევი აქვს და ამიტომ პილოტის ოსტატობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შუმახერი რომ სხვებზე ოსტატია, რა ახსნა უნდა, მაგრამ ადამიანია ისიც და იქნებ რამე შეშლოდა.

ამ მიზეზთა გამო ინტრიგა არ განელებულა, როგორც მოხდებოდა, ვთქვათ, იტალიურ „მონცასა“ და გერმანულ „ჰოკენჰაიმზე“, სადაც ერთხელ დაწინაურებული „ფერარის“ გასწრება საკმაოდ უიმედო საქმედ იქცევა.

მოკლედ, ბოლიდები გაქანდნენ. მალე გამოიკვეთა, რომ მოწინავე სამეული (შუმახერი, ბარიკელო, კულჰარდი) სულ უფრო შორდებოდა „პელოტონს“ და ცოტა ხანში სხვაობა 7 წამი გახდა. ზურგში მე-4 ადგილი რალფ შუმახერს დაეპყრო, მიკა ჰაკინენი კი ცხარედ იბრძოდა მე-5 პოზიციისთვის.

პირველი უიღბლო „ჰუნგარორინგზე“ ედი ირვინი გამოდგა. ყოფილი „ფერარელის“ „იაგუარი“ პირველ წრეზევე გამოაკლდა შეჯიბრს. „პროსტის“ ბრაზილიელი ლუჩანო ბურტი მე-10 წრიდან გამოვარდა და ფრანგთა გუნდს ახალწვეული ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის იმედი დარჩა, რომელიც ამას წინათ „ჯორდანიდან“ დაითხოვეს და ახალი გუნდით აღტაცებული იყო. ფრენცენს ერთხანს არა უშავდა, მაგრამ მისმა ბოლიდმა 77-დან მხოლოდ 65 წრეს გაუძლო, მერე კი ფრენცენი ტრასას გაეცალა, ხოლო წინა კვირას განხორციელებული როქის (ფრენცენი — „პროსტში“, ალეზი — „ჯორდანში“) მეორე მონაწილემ, ჟან ალეზიმ, ფინიშამდე სული კი მიიტანა, მაგრამ გამარჯვებულს 2 წრით ჩამორჩა.

თავში კი „ფერარის“ ტრიუმფი მწიფდებოდა. მე-12 წრიდან შუმახერმა და ბარიკელომ მოქმედებათა სინქრონიზება



REUTERS

შუმახერის სიხარული მრავალმა გაიზიარა, უპირველესად მენეჯერმა ვილი ვებერმა და მეუღლე კორინამ

დაიწყეს, ანუ ბრაზილიელი გერმანელის სამსახურში ჩადგა. იმ დროს, როცა შუმი მაქსიმალურად უბერავდა, რუბინიო კულჰარდის რიტმიდან ამოგდებას ცდილობდა და ამ პოლიტიკით ის გამოვიდა, რომ 28-ე წრეზე შუმახერმა კულჰარდს 12 წამით გაუსწრო. ეს იყო და ლიდერი ბოქსებში შევიდა, სადაც „ფერარის“ გუნდმა ყოველი ოპერაცია ავტომატის სიზუსტით შეასრულა და 8,4 წამში შუმახერი ისევ დაიძრა. ტრასაზე გამოსული შუმი მე-3 ადგილზე გადასულიყო, უმცროს ძმაზე რამდენიმე მეტრით წინ და განახლებულ მანქანას მთელი ძალით მიერეკებოდა. ცხადია, სულ მალე იგი ისევ პირველი უნდა გამხდარიყო, ოღონდ საკითხავია, რამხელა ფორით...

გერმანელი 34-ე წრეზე დაწინაურდა, როცა ბარიკელომ შეუხვია ბოქსებში. ორი წრით ადრე იგივე მანიპულაცია შეასრულა კულჰარდმაც და რბოლა ახალი ძალით გაჩაღდა. 51 წრის შემდეგ შუმახერმა კიდევ ერთი პიტსტოპი გააკეთა მდევრებზე ადრე და როცა ბარიკელომ და კულჰარდმა შესაბამისად ორი და სამი წრის შემდეგ საბურავები გამოცვალეს, შუმი კვლავ უდრტვინველად გახდა ლიდერი.

ბოლოს წრიდან წრემდე ცხადი ხდებოდა, რომ ის დღე შუმახერის იყო და აღარც ბარიკელო ჩანდა კულჰარდის წინ გამშვები. ტრიბუნებზე წითელმა ისტერიკამ იმატა. ცალკე იტალიელები და ცალკე გერმანელები უწყვეტად აფრიალებდნენ „ფერარის“ ბაირაღებს. პიკი შედგა მაშინ, როცა გერმანელი ფინიშზე გადმოვიდა და [illegible] სამ წამში გამოჩნდა ბარიკელო და თითქმის მაშინვე კულჰარდი, ხოლო შუმახერის ყურში მხიარულად ღრიალებდა რადიო — „ფანტასტიკა, ფანტასტიკა!“ — ყვიროდა „ფერარის“ სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი.

პოდიუმზე არც კულჰარდი დაღრეჯილა მაინცდამაინც: რაც უნგრეთში მოხდა, იქ თუ არა, მომდევნო 4 ტრასაზე სადმე ნაღდად მოხდებოდა. „ფერარის“ საპოდიუმე სიხარულისას წამით შეჩქვიფდა მხოლოდ ნახსენები ტოდტი, რომელსაც შამპანურის წუწებით თვალი აეწვა, მაგრამ ეგ არაფერი: იქამდე და შემდეგაც ჩახუტებული სამეული — ტოდტი, შუმახერი და ბარიკელო განუწყვეტლივ მღეროდა „ქუინის“ სიმღერას — WE ARE THE CHAMPIONS. „ფერარელთა“ სიხარული ორმაგი გახლავთ, რადგან კონსტრუქტორთა ჩათვლაშიც მათ ვეღარავინ დაეწევა.

ახლა მიხაელ შუმახერი წარმატებით აგრძელებს სარეკორდო მსვლელობას. „ჰუნგარორინგის“ დაპყრობის შემდეგ იგი „ფორმულა 1“-ში ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ამ მაჩვენებლითა და 51 ეტაპის მოგებით ალენ პროსტს გაუსწორდა. წინ მხოლოდ ლეგენდარული ხუთგზის ჩემპიონი ხუან მანუელ ფანხიოა, ვის დამხობასაც შუმახერი თავის მომდევნო პიკად თვლის. მას „ფორმულის“ ეტაპებზე 1000 ქულის დაგროვება და მეხუთე ჩემპიონობა აქვს უზურში.

ამ გასაოცნებელი შედეგების ფონზე 32 წლის ჩემპიონს მაინც არ მოსწონს, როცა რობოტს ადარებენ, არც თავმდაბლობა დაუკარგავს. იგი შეჩვეულია ზომიერ ლაპარაკს. მაგალითად, ასე:

„ნამდვილად ბედნიერი ვარ ჩემი ცხოვრებით, რადგან ვიცი, რა შემიძლია და რა — არა. ბედნიერი იმიტომაც ვარ, რომ მანქანის ტარება სხვა ადამიანებზე ოდნავ ჩქარა მეხერხება. წარმატების მისაღწევად პროფესიონალი უნდა იყო და შენი ნიჭიდან მაქსიმუმი გამოწურო, მაგრამ ადამიანად უნდა დარჩე, კომპიუტერად ქცევა არას გარგებს“.

ეს სიტყვები შუმახერმა ჩემპიონად გახდომის შემდეგ თქვა, დაახლოებით შამპანურით წუწაობისას. მანქანა სხვებზე ოდნავ ჩქარა დამყავსო? კმ...

**დავით გულუა**

### რბოლის შედეგები

**უნგრეთის დიდი პრიზი**
19 აგვისტო. ჰუნგარორინგი
დისტანცია — 77 წრე — 306.075 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:41.49,675 (180,348 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 3,363 |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 3,940 |
| 4. რ. შუმახერი (უილიამსი) | 49,687 |
| 5. ჰაკინენი (მაკლარენი) | 1.10,293 |
| 6. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 7. რაიკონენი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. მონტოია (უილიამსი) | 1 წრით |
| 9. ვილნევი (BAR) | 2 წრით |
| 10. ალეზი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 11. დე ლა როსა (იაგუარი) | 2 წრით |
| 12. ფერსტაპენი (ეროუსი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ფიზიკელა (ბენეტონი) | გაიარა 67 წრე |
| ფრენცენი (პროსტი) | 65 |
| მარკეში (მინარდი) | 64 |
| პანი (BAR) | 58 |
| ტრული (ჯორდანი) | 54 |
| ალონსო (მინარდი) | 38 |
| ბატონი (ბენეტონი) | 36 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 13 |
| ბურტი (პროსტი) | 10 |
| ირვინი (იაგუარი) | 1 |

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი 1.16,723

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | [illegible] | - | 10 | | | | | 94 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | 3 | - | - | 4 | | | | | 51 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | 4 | 4 | 6 | 6 | | | | | 46 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | 6 | - | 10 | 3 | | | | | 44 |
| 5 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | - | 10 | - | 2 | | | | | 21 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | 3 | - | - | | | | | 15 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | - | - | 4 | - | | | | | 11 |
| 8 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანია | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | 1 | 1 | - | 1 | | | | | 11 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | 2 | - | - | - | | | | | 9 |
| 10 რაიკონენი ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | - | 2 | - | - | | | | | 9 |

ფრენცენი (პროსტი) — 6; პანი (BAR) — 5; ირვინი (იაგუარი), ალეზი (ჯორდანი), ფიზიკელა (ბენეტონი) — 4; ბატონი (ბენეტონი) — 2; ფერსტაპენი (ეროუსი), დე ლა როსა (იაგუარი) — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | 14 | 10 | 6 | 16 | | | | | 140 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | 3 | 10 | - | 6 | | | | | 72 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | 6 | 3 | 10 | 3 | | | | | 59 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | 1 | 3 | - | 1 | | | | | 20 |
| 5 BAR | - | - | 3 | - | 4 | 2 | 3 | - | - | - | - | 4 | - | | | | | 16 |

ჯორდანი — 15; ბენეტონი — 6; იაგუარი — 5; პროსტი — 4; ეროუსი — 1 ქულა

# რას იტყვის დამკვირვებელი?

**ქართველებს** ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა ავტომობილების მიმართ. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენში ავტომობილს უყურებენ როგორც ფუფუნების საგანს და არა როგორც გადაადგილების საშუალებას. მაგრამ ესეც გაჭირვებული ყოფისგანაა.

გაჭირვება ვახსენეთ და ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ თბილისში საქმიანი ვიზიტით მყოფი მსოფლიო ბანკის, თუ არ ვცდები, ხელმძღვანელის ერთი შენიშვნა გამახსენდა. სახელმწიფო კანცელარიიდან სასტუმროსკენ სავალ გზაზე მას თურმე 70-მდე „მერსედესი“ დაუთვლია. ამის გამო გაკვირვება ვერ დაუფარავს და უკითხავს, კი მაგრამ, რა დახმარებას ითხოვთ მაშინ, როდესაც ამ პატარა მონაკვეთზე ათეულობით „მერსედესი“ დავითვალეო.

საქმე ისაა, რომ იმ უცხოელისთვის ქართული მენტალიტეტი არავის გაუცვნია. რა იცოდა მსოფლიო ბანკის მოხელემ, რომ ჩვენს თანამემამულეთა საკმაოდ მოზრდილ ნაწილს, რომელსაც საკუთარი ჭერიც კი არ გააჩნია, ყველაფერს თბილისის ქუჩებში „მერსედესით“ თუ „ბეემვეთი“ ქროლვა ურჩევნია.

არიან ავტომობილებზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანებიც. ვგულისხმობ ავტომრბოლებს. მათი რიცხვი კი ორ ათეულს თუ აღემატება. ამ ორიოდე დღის წინ მათ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის ბრწყინვალე შანსი მიეცათ.

საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ ავტორალის მოყვარულებს 17-19 აგვისტოს საერთაშორისო შეჯიბრი — „შევრონ-რალი საქართველო 2001“ მოუწყო. ეს ღონისძიება, რომელიც ოფიციალურად საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) კალენდარში შევიდა, იმავდროულად „ჯეოსელი — კავკასიის თასის“ გათამაშებაც გახლდათ. გარდა ამისა, რალი ატარებდა ევროპის ჩემპიონატის კანდიდატი ღონისძიების რანგს. ასპარეზობის უმთავრესი მიზანი ის გახლდათ, რომ მომავალი წლიდან როგორმე FIA-ს ევროპის ჩემპიონატის ეტაპების ოფიციალურ კალენდარში შეეტანათ. ამისთვის კი შეჯიბრებაზე მყოფი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენლის შესაბამისი მოხსენებაა საჭირო. ასპარეზობის ორგანიზატორები, მონაწილენი და მომსახურე პერსონალი აცხადებდნენ, რომ ამგვარი ღონისძიებების სამასპინძლოდ მშვენიერი გზები გაგვაჩნია. საინტერესო კი ისაა, FIA-ს ოფიციალური დამკვირვებელი რამდენად კმაყოფილი დარჩა ორგანიზაციული საკითხებით. ახლა ხომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

კვირას ბოლო, დასკვნითი მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას კარგა ხანი დასჭირდა. დასჭირდა იმიტომ, რომ აპელაცია-საჩივრებმა საკმაო დრო წაიღო. კვარცხლბეკზე ასვლისა და შამპანურით ტრადიციული წუწაობის მოლოდინი „ექსპო ჯორჯიაში“ სამ საათამდე გაგრძელდა. ზუსტად არავინ არც ის იცოდა, როდის დაიწყებოდა დაპირებული პრესკონფერენცია. ბოლოს დავრწმუნდით, რომ ჩვენთვის ამ მეტად საჭირო ღონისძიებას არავინ ჩაატარებდა, რაც თავად შეჯიბრების ორგანიზატორებმაც დაგვიდასტურეს და 21 საათზე მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში სპორტსმენთა ოფიციალური დაჯილდოების ცერემონიალზე და ალა ფურშეტზე მიგვიპატიჟეს. სიცხისაგან გათანგულები მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში მივლასლასდით, მაგრამ ვაი, რომ იქაც ლოდინ-ლოდინში შემოგვაღამდა და ვიდრე ერთობ შეგვიანებული ცერემონიალი დაიწყებოდა, აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვებულ რუს ვიაჩესლავ პროხოროვს გავესაუბრეთ.

— რა შემიძლია გითხრათ. კარგი ასპარეზობა იყო. ქართველები ყოველთვის თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი იყავით. ეტყობა, ძალიან გიყვართ სპორტის ეს სახეობაც. ამის თქმის საფუძველს გულშემატკივართა ჩვენდამი დამოკიდებულება მაძლევს. მაყურებლებისა და გულშემატკივართა ინტერესს კი ველოდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რაოდენობით მოვიდოდნენ ჩვენს საცქერლად. მეორე მხრივ მოლოდინს გადააჭარბა მასმედიის წარმომადგენელთა ასპარეზობისადმი მიდგომამ. გეტყობათ, რომ სერიოზულად ეკიდებით შეჯიბრებას. ერთ-ერთ ჩქაროსნულ მონაკვეთზე, მიუხედავად იმისა, რომ მივქროდით, შვიდი ვიდეო კამერა დავითვალე. ჩვენთან, რუსეთში ერთ-ორ ასეთ კამერას თუ მოჰკრავთ თვალს. ეს ყოველივე ავტორალისადმი დამოკიდებულებაზე მიუთითებს. თუ მერეც ასე გააგრძელებთ, წარმომიდგენია, რა იქნება მომავალში — გვითხრა ვიაჩესლავმა.

**— ძნელი იყო გამარჯვება?**

— წარმატება ყოველთვის ძნელია. რა თქმა უნდა, იყო რაღაც სირთულეები. როგორც ყოველთვის, აქაც იყო რაღაცით უკმაყოფილო ხალხი. ასეა თუ ისე, მოხარული ვარ, რომ მე და ჩემმა მეწყვილე ვალენტინ როდიონოვმა ქართულ მიწაზე გამარჯვება შევძელით. ბედნიერი ვარ, რომ მოსკოვში ჩემპიონად ვბრუნდები.

**— მომავალში თბილისში ამგვარი ტურნირის მოწყობის შემთხვევაში კიდევ თუ მიიღებთ მონაწილეობას?**

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამაზე არც კი დავფიქრდები. უმალ აქ გავჩნდები.

**— როგორც გამოცდილი მრბოლი, ხომ ვერ გვეტყოდით, რა არის წარმატების უმთავრესი საწინდარი, კარგი ავტომანქანა, ოსტატობა თუ გამოცდილება?**

— ვფიქრობ, სამივე, უპირველეს ყოვლისა კი უნდა იყო ნორმალური ადამიანი. გიყვარდეს ადამიანები და მათაც ეყვარები. აი, ესაა უმთავრესი.

**გიგა გურასაშვილი**

| | | |
|---|---|---|
| **აბსოლუტური ჩათვლა (შევრონი)** | | |
| 1. ვიაჩესლავ პროხოროვი, ვალენტინ როდიონოვი | რუსეთი | მიცუბიში |
| 2. სერგეი უსპენსკი, ალექსეი შჩუკინი | რუსეთი | სუბარუ |
| 3. ვიქტორ თოდაძე, ვიქტორ ბაგრამოვი | საქართველო | სუბარუ |
| **A ჯგუფი** | | |
| 1. ვიქტორ თოდაძე, ვიქტორ ბაგრამოვი | საქართველო | სუბარუ |
| 2. სტოიან აპოსტოლოვი, ელენა აპოსტოლოვა | ბულგარეთი | ჰონდა |
| 3. დავით იაშვილი, ზაზა იაშვილი | საქართველო | ოპელი |
| **N ჯგუფი და N4 კლასი** | | |
| 1. ვიაჩესლავ პროხოროვი, ვალენტინ როდიონოვი | რუსეთი | მიცუბიში |
| 2. სერგეი უსპენსკი, ალექსეი შჩუკინი | რუსეთი | სუბარუ |
| 3. დიმიტრი ნარიშკინი, მარინა დანილოვა | რუსეთი | სუბარუ |
| **A6 კლასი** | | |
| 1. სტოიან აპოსტოლოვი, ელენა აპოსტოლოვა | ბულგარეთი | ჰონდა |
| 2. ალექსანდრე ჯანელიძე, ზურაბ ბაბუციძე | საქართველო | ლადა სამარა |
| 3. ზურაბ ბეჟაშვილი, სერგო მიროტაძე | საქართველო | ლადა სამარა |
| **კავკასიის თასი (ჯეოსელი)** | | |
| 1. ვიქტორ თოდაძე, ვიქტორ ბაგრამოვი | საქართველო | სუბარუ |
| 2. დავით იაშვილი, ზაზა იაშვილი | საქართველო | ოპელი |
| 3. ალექსანდრე ჯანელიძე, ზურაბ ბაბუციძე | საქართველო | ლადა სამარა |
| **საქართველოს პირველობის III ეტაპი** | | |
| 1. ვიქტორ თოდაძე, ვიქტორ ბაგრამოვი | | სუბარუ |
| 2. დავით იაშვილი, ზაზა იაშვილი | | ოპელი |
| 3. ალექსანდრე ჯანელიძე, ზურაბ ბაბუციძე | | ლადა სამარა |
| 4. ზურაბ ბეჟაშვილი, სერგო მიროტაძე | | ლადა სამარა |
| 5. ჯემალ გულარაშვილი, ნუგზარ ბაინდურაშვილი | | ვაზ 21074 |
| 6. თემურ აბრამოვი, არსენ სარქისოვი | | ლადა სამარა |




მარცხნიდან: ელენა აპოსტოლოვა, ვიქტორ ბაგრამოვი, ვიქტორ თოდაძე, სტოიან აპოსტოლოვი შვილიშვილთან ერთად



# რაფტერის ყინული ტორნადომ [illegible]

**ინდიანაპოლისი. „ოქროს სერია“ ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 3:6, 6:1, 7:5; მარატ საფინი (2, რუსეთი) — ტომას ენკვისტი (8, შვედეთი) 7:5, 6:4; პატრიკ რაფტერი (5, ავსტრალია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:7, 7:6 (7:3); გორან ივანიშევიჩი (10, ხორვატია) — იუნეს ელ აინაუიუი (მაროკო) 7:5, 6:3**

**ნახევარფინალი: კუერტენი — ივანიშევიჩი 1:6 6:3, 6:2; რაფტერი — საფინი 6:3, 5:7, 7:6 (9:7)**

**ფინალი: რაფტერი — კუერტენი 4:2**



პატრიკ რაფტერი

REUTERS

პატრიკ რაფტერს შუა საუკუნეების ევროპაში რომ ეცხოვრა, როგორც ჯადოქარი, ინკვიზიციის „წმინდა“ კოცონზე დაასრულებდა „დათარსულ“ სიცოცხლეს. ავსტრალიელს უკვე აშკარად ეხმარება ბუნების ძალები, სხვა საქმეა, როგორ სარგებლობს იგი ამით. წინა უქმეებზე, უფრო ზუსტად კი შაბათს, ცინცინატის მასტერსის ტურნირის ნახევარფინალში ზეცამ თავსხმა წვიმა მოუვლინა ფინალში მის მომავალ მეტოქე გუსტავო კუერტენს. მაშინ ამან ვერ უშველა რაფტერს. კვირას კუერტენმა ტიმ ჰენმანთან შეწყვეტილი ნახევარფინალური მატჩი გამარჯვებით დაასრულა, შემდეგ სულ ოცი წუთი დაისვენა და ფინალში რაფტერს შავი დღე დააწია.

ამ უქმეებზეც ისტორია თითქმის განმეორდა. შაბათს პირველ ნახევარფინალურ მატჩში რაფტერმა ძლივძლივობით, მაგრამ მაინც სძლია რუს მარატ საფინს, ფინალშიც გავიდა და მომავალ მეტოქეს მშვიდად დაელოდა. ამასობაში კი სანამ ავსტრალიელი საფინთან ჭიდილში მოღლილ კუნთებს ასვენებდა, აგრეთვე მეორე ნახევარფინალური წყვილი, რომელშიც გუსტავო კუერტენიც ერია, თამაშებისთვის ემზადებოდა, ინდიანაპოლისური ცა გაიხსნა და ქალაქს, მასთან ლამაზ საჩოგბურთო კორტებს, თქეში მოუვლინა. წვიმას ქარიშხალიც მოჰყვა და საერთოდ ქალაქს იმ დღეს კონტინენტის მთავარმა დამაქცევარმა — ქარბორბალამ გადაუარა, სწორედ იმან, ოკეანგაღმა ტორნადოს რომ ეძახიან და მის გაგონებაზე მხნე ამერიკელებს მუხლებში ძალა ეცლებათ.

სხვა გზა არ იყო, ტურნირის ორგანიზატორებმა კუერტენ — ივანიშევიჩს მატჩი კვირისთვის, ფინალის დღისთვის, გადაიტანეს, რაც რაფტერის მომავალ მეტოქეს თავისთავად საქმეს ურთულებდა.

კვირას ავსტრალიელი გაფაციცებით უყურებდა გადადებულ ნახევარფინალს, მხოლოდ ნუ იფიქრებთ, მეტოქეებს სწავლობდა. რაფტერი ივანიშევიჩსაც და კუერტენსაც მშვენივრად იცნობს. პირველთან ამ ორი თვის წინ უიმბლდონის ფინალში წააგო, მეორესთან ერთი კვირის წინ ცინცინატის ტურნირის ფინალში. იმ დღეს ერთ-ერთ მათგანთან ელოდა მატჩი. პირველი, რაც რაფტერმა შენიშნა, იყო ის, რომ კუერტენი მალიმალ ხელს იკიდებდა ფერდზე, თურმე ნეკნების კუნთი დასჭიმვოდა და განსაკუთრებით მოწოდების დროს აშკარად ჩანდა, ტკივილი აწუხებდა. გუგამ თითქმის უბრძოლველად 1:6 დათმო პირველი სეტი, შემდეგ კი საკუთარ თავს აჯობა, ანგარიში გაათანაბრა და მესამე სეტში შეება ივანიშევიჩს. აქ უიმბლდონის ხორვატ ჩემპიონს ნერვებმა უმტყუნა, სეტის დასაწყისში ჩოგანი დაამტვრია, სეტის ბოლოსაც რამდენიმე იოლი ბურთი გააფუჭა და მეორე ჩოგანსაც პირველის ბედი დააწია, შემდეგ კი ტურნირსაც დაემშვიდობა.

ივანიშევიჩთან მძიმე მატჩის შემდეგ ნახევრად ინვალიდ კუერტენს დასასვენებლად ოდენ საათი ჰქონდა. იგი გავიდა კორტზე, ერთხანს ვაჟკაცურად ებრძოდა ერთი კვირის წინ ძლეულს, მაგრამ მეშვიდე გეიმში ტკივილმა სახე დაუმანჭა. გუგამ ექიმი იხმო და მასთან კონსულტაციის შემდეგ თამაში შეწყვიტა, როცა ანგარიში 2:4 იყო. გამარჯვებაც ავტომატურად რაფტერს დარჩა. „ვისურვებდი, გუგა თანასწორ ბრძოლაში დამემარცხებინა, თუმც მაინც კმაყოფილი ვარ. ბოლოს და ბოლოს ტურნირი მოვიგე და ამერიკის ღია პირველობის წინ გუნება გამოვიკეთე“ — თქვა რაფტერმა ნამატჩევს.

ზემოთ რაფტერის „დათარსული“ სიცოცხლე ვახსენეთ, რაშიც მისი უიღბლობა და იქნებ სხვა რამეც იგულისხმება. ავსტრალიელს ხომ ფინალში წაგება ყველაზე და ყველაფერზე უკეთ ეხერხება. რაღა შორს წავიდეთ, ბოლო ორ თვეში რაფტერმა ზედიზედ სამი ფინალი წააგო. გუგა ჯანზე რომ ყოფილიყო, ვინ იცის, იქნებ მეოთხეც მიეყოლებინა. ეგრეა, რაფტერი მადლობელი უნდა იყოს, ოთხი საუკუნის წინ ვთქვათ ესპანეთში რომ არ დაიბადა.

**ვაშინგტონი. „ოქროს სერია“ ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (1, აშშ) — გრეგ რუზედსკი (12, ბრიტანეთი) 3:6, 7:6 (8:6), 7:6 (10:8); მაიკლ ჩანგი (აშშ) — ფაბრის სანტორო (4, საფრანგეთი) 6:2, 6:4; ენდი როდიკი (9, აშშ) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:3, 6:4; სხენგ შალკენი (10, ჰოლანდია) — ჟერომ გოლმარი (16, საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:2**

**ნახევარფინალი: შალკენი — აგასი 3:6, 6:4, 6:4; როდიკი — ჩანგი 6:4, 6:3**

**ფინალი: როდიკი — შალკენი 6:2, 6:3**

ყოჩაღი ამერიკელი თინეიჯერის, ენდი როდიკის უკვე აღარავის უკვირს. ეს ბიჭუნა თვალსა და ხელს შუა იზრდება და მის მიერ ძლეულ ბობოლათა გრძელი სიაც ივსება. ამ პარასკევს ვაშინგტონის ტურნირის მეოთხედფინალში როდიკმა მორიგი ექსპირველი ჩოგანი, უჟმური ჩილელი მარსელო რიოსი იმსხვერპლა, ხოლო ნახევარფინალში მობერებული მაიკლ ჩანგი დასცა. მათი ძლევის შემდეგ ფინალში მისთვის სხენგ შალკენს რა უნდა დაეკლო. ამ უკანასკნელს წინა დღით რაღაც მანქანებით თვით ანდრე აგასი დაუმარცხებია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, 18 წლის როდიკს ყურებზე ხახვი ვერ დააჭრა.

როდიკმა წლეულს მესამე ტურნირი მოიგო, პირველი ჰარდზე. ვაშინგტონში გამარჯვებამ მის საბანკო ანგარიშს 115 ათასი დოლარი შეჰმატა, ხოლო კლასიფიკაციაში 11 საფეხურით წასწია. ახლა იგი მეთექვსმეტეა მაშინ, როცა წლის დასაწყისში მსოფლიოს ნომერ 596-ე ჩოგნად ითვლებოდა.

**ტორონტო**
**კანადის ღია პირველობა**
**ჰარდი. საპრიზო 1,2 მილიონი $**

**მესამე წრე: ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — ვინეინ პრაკუსია (ინდონეზია) 7:6 (7:2), 6:2; სერენა უილიამსი (4, აშშ) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 3:6, 6:3, 6:2; მონიკა სელეში (5, აშშ) — ელენა დოკიჩი (10, იუგოსლავია) 6:3, 7:6 (7:3); სანდრინ ტესტიუ (11, საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 6:7 (2:7), 7:5, 7:6 (7:4); ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) — ამანდა კუტცერი (7, აშშ) 6:4, 6:3 [illegible] ჯან შონესი (9, აშშ) დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:4**

**მეოთხედფინალი: კაპრიატი — შონესი 7:5, 6:4; სელეში — ჟუსტინ ენენი (2, ბელგია) 1:6, 6:2, 6:2; უილიამსი — ტესტიუ 6:0, 6:2; ანკე ჰუბერი (14, გერმანია) — ჰოპკინსი 7:6 (7:4), 6:3**

**ნახევარფინალი: კაპრიატი — ჰუბერი 6:3, 3:6, 6:3; უილიამსი — სელეში 7:5, 7:6 (7:5)**

**ფინალი: უილიამსი — კაპრიატი 6:1, 6:7 (7:9), 6:3**

**ივანე ძოწიაშვილი**



# მოზი დიკი მდინარეში

ჩქარი მთის მდინარის ტალღებს შებმია გასაბერი ნავი „მობი დიკი“. ეს ამბავი სადმე ნეპალში, ან სამხრეთ ამერიკაში კი არ ხდება, არამედ შუაგულ ევროპაში, ჩრდილოეთ იტალიაში, მდინარე დორა ბალტეაზე. მთის მდინარეებზე გასაბერი ნავებით ცურვა მზარდი პოპულარობით აღბეჭდილი მამაცთა სპორტის სახეობაა. სულ უფრო მეტი და მეტი მოყვარული სპორტსმენი ატარებს შვებულებას ტალღებთან ჭიდილში.



REUTERS

# ავტოკატასტროფა

აი, ავტოკატასტროფა, რომელიც მოუხდა კოლუმბიის ნაკრების ფეხბურთელს ხაირო კასტილიოს ქალაქ კალიში. შემთხვევის ადგილზე ორი ქალი დაიღუპა, სამი სხვაც საავადმყოფოში მოათავსეს. კასტილიო ამას წინათ იყიდა იტალიის „ჯენოვამ“ ხუთ მილიონ დოლარად და დღედღეზე ევროპაში უნდა გამგზავრებულიყო.

## ინგლისი

პრემიერლიგა

II ტური

ევერტონი 1:1 ტოტენჰემი

ლიგის თასი. I ეტაპი

დარლინგტონი 0:1 შეფილდ იუნ.

ჰარტლპული 0:2 ნოტინგემი

სკანთორპი 0:2 როტერჰემი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

IV ტური

ვალდჰოფი 3:1 დუისბურგი

## შვედეთი

XVIII ტური

იურგორდენი 0:2 ნორჩოპინგი

სუნდსვალი 1:4 იორებრო

გიოტებორგი 3:2 ტრელებორგი

## დანია

V ტური

ოლბორგი 2:1 ესბიერგი

## პორტუგალია

I ლიგა. II ტური

ფარენსე 0:1 გიმარაეში

## ჩეხეთი

IV ტური

ოპავა 1:2 სპარტა

# ასორმოცდამეათე

ვაიტის კუნძულის ახლოს წამოწყებული ამერიკის „ფილიპსის“ თასის რეგატას პირველი სამჯაბრო დღის შემდეგ აი, ეს ჰოლანდიური ნავი, სახელად „ჭლეჭიდა“ ლიდერობს, რომლის შკიპერიც საათობ-ბოლტო გახლავთ. წლევანდელი რეგატა საიუბილეო, ასორმოცდამეათეა.



REUTERS

# სულ ცოტაც და...

ხვალ პეკინში ოფიციალურად გაიხსნება უნივერსიადა, სტუდენტთა ოფიციალური თამაშები. ჩინეთის დედაქალაქში უკვე თავი მოიყარა შვიდ ათასამდე სტუდენტმა სპორტსმენმა. პეკინელი მუშები ამ საქმესთან დაკავშირებულ უკანასკნელ სამუშაოებში ჩართულან, დროშებს ჰკიდებენ ბოძებზე. უნივერსიადის წარმატებული მასპინძლობა საუკეთესო გამოცდილება იქნება პეკინისთვის, რომელმაც 2008 წელს ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს.



REUTERS


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 27
ელექტრონული ფოსტა:
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge